დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ ქალაქ თბილისის N92 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ლელა ფიცხელაური

წევრები:

ბ) ლელა ეუაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) თამარ ბერიძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ეკა კობიაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნინო ლაცაბიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) მადონა ბობოხიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) დიმიტრი პოპოვი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ია სეხნიაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ლალი აბულაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) საბა დარსაველიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ლანა კუჭავა (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ქალაქ თბილისის N92 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	სსიპ
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	206031747

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) მცხეთა	ქალაქი თბილისი
ფაქტობრივი მისამართი	ქ. თბილისი ვაზისუბნის I მიკრორაიონი
საფოსტო ინდექსი	0152
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi-admin.emis.ge/auth
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Tbilisi92@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	0322781470 555144466

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	11/02/2026 ბრძანება MES 7 26 0000150765
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	2026 წლის 05 და 06 მარტი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	დაწყებითი საგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ქართული	ქ. თბილისი ვაზისუბნის I მიკრორაიონი შენობა-ნაგებობა N1; N2; N3; N4; N5
2	ზოგადიგანათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	საბაზო საგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ქართული	ქ. თბილისი ვაზისუბნის I მიკრორაიონი შენობა-ნაგებობა N1; N2; N3; N4; N5
3	ზოგადიგანათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	საშუალო საგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ქართული	ქ. თბილისი ვაზისუბნის I მიკრორაიონი შენობა-ნაგებობა N1; N2; N3; N4; N5

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

მიმდინარე წლის 05 და 06 მარტს, **სსიპ ქალაქ თბილისის N92 საჯარო** სკოლაში შედგა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფის ვიზიტი. ვიზიტის ფარგლებში მოხდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება.
ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, განხორციელდა ჯგუფის წევრების ონლაინ შეხვედრა, შეთანხმდა და დაზუსტდა ადმინისტრაციული წარმოების გასაუბრების განრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. ადგილზე ვიზიტი განახორციელა ხარისხის ორმა ექსპერტმა , ხოლო იმის გათვალისწინებით , რომ აღნიშნული სკოლა ახორციელებს სამ საფეხურს, საგნობრივი ექსპერტების მიერ შემოწმდა და შეფასდა შემდეგი პროგრამები:
საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი -დაწყებითი (I-VI კლასი), საბაზო, საშუალო ;
საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი--დაწყებითი (I-VI კლასი), საბაზო, საშუალო ;
უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი-დაწყებითი (I-VI კლასი), საბაზო, საშუალო ;
ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი- დაწყებითი (I-VI კლასი), საბაზო, საშუალო ;
ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი- დაწყებითი;
სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი--დაწყებითი (I-VI კლასი), საბაზო, საშუალო;
მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი--დაწყებითი (I-VI კლასი), საბაზო, საშუალო ;
სპორტის საგნობრივი ექსპერტი- დაწყებითი (I-VI კლასი), საბაზო, საშუალო ;
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი- I-VI კლასის კურიკულუმის რევიზია სპეციფიკის გათვალისწინებით).
დაწესებულებაში ვიზიტის დროს ექსპერტები გაესაუბრნენ სკოლის წარმომადგენელებს-სკოლის დირექტორს, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირებს, საგნობრივი ჯგუფის პედაგოგებს, მშობლებს და საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეებს.
ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტების საქმიანობის განხორციელებას და უზრუნველყო გარკვეული მტკიცებულებების წარმოდგენა, ექსპერტების მიერ გაიცა რჩევები, წარმოების ფარგლებში შესწავლილი

დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები გაეცნო დაწესებულების წარმომადგენლებს ვიზიტის დასასრულს.

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სსიპ ქალაქ თბილისის №92 საჯარო სკოლაში გამოიკვეთა პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება დაწესებულების ისტორიულ გამოცდილებას, კულტურულ მრავალფეროვნებასა და თანამშრომლობაზე დაფუძნებულ მართვის მოდელს. სკოლაში ჩამოყალიბებულია ტოლერანტული და მრავალფეროვნებისადმი პატივისცემაზე დაფუძნებული გარემო, რაც ნაწილობრივ უკავშირდება მის ისტორიულ კონტექსტსაც — წარსულში ქართულ-რუსული სექტორების თანაარსებობას. აღნიშნული გამოცდილება დღეს გარდაქმნილია კულტურათაშორისი დიალოგის პრაქტიკად, სადაც სხვადასხვა ეთნიკური და რელიგიური იდენტობის მქონე სასკოლო საზოგადოება თანამშრომლობს ურთიერთპატივისცემასა და თანასწორობაზე დაფუძნებულ გარემოში.
დაწესებულება ასევე გამოირჩევა სასკოლო კულტურის მაღალი დონით, რაც გამოიხატება როგორც ორგანიზაციულ წესრიგში, ისე მოვლილ და მოწესრიგებულ ფიზიკურ გარემოში. ვიზიტის ფარგლებში აშკარად შეინიშნებოდა სკოლის შიდა სივრცეების მოვლა, ესთეტიკა და საერთო წესრიგი, რაც მიუთითებს სკოლის მართვის ეფექტიანობასა და სასკოლო საზოგადოების პასუხისმგებლიან დამოკიდებულებაზე საერთო გარემოს მიმართ.
განსაკუთრებით აღსანიშნავია თანამშრომლობაზე დაფუძნებული სამუშაო კულტურა. სკოლაში იგრძნობა ურთიერთპატივისცემა ადმინისტრაციას, მასწავლებლებს, მოსწავლეებსა და მშობლებს შორის. აღნიშნული პრაქტიკა ხელს უწყობს სტაბილური, მხარდამჭერი და ფსიქოლოგიურად უსაფრთხო სასწავლო გარემოს ჩამოყალიბებას და შეიძლება შეფასდეს როგორც დაწესებულების ერთ-ერთი გამორჩეული მახასიათებელი.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2	☒ **შეესაბამება**

პერსონალის განვითარება	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*

მოსწავლეთა რაოდენობა: **1500**	☒	ვიზიტის პერიოდში დადასტურდა, რომ სკოლას მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ადამიანური რესურსის გათვალისწინებით ორცვლიანი სწავლების შემთხვევაში საშუალება აქვს საგანმანათლებლო მომსახურება გაუწიოს **1500** მოსწავლეს.

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N3	***სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა***	***ხარვეზი***

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***

3.1.2.4	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს	შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (2026-2027 სასწავლო წლის დაწყებამდე) სკოლამ უზრუნველყოს კომპეტენცია დადასტურებული სპორტისა და ისტ-ის პედაგოგების დასაქმება (იხ. ინდიკატორის აღწერა).
3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (2028 წლის 26 მარტამდე) სკოლამ უზრუნველყოს შენობის მდგრადობის უზრუნველსაყოფად აუცილებელი კონსტრუქციული ღონისძიებების განხორციელება. (იხ. ინდიკატორის აღწერა)
3.5.1.4	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს	შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (2028 წლის 26 მარტამდე), სკოლამ უზრუნველყოს ლიფტის დამონტაჟება და სასწავლო გარემოს სრული ფიზიკური ხელმისაწვდომობა (იხილეთ ინდიკატორის აღწერა).
სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური	**სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია**

2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (2026 წლის 15 სექტემბრამდე) სკოლამ უზრუნველყოს ამწოვი კარადის შეძენა და მონტაჟი,რათა შესაძლებელი იყოს საბაზო-საშუალო საფეხურის იმ ქიმიური რეაქციების დემონსტრირება, რომლებიც სპეციალურ ვენტილაციას საჭიროებს. (იხილეთ ინდიკატორის აღწერა).
2.2.2.4	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი	გამოიკვეთა შესაბამისი კვალიფიკაციის არქონის პრობლემა: პირველ კლასში კომპიუტერულ ტექნოლოგიებსა და სამივე საფეხურის სპორტის საგაკვეთილო პროცესს უძღვებიან დაუდასტურებელი კომპეტენციის მქონე პედაგოგები. (იხილეთ ინდიკატორის აღწერა).

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	***სკოლის ფილოსოფია***	***რჩევა***
სტანდარტი N3	***სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა***	***რჩევა***

1.2.2.1	სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს	სასურველია მეთოდოლოგიის დოკუმენტში მკაფიოდ განისაზღვროს მონიტორინგის პერიოდულობა, ანგარიშგების ფორმა და პასუხისმგებელი პირის ფუნქციები, რათა სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში უზრუნველყოფილი იყოს მიზნების მიღწევის სისტემური შეფასება და საჭიროების შემთხვევაში დროული კორექტირების განხორციელება.
3.1.2.3	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით	სასურველია სკოლამ საკონკურსო კომისიის საქმიანობის დოკუმენტაციაში უზრუნველყოს ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ ჩანაწერის ან დეკლარაციის დაფიქსირება, კანდიდატების შეფასების პროცესში გამოიყენოს მკაფიო და წინასწარ განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმები და ოქმებს დაურთოს კომისიის წევრთა ინდივიდუალური შეფასების ფურცლები. ასევე რეკომენდებულია, კომისიის წევრთა განსხვავებული პოზიციები საჭიროების შემთხვევაში მოკლედ აისახოს ოქმებში, ხოლო დოკუმენტებში არსებული ტექნიკური შეცდომები გასწორდეს.
3.2.1.1	სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები	სასურველია პერსონალის მართვის პოლიტიკასა და ხარისხის ჯგუფის დებულებას შორის ფუნქციები მკაფიოდ გაიმიჯნოს, განსაკუთრებით მასწავლებელთა საქმიანობის მონიტორინგისა და შეფასების ნაწილში, რათა გამოირიცხოს პასუხისმგებლობების დუბლირება და უზრუნველყოფილი იყოს ინსტიტუციური მართვის თანმიმდევრულობა.

3.3.2.1	სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა	სასურველია სკოლამ შეიმუშავოს ფორმალური სისტემა უკუკავშირის მიღებისა და რეაგირების პროცესისთვის, რაც ადმინისტრაციას საშუალებას მისცემს ეფექტურად გაითვალისწინოს მშობელთა მოსაზრებები, საჭიროებები და ინიციატივები, გააძლიეროს მართვის პროცესების გამჭვირვალობა და გაზარდოს საზოგადოების ჩართულობა.
3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	მიუხედავად იმისა, რომ სკოლას უკვე განხორციელებული აქვს მიმართვა შესაბამის ორგანიზაციაში სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის შესწავლისა და დასკვნის გაცემის თაობაზე, მიზანშეწონილია გაგრძელდეს აქტიური კომუნიკაცია და მონიტორინგი, რათა უზრუნველყოფილ იქნას უსაფრთხოების ნორმების სრული შესრულება.

3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	სასურველია სკოლამ სამართლებრივი ვალდებულებების, ასევე უსაფრთხოების სისტემური მართვის უზრუნველსაყოფად **დაასაქმოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი**.
3.6.2.1	სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი	სასურველია სკოლამ უზრუნველყოს დოკუმენტების მომზადებისა და დამტკიცების პროცესის მკაფიო ქრონოლოგიური თანმიმდევრობა.

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი*	*რჩევა*
N.2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები.** სასურველია **<u>,დაწყებითი,საბაზო და საშუალო საფეხურზე</u>** კურიკულუმებში აისახოს საათების განაწილება თემების მიხედვით.

N.2.1.2.1		**მათემატიკა** სასურველია, სწავლების **საბაზო და საშუალო საფეხურზე** გაიზარდოს შემოქმედებითი დავალებების რაოდენობა, ასევე, აისახოს საათების განაწილება თემების მიხედვით.
		სპორტი **საბაზო და საშუალო საფეხურის** კურიკულუმები სასურველია მეტად გამრავალფეროვნდეს სასწავლო თემების მიხედვით, როგორებიცაა - ოლიმპიზმი, მავნე ჩვევები, ლაშქრობა და სხვა.)
N.2.1.2.1		**საზოგადოებრივი მეცნიერებები** სასურველია, სწავლების **საშუალო საფეხურზე** გაიზარდოს შემოქმედებითი დავალებების რაოდენობა **სამივე საფეხურის** კურიკულუმებში აისახოს საათების განაწილება თემების მიხედვით.

N.2.1.2.1		**უცხო ენა** **სამივე საფეხურზე** კურიკულუმები კიდევ უფრო მოსწავლეზე ორიენტირებული გახდებოდა, თუ კომპლექსური დავალებები ყველა თემისთვის ისეთივე კონკრეტულად იქნებოდა გაწერილი, როგორც X კლასის შემთხვევაში. სასურველია: გაიზარდოს შემოქმედებითი დავალებების რაოდენობა (სწავლების **საბაზო და საშუალო საფეხურზე** ასევე სწავლების **სამივე საფეხურზე** სასარგებლო იქნებოდა თვითშეფასებისა და თანატოლთა შეფასების ელემენტების პირდაპირ ჩართვა დავალებების სტრუქტურაში. კურიკულუმში ამის გათვალისწინება შესაძლებელია კომპლექსური დავალების სვეტში დაემატოს შეფასების სტრუქტურა, მაგალითად, დავალების აღწერის შემდეგ მიეთითოს: "მოსწავლე აფასებს საკუთარ ნაშრომს მოცემული რუბრიკით" და "მოსწავლეები წყვილებში ან ჯგუფებში აფასებენ ერთმანეთის ნამუშევარს". ამგვარად შეფასება დავალებისგან განუყოფელი ნაწილი გახდება და არა ცალკე, დამოუკიდებელი პროცესი. **სამივე საფეხურის** კურიკულუმში წარმოდგენილი კონტექსტ-მაგალითების გრაფაში უნდა იყოს მოცემული კონკრეტული მაგალითები იმისა, თუ როგორ არის შესაძლებელი კომპლექსური დავალების შესრულება, და არ უნდა იყოს წარმოდგენილი ის თემები, რომლებსაც მოიცავს გაკვეთილი.

N.2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**მათემატიკა** სასურველია , **საბაზო საფეხურზე** , ზოგ შემთხვევაში (მაგ:VIIIკლ.)კურიკულუმის ჩარჩოში, გაიგივებული თემა და კონტექსტმაგალითი გადამუშავდეს; მათემატიკის კათედრაზე საგნობრივი სტანდარტში სამიზნე ცნებების შედეგების გათვალისწინებით ჩამოაყალიბონ შემოქმედებით ტიპის დავალების იდეა, სადაც გამოკვეთილი იქნება შემოქმედებითი პროდუქტი, რომელსაც ქმნიან მოსწავლეები კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით;
N.2.1.2.2		**სახელმწიფო ენა** **საშუალო საფეხურზე** კათედრაზე შემუშავებული XII კლასის კურიკულუმი, სასურველია, შეივსოს შემოქმედებითი ბუნების დავალებებითაც.
N.2.1.2.2		**საზოგადოებრივი მეცნიერებები** **საშუალო საფეხური** კათედრაზე შემუშავებული XII კლასის კურიკულუმი (ისტორიასა და საქართველოს ისტორიაში) სასურველია, შეივსოს შემოქმედებითი ბუნების დავალებებითაც, რომლებიც ხელს შეუწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

N.2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	**მათემატიკა** გამომდინარე იქიდან, რომ კურიკულუმებში თემათა ნაწილს მითითებული აქვს დამატებითი რესურსები, სასურველია,მათემატიკის კათედრამ **დაწყებითი,საბაზო და საშუალო საფეხურზე** იმავე პრინციპით იხელმძღვანელოს იმ თემათა შემთხვევაშიც, სადაც დამატებითი რესურსი მწირია, ან საერთოდ არ არის მითითებული; მასწავლებელთა გამოცდილება და სკოლის ტექნიკური ბაზა იძლევა აღნიშნული რჩევის გათვალისიწინების შესაძლებლობას.
N.2.1.2.3		**უცხო ენა** **დაწყებით საფეხურზე** ,სადაც ლექსიკის დიდი მოცულობაა (ცხოველები, ავეჯი, ამინდი) ფლეშქარდები განსაკუთრებით სასარგებლო იქნება ,ბავშვი სიტყვა-სურათის ასოციაციით ბევრად სწრაფად იმახსოვრებს ახალ ლექსიკას. პოსტერები კი ეფექტური იქნება **საბაზო საფეხურზე,** არგუმენტების ვიზუალური სქემა ან ბრიტანული კულტურის თემაზე ინფოგრაფიკა კლასის კედელზე მუდმივ სასწავლო გარემოს ქმნის. დამატებითი რესურსების კუთხით კი რეკომენდებულია პოდქასტების და მოკლე ავთენტური ტექსტების ჩართვა, განსაკუთრებით საშუალო საფეხურზე, სადაც მოსწავლე უკვე მზადაა რეალურ ენობრივ მასალასთან შეხებისთვის.

N.2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	**მათემატიკა** სასურველია, **დაწყებითი, საბაზო და საშუალო** **საფეხურზე** კურიკულუმებში გაწერილ შემოქმედებითი დავალებების იდეაში გამოკვეთილი იყოს შემოქმედებითი პროდუქტი, რომელსაც ქმნიან მოსწავლეები, ისე რომ შესაძლებელი იყოს ამ პროდუქტის დიფერენცირება.
N.2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	**უცხოური ენა** **დაწყებით ,საბაზო და საშუალო** საფეხურის კურიკულუმში პირდაპირ უნდა გაიწეროს დიფერენცირებული დავალებები, მაგალითად თითოეული თემისთვის მიეთითოს "საბაზისო დონის დავალება" და "გაღრმავებული დონის დავალება". ასევე, სასარგებლო იქნებოდა ჯგუფური და წყვილური სამუშაოების პირდაპირ ჩართვა კომპლექსური დავალებების სვეტში, რაც სხვადასხვა საჭიროების მქონე მოსწავლეებს ერთმანეთის მხარდაჭერის საშუალებას მისცემს.
N.2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**მათემატიკა** რეკომენდირებულია, **დაწყებითი, საბაზო და საშუალო** საფეხურზე მათემატიკის კათედრაზე შეფასების რუბრიკები გადამუშავდეს, რათა მეტად იყოს მორგებული შემოქმედებით დავალებებზე , მიემართებოდეს სამიზნე ცნებებს (მათემატიკური მოდელირება, კანონზომიერება და ლოგიკა) და

		დამყარებული იყოს მოსწავლის მიერ სამიზნე ცნებების გააზრებაზე.
N.2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**ტექნოლოგიები** **დაწყებით საფეხურზე** კათედრამ ცალკე შეიმუშაოს ტექნილოგიების სასწავლო მიზნებზე (ესგ)მორგებული შეფასება სხვადასხვა ტიპის დავალებებისთვის (პროგრამირება, , ციკლის ცნება, …). ამ რუბრიკების საშუალებით კი მასწავლებელი სასწავლო პროცესის დროს შეძლებს შექმნას კონკრეტულ დავალებაზე მორგებულ შეფასების რუბრიკა. ასევე ,გაითვალისწინონ რას ამოწმებს დავალება და შეიმუშაონ შეფასების განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუბრიკები სხვადასხვა ტიპის დავალებებისთვის.
N.2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**სპორტი** **დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე** - სასურველია სკოლამ შეიმუშაოს შეფასების კრიტერიუმები ყველა სასწავლო თემისათვის.
N.2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** **საშუალო საფეხურზე** (მე-12 კლასში) სასურველია კათედრამ შეიმუშაოს შეფასების კრიტერიუმები ყველა სასწავლო თემისათვის.

N.2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**უცხო ენა** სწავლების **სამივე საფეხურზე** შეფასების რუბრიკებში მიზანშეწონილი იქნება ენობრივი კომპეტენციის კრიტერიუმები კიდევ უფრო კონკრეტულად გაიწეროს უცხოური ენის სპეციფიკიდან გამომდინარე, მაგალითად, გრამატიკული სისწორე, ლექსიკის მრავალფეროვნება და კომუნიკაციური ეფექტიანობა ცალ-ცალკე კრიტერიუმად გამოიყოს. ასევე სასარგებლო იქნებოდა თვითშეფასების მარტივი ფორმის დამატება ყოველი კომპლექსური დავალებისთვის, სადაც მოსწავლე საკუთარ ნაშრომს იმავე კრიტერიუმებით შეაფასებს რაც მასწავლებელს აქვს, რაც შეფასების პროცესს გამჭვირვალეს და მოსწავლისთვის გასაგებს გახდის.
N. 2.2.1.1.	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	**მათემატიკა** სასურველია, **საბაზო და საშუალო საფეხურის** კურიკულუმებში ასახული ზოგიერთი შემოქმედებითი პროდუქტის აღწერილობის მოდიფიცირება იმგვარად, რომ კურიკულუმი ითვალისწინებდეს სასწავლო აქტივობებს.

N. 2.2.1.1.	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	**უცხო ენა** **საბაზო და საშუალო საფეხურის** კურიკულუმში სასურველია თითოეული თემისთვის პირდაპირ გაიწეროს კონკრეტული სასწავლო აქტივობების თანმიმდევრობა, მაგალითად, პირველ ეტაპზე ტექსტის გაცნობა, მეორეზე ჯგუფური განხილვა, მესამეზე კი კომპლექსური დავალება. ასევე სასარგებლო იქნებოდა სასწავლო პროცესში ფორმალური და არაფორმალური აქტივობების მონაცვლეობის გათვალისწინება, რაც სხვადასხვა სტილის მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს საკუთარი უნარები სრულყოფილად გამოავლინოს.
N. 2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	**მათემატიკა** სასურველია, კათედრამ **დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურზე** გაითვალისწინოს, რომ შეფასების რუბრიკები მომავალში უფრო მეტად იყოს ორიენტირებული გრძელვადიან მიზნებზე და მომავალში ყველა თემის შემაჯამებელ ან შემოქმედებით დავალების რუბრიკებში ყველა სამიზნე ცნების აღქმა-გააზრება შეფასდეს მოცემული საკითხის კონტექსტში. კარგი იქნება თუ სკოლაში ინტენსიურად იმუშავებენ კათედრები შეფასების სისტემის გადამუშავებაზე და შექმნიან უფრო მეტ კონკრეტულ დავალებაზე მორგებულ შეფასების რუბრიკებს.

N. 2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** სასურველია, **დაწყებით ,საბაზო და საშუალო საფეხურზე** თუ საბუნებისმეტყველო კათედრის პედაგოგები იმუშავებენ და შექმნიან უფრო მეტ კონკრეტულ დავალებაზე მორგებულ შეფასების რუბრიკებს.
N. 2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** სასურველია,სწავლებს სამივე საფეხურზე ყველა სამუშაო ფასდებოდეს კონკრეტულ დავალებაზე მორგებული შეფასების რუბრიკებით.

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

<u>გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.</u>

ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა დასკვნის პროექტზე სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია , განმარტებები და მტკიცებულებები.

*წარმოდგენილი მასალების ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლამ სრულად გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის მიერ იდენტიფიცირებული ფაქტობრივი გარემოებები. იმ მიმართულებებში, სადაც ხარვეზების აღმოფხვრა უკვე განხორციელდა, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები, რაც ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაზიარებულ იქნა და **კომპონენტი 1.2** (სკოლის დაგეგმვა და განვითარება) შეფასდა სტანდარტის შესაბამისად.*

*ამასთანავე, იმ საკითხებთან მიმართებით, სადაც ხარვეზების სრულად აღმოფხვრა საჭიროებს დამატებით დროს, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია კონკრეტული, რეალისტური და დასაბუთებული ვადები და ღონისძიებები. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და ხარვეზები შეაფასა მათი აღმოფხვრის ვადების შესაბამისად , **კომპონენტი 3.1 (**პერსონალის მართვა) შეფასდა <u>მეტწილად</u> , ხოლო **კომპონენტი 3.4***

*(*დამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება) ***და კომპონენტი 3.5 (***მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა) *ნაწილობრივ შესაბამისად.*

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების სრულად და დროულად განხორციელების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება სტანდარტის მოთხოვნებთან სრული შესაბამისობა.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

ვიზიტის პროცესში დოკუმენტაციის ანალიზისა და ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან, მოსწავლეებსა და მშობლებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადასტურდა, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები ფორმალურად განსაზღვრულია, დამტკიცებულია დირექტორის შესაბამისი ბრძანებით და საჯაროდ ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის.

მისია ასახავს უსაფრთხო, ინკლუზიური და თანამშრომლობაზე დაფუძნებული გარემოს შექმნას, რაც ინტერვიუების დროს მონაწილეებმა დაადასტურეს როგორც ყოველდღიური პრაქტიკის ნაწილი. სასწავლო პროცესის დაკვირვებისას გამოიკვეთა ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული კომუნიკაცია, კლასში პოზიტიური ქცევის მხარდაჭერის მექანიზმების გამოყენება და განსხვავებული საჭიროებების მქონე მოსწავლეთა ჩართულობის უზრუნველყოფა.

ხედვაში განსაზღვრული პრიორიტეტები — ინოვაციური მიდგომები, ინკლუზიური და ფსიქოლოგიურად უსაფრთხო გარემო, სასკოლო საზოგადოების ჩართულობა — აისახება როგორც შიდა რეგულაციებში, ისე მიმდინარე საგანმანათლებლო საქმიანობაში. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების აქტივობები, თანამშრომლობითი სამუშაო ფორმატები და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერა ადასტურებს, რომ ხედვა არ წარმოადგენს მხოლოდ დეკლარირებულ ტექსტს, არამედ ინტეგრირებულია მართვისა და სწავლა-სწავლების პროცესში.

ღირებულებები (თანასწორობა, გუნდური მუშაობა, პასუხისმგებლობა, სამართლიანობა, პროფესიული ზრდა და განვითარება) იკვეთება როგორც შიდა კომუნიკაციის კულტურაში, ისე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. დისციპლინური საკითხების განხილვის პრაქტიკა ეფუძნება სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპს; თანამშრომლობითი მართვის ელემენტები დასტურდება სამუშაო ჯგუფების ფუნქციონირებით; პროფესიული განვითარების მიმართულებით განხორციელებული აქტივობები მიუთითებს ზრდისა და განვითარებაზე ორიენტირებულ მიდგომაზე.

გამოიკვეთა, რომ მისია, ხედვა და ღირებულებები ურთიერთკავშირშია სასკოლო საქმიანობის დაგეგმვასთან, რაც უზრუნველყოფს სტრატეგიული მიმართულებების თანმიმდევრულ განვითარებას და სკოლის საქმიანობის საერთო ფილოსოფიურ ჩარჩოს.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით დასტურდება, რომ მისია, ხედვა და ღირებულებები განსაზღვრულია, გაზიარებულია და რეალურად აისახება სკოლის საქმიანობაში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს

სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს როგორც უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. დაწესებულების ფილოსოფიიდან გამომდინარე, სკოლაში შექმნილია სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემო. საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხო სოციო-კულტურული სივრცის შენარჩუნების მიზნით, სკოლა პერიოდულად ატარებს საგანმანათლებლო-საინფორმაციო შეხვედრებს მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლებისათვის.

სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები კი ასახავს იმ ნაბიჯებს, რომელსაც სასკოლო საზოგადოება გადადგამს სკოლის განვითარებისა და მოსწავლეებისათვის კომფორტული და უსაფრთხო გარემოს შექმნისათვის.

სკოლაში განხორციელებული პროექტები და სხვა არაფორმალური განათლების აქტივობები მიზნად ისახავს მოსწავლეებისა და თანამშრომლების სასკოლო ცხოვრებაში მაქსიმალურად ჩართვას; ასევე, თვალშისაცემია მშობელთა მონაწილეობა და ჩართულობა სკოლაში და სკოლის ფარგლებს გარეთ გამართულ ღონისძიებებში.

დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულები და დასაქმებული პირები უზრუნველყოფენ უსაფრთხო გარემოს შექმნას და წესრიგის დაცვას კანონმდებლობისა და სკოლის მიერ განსაზღვრული შიდა მექანიზმების შესაბამისად. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

ვიზიტის პროცესში წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ მისიისა და ხედვის შემუშავების პროცესი განხორციელდა ინსტიტუციურად გამართული და ეტაპობრივად დაგეგმილი მექანიზმით.

დირექტორის **2025 წლის 3 სექტემბრის ბრძანებით №3** შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ადმინისტრაციის წარმომადგენლები, მასწავლებლები და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრები. აღნიშნული ბრძანება განსაზღვრავდა სამუშაო ჯგუფის ფუნქციებს, ვადებსა და პასუხისმგებლობებს, რაც ადასტურებს პროცესის ფორმალიზებულ ხასიათს.

სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული პირველადი ვერსიის განხილვა განხორციელდა კლასის მშობელთა კრებაზე, რაც დასტურდება **2025 წლის 15 სექტემბრის მშობელთა კრების ოქმით №1**. ოქმში ასახულია დღის წესრიგი, დამსწრეთა რაოდენობა, განხილული საკითხები და მიღებული რეკომენდაციები.

შემდგომ ეტაპზე მისიისა და ხედვის პროექტი წარედგინა კოლეგიურ ორგანოებს. **დირექტორის 2025 წლის 12 სექტემბრის ბრძანებით №2-283** განისაზღვრა სასკოლო სასწავლო გეგმისა და მასთან ინტეგრირებული მისიისა და ხედვის განხილვისა და დამტკიცების პროცედურა. დოკუმენტის განხილვა განხორციელდა პედაგოგიურ საბჭოზე, რაც დასტურდება შესაბამისი სხდომის ოქმით (ოქმი №1), სადაც დღის წესრიგში ასახულია სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვისა და ღირებულებების) შეთანხმება და სტრატეგიული დაგეგმვის მიმართულებების განსაზღვრა.

დოკუმენტის საბოლოო ვერსია შეთანხმების მიზნით წარედგინა სამეურვეო საბჭოს, რის შემდეგაც დამტკიცდა პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით. აღნიშნული თანმიმდევრობა მიუთითებს, რომ პროცესი არ იყო ერთპიროვნული გადაწყვეტილების შედეგი, არამედ განხორციელდა მონაწილეობის, განხილვისა და კოლეგიური დამტკიცების პრინციპით.

ინტერვიუების შედეგად სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ მათ ჰქონდათ შესაძლებლობა გაცნობოდნენ დოკუმენტს, წარმოედგინათ მოსაზრებები და ჩართულიყვნენ განხილვის პროცესში. წარმოდგენილი ოქმები, ბრძანებები და სხდომის ჩანაწერები ადასტურებს, რომ მიღებული რეკომენდაციები აისახა საბოლოო რედაქციაში.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით დადასტურდა, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მონაწილეობით, ინსტიტუციურად გამართული პროცედურის დაცვით და კოლეგიური გადაწყვეტილების საფუძველზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

ვიზიტის პროცესში დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლის ფიზიკური სივრცის დათვალიერების შედეგად დადასტურდა, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები დამტკიცებულია შესაბამისი სამართლებრივი აქტით და წარმოადგენს სკოლის საქმიანობის განმსაზღვრელ ჩარჩოს. აღნიშნული დოკუმენტი ასახავს სკოლის როლს, როგორც უსაფრთხო, ინკლუზიური და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცის.

სკოლის სხვადასხვა სართულზე თვალსაჩინოდ განთავსებულია მისიის, ხედვისა და ღირებულებების ტექსტი, რაც უზრუნველყოფს მის მუდმივ ხილვადობას სასკოლო საზოგადოებისათვის. ანალოგიური ინფორმაცია ხელმისაწვდომია სკოლის ოფიციალურ სოციალურ პლატფორმაზეც, რაც ზრდის ინფორმაციის საჯაროობასა და გამჭვირვალობას.

ინტერვიუებისას ადმინისტრაციისა და დამრიგებლების მხრიდან განმარტებულ იქნა, რომ სასწავლო წლის დასაწყისში ორგანიზებულ შეხვედრებზე სასკოლო საზოგადოებას სისტემურად ეცნობა სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები. აღნიშნული პრაქტიკა დადასტურდა შესაბამისი შეხვედრების ჩანაწერებითა და ოქმებით.

მოსწავლეებთან და მშობლებთან ჩატარებული გასაუბრებების შედეგად გამოიკვეთა, რომ მათთვის ცნობილია სკოლის ძირითადი ღირებულებითი პრინციპები და სკოლის განვითარების მიმართულებები, რაც მიუთითებს ინფორმაციის არა მხოლოდ ფორმალურ, არამედ რეალურ გაზიარებაზე.

ზემოაღნიშნული გარემოებები ადასტურებს, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯარო, ხელმისაწვდომი და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, ხოლო მათი კომუნიკაცია სისტემურად ხორციელდება. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლის მოქმედი მისია, ხედვა და ღირებულებები სასკოლო საზოგადოებისთვის გაზიარების მიზნით გამოქვეყნებულია სკოლის ვებ გვერდზე ე.წ. "სკოლების პორტალზე" :https://skolebi.emis.ge/schools_სადაც ნებისმიერი ადამიანისთვის აღნიშნული დოკუმენტი ხელმისაწვდომია. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

სკოლის სახელწოდება, რომელიც განსაზღვრულია ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N 448 ,,საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ" ბრძანების შესაბამისად, სრულიად შეესაბამება სკოლის სტატუსს. სკოლის სახელწოდებაა სსიპ. ქალაქ თბილისის N92 საჯარო სკოლა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების დოკუმენტი;
- სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N3;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N4;

- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N6;
- საქართველოსგანათლებისადამეცნიერებისმინისტრის2005წლის15 სექტემბრისN448 ბრძანება;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- სკოლის დირექტორის N 2-283 ბრძანება;
- სკოლის ვებ.გვერდისა და სოციალური გვერდის მისამართები:
- სკოლის FB გვერდი: https://www.facebook.com/profile.php?id=100064256010180
- სკოლის ვებ გვერდი:https://skolebi-admin.emis.ge/auth

შეფასება:

ο გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
ο შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს

ვიზიტის პროცესში წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ადმინისტრაციასთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების ფორმალიზებული მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს გრძელვადიანი დაგეგმვის პრინციპებს, ეტაპებსა და მონაწილეთა როლებს.

წარმოდგენილი დოკუმენტით იკვეთება, რომ სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი ეფუძნება თანამშრომლობის, გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების გათვალისწინების პრინციპებს. მეთოდოლოგიაში მკაფიოდ არის განსაზღვრული პროცესის ხუთი ეტაპი: სკოლის ფილოსოფიის შემუშავება და გაზიარება; სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება/დამტკიცება/გაზიარება; მონიტორინგი და შეფასება; ცვლილებების შეტანა; ანგარიშების მომზადება.

სტრატეგიული დაგეგმვის მიზნით შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომლის საქმიანობაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით.

სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგია შეთანხმებულია **სსიპ ქალაქ თბილისის N92 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 3 სექტემბრის სხდომის ოქმით №3**, ხოლო დამტკიცებულია **დირექტორის 2025 წლის 12 სექტემბრის ბრძანებით №2-283**.

დამატებით წარმოდგენილი იყო **დირექტორის 2025 წლის 4 ივლისის ბრძანება №2-210**, რომელიც არეგულირებს სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის საქმიანობის ორგანიზაციულ საკითხებს.

წარმოდგენილი დოკუმენტის — **„სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის“** — ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა რამდენიმე საკითხი, რომელიც საჭიროებს დამატებით დაზუსტებასა და დახვეწას, რათა დოკუმენტი სრულად პასუხობდეს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის მართვის თანამედროვე მოთხოვნებს და უზრუნველყოფდეს პროცესის მტკიცებულებაზე დაფუძნებულ განხორციელებას.

მეთოდოლოგიის ანალიზის შედეგად იკვეთება, რომ დოკუმენტში არ არის მკაფიოდ განსაზღვრული **მისიის, ხედვისა და ღირებულებების გადახედვის პერიოდულობა და პირობები**, რის შედეგადაც არ ჩანს, რა გარემოებების შემთხვევაში ხდება სკოლის ფილოსოფიის აქტუალობის გადამოწმება და საჭიროების შემთხვევაში მისი განახლება. აღნიშნული გარემოება ქმნის რისკს, რომ სკოლის ფილოსოფია დროთა განმავლობაში ფორმალურად დარჩეს უცვლელი, მიუხედავად გარემო პირობების ან სკოლის განვითარების მიმართულებების ცვლილებისა.

დოკუმენტში ასევე არასაკმარისად არის გაწერილი **უკუკავშირის დოკუმენტირების მექანიზმები**. მიუხედავად იმისა, რომ პროცესში სხვადასხვა დაინტერესებული მხარისგან მოსაზრებების მიღება არის აღნიშნული, არ ჩანს, რა ფორმით ხდება მიღებული ინფორმაციის ფიქსაცია, ანალიზი და გამოყენება სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. აღნიშნული გარემოება ართულებს პროცესის გამჭვირვალობისა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული მართვის დადასტურებას.

მეთოდოლოგიის დოკუმენტის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა **დამტკიცების პროცედურის არასწორი ფორმულირება/არასწორი იერარქია**, რის გამოც დოკუმენტი არ უზრუნველყოფს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის კანონმდებლობით მოთხოვნილ მართვის ჯაჭვს. კერძოდ, საჯარო სკოლის შემთხვევაში სტრატეგიული დოკუმენტების (7-წლიანი სტრატეგიული გეგმა და წლიური სამოქმედო გეგმა) **დამმტკიცებელი ორგანო არის სამეურვეო საბჭო**, ხოლო დირექტორი წარმოადგენს წარმდგენ და ამოქმედებაზე/შესრულების ორგანიზებაზე პასუხისმგებელ მხარეს. შესაბამისად იქმნება **უფლებამოსილების არასწორი განაწილების** და **პროცედურული დარღვევის** რისკი, რადგან „შეთანხმება“ და „დამტკიცება“ განსხვავებული სამართლებრივი ძალის მქონე მოქმედებებია.

ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა დასკვნის პროექტზე **სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია** და თანდართული მტკიცებულებები. სკოლამ სრულად გაითვალისწინა დასკვნის პროექტში წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებები და აღმოფხვრა დაფიქსირებული ხარვეზები. კერძოდ:

- სკოლამ განაახლა „სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“, სადაც მკაფიოდ განისაზღვრა მისიის, ხედვისა და ღირებულებების გადახედვის პერიოდულობა (სტრატეგიული დაგეგმვის ციკლის დასრულებისას) და კონკრეტული პირობები, როგორიცაა ეროვნული მიზნების ცვლილება, ავტორიზაციის პროცესი ან მისიასა და რეალურ საქმიანობას შორის შეუსაბამობის აღმოჩენა.
- დოკუმენტში დაკონკრეტდა სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და უკუკავშირის დოკუმენტირების ფორმები. მეთოდოლოგია ითვალისწინებს პროცესების სამუშაო ჯგუფის ფორმატში წარმართვას, დაინტერესებულ მხარეებთან პროექტების გაზიარებას და მათგან მიღებული პრიორიტეტების მაქსიმალურ გათვალისწინებას.
- გასწორდა დოკუმენტების დამტკიცების სამართლებრივი ჯაჭვი. წარმოდგენილი მტკიცებულებებით (ბრძანებები და ოქმები) დასტურდება, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები მტკიცდება სამეურვეო საბჭოს მიერ, ხოლო ძალაში შედის დირექტორის ბრძანებით, რაც შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

ექსპერტთა ჯგუფმა შესწავლილი მტკიცებულებების (განახლებული მეთოდოლოგია, სამეურვეო საბჭოს ოქმები, დირექტორის ბრძანებები) საფუძველზე ინდიკატორი შეაფასა სტანდარტის შესაბამისად. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

ვიზიტის პროცესში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ სკოლას შემუშავებული აქვს **შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა (2025–2032 წლები)**. სტრატეგიული გეგმა შეთანხმებულია **სსიპ ქალაქ თბილისის N92 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 3 სექტემბრის სხდომის ოქმით №3**, ხოლო დამტკიცებულია **დირექტორის 2025 წლის 12 სექტემბრის ბრძანებით №2-283**.

სტრატეგიული გეგმის ცხრილში აქტივობები წარმოდგენილია როგორც მოქმედებების ჩამონათვალი, თუმცა არ არის განსაზღვრული შესრულების გაზომვადი ინდიკატორები. სტანდარტის მიხედვით, თითოეულ სტრატეგიულ მიზანს უნდა ახლდეს შესაბამისი ინდიკატორი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება პროგრესისა და საბოლოო შედეგის შეფასება. ინდიკატორების არარსებობის პირობებში გეგმა ატარებს დეკლარაციულ ხასიათს და **არ იძლევა მიზნების შესრულების ობიექტური შეფასების შესაძლებლობას.**

დოკუმენტში არ ჩანს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების მკაფიო იერარქია. ცხრილში წარმოდგენილი პუნქტები ხშირად პირდაპირ აქტივობებად არის ჩამოყალიბებული, რის გამოც არ იკვეთება, რომელი ამოცანა ემსახურება კონკრეტულ სტრატეგიულ მიზანს.

აღნიშნული ქმნის შთაბეჭდილებას, რომ დოკუმენტი უფრო ოპერაციული აქტივობების ჩამონათვალია, ვიდრე გრძელვადიანი სტრატეგიული დაგეგმვის ინსტრუმენტი.

სტრატეგიული გეგმის ცხრილში წლები წარმოდგენილია ერთობლივად, თუმცა **არ იკვეთება პრიორიტეტების ეტაპობრივი განაწილება.** აღნიშნული არ იძლევა საშუალებას დავინახოთ, რომელი მიმართულება წარმოადგენს სკოლის განვითარების პრიორიტეტს სხვადასხვა ეტაპზე და როგორ ვითარდება სტრატეგიული პროცესები დროის განმავლობაში.

გეგმაში ასევე არ არის ასახული სტრატეგიული ამოცანების განხორციელებისთვის საჭირო ფინანსური ან მატერიალური რესურსები. რესურსების მითითების გარეშე რთულია შეფასდეს, რამდენად განხორციელებადია წარმოდგენილი სტრატეგიული მიმართულებები.

დოკუმენტის ანალიზის შედეგად გამოვლინდა **პროცედურული შეუსაბამობაც დოკუმენტების დამტკიცების თარიღებთან დაკავშირებით.** სტრატეგიული გეგმა შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოს მიერ 3 სექტემბერს, ხოლო მეთოდოლოგიური დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმვის წესს, დამტკიცებულია მოგვიანებით — 12 სექტემბერს. აღნიშნული თანმიმდევრობა ქმნის შთაბეჭდილებას, რომ სტრატეგიული გეგმა მომზადდა მანამდე, სანამ მისი შემუშავების პროცედურა ოფიციალურად განისაზღვრებოდა.

ასევე იკვეთება პროცედურული საკითხი დოკუმენტის დამტკიცების ფორმულირებაში. დოკუმენტში გამოყენებულია ფორმულირება **„შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოს მიერ; დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით“,** მაშინ როდესაც მოქმედი ნორმატიული რეგულაციის მიხედვით სტრატეგიული დოკუმენტის დამმტკიცებელი ორგანო საჯარო სკოლაში არის სამეურვეო საბჭო, ხოლო დირექტორი უზრუნველყოფს დამტკიცებული დოკუმენტის ძალაში შესვლას შესაბამისი ბრძანების გამოცემით.

ასევე, წარმოდგენილი დოკუმენტების (სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება და სხდომის ოქმები) ანალიზის საფუძველზე **სკოლას მიეცა რჩევა**, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის გამჭვირვალობისა და მტკიცებულებით გამყარების მიზნით, გააძლიეროს დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა სამუშაო ჯგუფის საქმიანობაში. ასევე რეკომენდებულია დოკუმენტურად აისახოს სკოლის საზოგადოების (მოსწავლეები, მშობლები და სხვა დაინტერესებული მხარეები) ჩართულობის კონკრეტული ფორმები და შედეგები.

სკოლას მიეცა რჩევა, სხდომის ოქმებს თან დაერთოს კვლევის ინსტრუმენტები (კითხვარები, ინტერვიუს ფორმები ან სხვა კვლევითი მასალები), რაც უზრუნველყოფს ჩატარებული კვლევის პროცესის მტკიცებულებით დადასტურებას. ამასთან, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, რომ SWOT ანალიზში უფრო მკაფიოდ და შინაარსობრივად აისახოს ორგანიზაციის შიდა სუსტი მხარეები, რათა სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი დაეფუძნოს სკოლის რეალურ საჭიროებებსა და გამოწვევებს.

სკოლას მიეცა რჩევა, სხდომის ოქმებში უფრო დეტალურად ასახოს სამუშაო პროცესის ეტაპები, დავალებების განაწილება და პასუხისმგებელი პირები, რაც წარმოაჩენს სამუშაო ჯგუფის საქმიანობის სისტემურობას. ასევე რეკომენდებულია დოკუმენტებში მითითებული ვადები იყოს ლოგიკურად თანმიმდევრული და ასახავდეს კვლევის ჩატარებისა და მონაცემთა დამუშავების რეალურ პროცესს.

დამატებით **სკოლას მიეცა რჩევა,** სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადა დააკავშიროს სტრატეგიული განვითარების გეგმის მოქმედების ციკლთან და უზრუნველყოს ჯგუფის შემადგენლობის პერიოდული გადახედვის შესაძლებლობა, რაც უზრუნველყოფს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის მოქნილობასა და აქტუალობას.

აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინება ხელს შეუწყობს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის უფრო მკაფიო, მტკიცებულებაზე დაფუძნებული და ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისი პრაქტიკის ჩამოყალიბებას.

ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა დასკვნის პროექტზე **სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია** და თანდართული მტკიცებულებები. სკოლამ სრულად გაითვალისწინა დასკვნის პროექტში წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებები და აღმოფხვრა დაფიქსირებული ხარვეზები შემდეგი მიმართულებებით:

- სკოლამ წარმოადგინა განახლებული „შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა (2025-2032 წლები)“, სადაც თითოეული სტრატეგიული მიზნისთვის გაიწერა კონკრეტული, გაზომვადი ინდიკატორები, შესრულების ვადები და საჭირო რესურსები (ადამიანური, მატერიალური, ფინანსური). დოკუმენტში მკაფიოდ არის გამოკვეთილი იერარქია სტრატეგიულ მიზნებსა და მათ მისაღწევად დასახულ ამოცანებს შორის.
- გასწორდა დოკუმენტების დამტკიცების ქრონოლოგია და იერარქია. წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ „სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“ დამტკიცდა სამეურვეო საბჭოს მიერ (03.09.2025, ოქმი N3), რის შემდეგაც, ამავე მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, დამტკიცდა სტრატეგიული გეგმა (12.09.2025, ოქმი N4). ორივე დოკუმენტი ძალაშია შესული დირექტორის ბრძანებით, რაც სრულად შეესაბამება საჯარო სკოლის მართვის კანონმდებლობით დადგენილ ჯაჭვს.
- სკოლამ გაითვალისწინა რეკომენდაციები დაინტერესებული მხარეების (მასწავლებლები, მშობლები, მოსწავლეები) ჩართულობის დოკუმენტირებასთან დაკავშირებით. SWOT ანალიზი გახდა უფრო კრიტიკული და რეალისტური, ხოლო სამუშაო ჯგუფის ოქმებში დეტალურად აისახა ფუნქცია-მოვალეობების გადანაწილება.

ექსპერტთა ჯგუფმა შესწავლილი მტკიცებულებების (განახლებული სტრატეგიული გეგმა, სამეურვეო საბჭოს ოქმები, მეთოდოლოგიური დოკუმენტი) საფუძველზე ინდიკატორი შეაფასა სტანდარტის შესაბამისად. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას

ვიზიტის პროცესში წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში შემუშავებულია **ერთწლიანი სამოქმედო გეგმა**, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია **სსიპ ქალაქ თბილისის N92 საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 12 სექტემბრის ბრძანებით №2-283**.

სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილი აქტივობების ნაწილი ატარებს რუტინულ ხასიათს და ასახავს სკოლის ყოველდღიური ადმინისტრაციული საქმიანობის ელემენტებს (მაგალითად: ელექტრონული ჟურნალების წარმოება, ხელშეკრულებების გაფორმება და

სხვა). აღნიშნული აქტივობები, როგორც წესი, რეგულირდება სკოლის შიდა დოკუმენტებით და არ წარმოადგენს სტრატეგიული განვითარების მიმართულებებს.

დოკუმენტში სამოქმედო გეგმა სტრუქტურირებულია სტრატეგიული მიზნების მიხედვით, თუმცა არ არის გამოკვეთილი შუალედური რგოლი — ამოცანა. შედეგად, სტრატეგიული მიზნის შემდეგ პირდაპირ არის წარმოდგენილი აქტივობები, რაც არღვევს სტრატეგიული დაგეგმვის ლოგიკურ იერარქიას (მიზანი – ამოცანა – აქტივობა).

ასევე იკვეთება, რომ დოკუმენტში არ არის ასახული კავშირი თვითშეფასების ან SWOT ანალიზის შედეგებთან. ავტორიზაციის სტანდარტის მიხედვით, სამოქმედო გეგმა უნდა ეფუძნებოდეს სკოლის თვითშეფასების პროცესში გამოვლენილ გამოწვევებს და ასახავდეს მათი გადაჭრის გზებს.

დოკუმენტში გამოვლინდა პროცედურული საკითხიც დამტკიცების ნაწილთან დაკავშირებით. სამოქმედო გეგმაში აღნიშნულია, რომ იგი განხილულია პედაგოგიურ საბჭოზე და დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით, მაშინ როდესაც მოქმედი რეგულაციის მიხედვით ერთწლიანი სამოქმედო გეგმა უნდა წარედგინოს სამეურვეო საბჭოს დასამტკიცებლად.

ცხრილის სტრუქტურის ანალიზის შედეგად ასევე იკვეთება, რომ აქტივობებს არ ახლავს შესრულების ინდიკატორები, რაც ართულებს სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასებას. ამასთან, ცხრილში არ არის მითითებული რესურსები (ფინანსური ან ადამიანური), რაც აუცილებელია დაგეგმილი აქტივობების განხორციელებადობის შეფასებისთვის.

დამატებით, აქტივობების ნაწილი გაწერილია სასწავლო წლის ივნისამდე, მაშინ როდესაც პრაქტიკაში გარკვეული მოსამზადებელი ან ინფრასტრუქტურული აქტივობები შეიძლება განხორციელდეს ზაფხულის პერიოდში, რაც დოკუმენტში არ არის ასახული.

ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა დასკვნის პროექტზე **<u>სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია</u>** და განახლებული დოკუმენტაცია. სკოლამ სრულად გაითვალისწინა დასკვნის პროექტში წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებები და აღმოფხვრა დაფიქსირებული ხარვეზები. კერძოდ:

- სკოლამ წარმოადგინა განახლებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, სადაც დაცულია ლოგიკური ჯაჭვი: სტრატეგიული მიზანი – ამოცანა – აქტივობა. გეგმიდან ამოღებულია რუტინული ადმინისტრაციული საქმიანობები და აქცენტი გაკეთდა სტრატეგიული განვითარებისკენ მიმართულ ნაბიჯებზე, რომლებიც პირდაპირ კავშირშია თვითშეფასებისა და SWOT ანალიზის შედეგებთან.
- სამოქმედო გეგმის ცხრილში თითოეულ აქტივობას დაემატა შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რაც იძლევა პროგრესის ობიექტური შეფასების საშუალებას. ასევე, გაიწერა აქტივობების განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსები.
- გასწორდა დოკუმენტის დამტკიცების პროცედურა. წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა განიხილა და დაამტკიცა სამეურვეო საბჭომ, ხოლო დირექტორმა უზრუნველყო მისი ძალაში შესვლა შესაბამისი ბრძანებით, რაც სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

- გეგმაში აქტივობების განხორციელების პერიოდი გადანაწილდა რეალისტურად და მოიცვა ზაფხულის პერიოდიც, რაც აუცილებელია ინფრასტრუქტურული და მოსამზადებელი სამუშაოების სრულყოფილად შესრულებისთვის.

ექსპერტთა ჯგუფმა შესწავლილი მტკიცებულებების (განახლებული სამოქმედო გეგმა, სამეურვეო საბჭოს ოქმები, დირექტორის ბრძანებები) საფუძველზე ინდიკატორი შეაფასა სტანდარტის შესაბამისად. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

ვიზიტის პროცესში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც უნდა წარმოადგენდეს სტრატეგიული მიზნების ოპერატიულ განხორციელების დოკუმენტს.

სამოქმედო გეგმაში ასახულია სტრატეგიული მიზნები, რაც გარკვეულწილად უზრუნველყოფს კავშირს სტრატეგიულ გეგმასთან. თუმცა სტრუქტურაში არ არის მკაფიოდ გამოყოფილი ამოცანები, რის გამოც სტრატეგიული მიზნისა და კონკრეტული აქტივობების შორის არ იკვეთება შუალედური რგოლი. შედეგად, სტრატეგიული მიზნის შემდეგ პირდაპირ არის წარმოდგენილი აქტივობები, რაც არღვევს სტრატეგიული დაგეგმვის იერარქიულ ლოგიკას (მიზანი – ამოცანა – აქტივობა).

სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილია აქტივობები და მათი შესრულების ვადები, რომლებიც ძირითადად გაწერილია სასწავლო წლის თვეების მიხედვით, რაც შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნას ერთწლიან დაგეგმვასთან დაკავშირებით. ასევე განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები ან სტრუქტურული ერთეულები, რაც უზრუნველყოფს საქმიანობის ორგანიზაციულ პასუხისმგებლობას.

ამასთან, დოკუმენტის ანალიზმა აჩვენა, რომ სამოქმედო გეგმაში არ არის წარმოდგენილი შესრულების გაზომვადი ინდიკატორები. ინდიკატორების არარსებობა ართულებს აქტივობების შესრულების შეფასებას და არ იძლევა საშუალებას ობიექტურად დადგინდეს, მიღწეულია თუ არა დაგეგმილი შედეგები.

ასევე არ არის სრულად ასახული აქტივობების განხორციელებისთვის საჭირო რესურსები. ცხრილში არ ჩანს ადამიანური, მატერიალური ან ფინანსური რესურსების განსაზღვრა, რაც აუცილებელია დაგეგმილი აქტივობების რეალისტურობისა და განხორციელებადობის შეფასებისთვის.

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ურთიერთკავშირის ანალიზმა ასევე აჩვენა, რომ მიუხედავად სტრატეგიული მიზნების ფორმალური შესაბამისობისა, სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილი აქტივობების ნაწილი არ არის მკაფიოდ დაკავშირებული სტრატეგიულ ამოცანებთან, რის გამოც რთულია დადგინდეს, როგორ უწყობს თითოეული აქტივობა ხელს გრძელვადიანი სტრატეგიული მიზნების მიღწევას.

ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა დასკვნის პროექტზე **სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია** და ახალი მტკიცებულებები. სკოლამ სრულად გაითვალისწინა დასკვნის პროექტში წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებები და აღმოფხვრა დაფიქსირებული ხარვეზები. კერძოდ:

- სკოლამ წარმოადგინა განახლებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, სადაც დაცულია სტრატეგიული დაგეგმვის იერარქიული ლოგიკა: სტრატეგიული მიზანი – ამოცანა – აქტივობა. მკაფიოდ გამოიყო შუალედური რგოლი (ამოცანები), რაც უზრუნველყოფს ლოგიკურ კავშირს გრძელვადიან მიზნებსა და ყოველდღიურ ოპერატიულ საქმიანობას შორის.
- სამოქმედო გეგმის ცხრილში თითოეულ აქტივობასა და ამოცანას დაემატა შესრულების გაზომვადი ინდიკატორები. აღნიშნული ცვლილება იძლევა საშუალებას ობიექტურად შეფასდეს დაგეგმილი შედეგების მიღწევის დონე და აქტივობების ეფექტიანობა.
- დოკუმენტში სრულყოფილად აისახა თითოეული აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსები. რესურსების მკაფიო განსაზღვრა ადასტურებს დაგეგმილი აქტივობების რეალისტურობასა და სკოლის მზაობას მათი შესრულებისთვის.
- სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილი აქტივობები შინაარსობრივად დაუკავშირდა სტრატეგიულ ამოცანებს, რაც თვალსაჩინოს ხდის, თუ როგორ უწყობს ხელს თითოეული ნაბიჯი სკოლის გრძელვადიანი განვითარების პრიორიტეტების რეალიზებას.

ექსპერტთა ჯგუფმა შესწავლილი მტკიცებულებების (განახლებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, სამეურვეო საბჭოს ოქმები) საფუძველზე ინდიკატორი შეაფასა სტანდარტის შესაბამისად. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N3;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N4;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N5;
- სკოლის დირექტორის N 2-283 ბრძანება;
- სკოლის დირექტორის N 2-284 ბრძანება;
- სტრატეგიული განვითარების გეგმისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების ბრძანება;
- სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის შეხვედრის N1 ოქმი;
- სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის შეხვედრის N2 ოქმი;
- შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- სკოლის ერთწლიან განვითარების გეგმა;

- სკოლის არგუმენტრირებული პოზიცია;

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

ვიზიტის პროცესში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი **სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი**, რომელიც შეთანხმებულია **სსიპ ქალაქ თბილისის N92 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 3 სექტემბრის სხდომის ოქმით №3** და დამტკიცებულია **დირექტორის 2025 წლის 12 სექტემბრის ბრძანებით №2-283**.

მეთოდოლოგიაში აღწერილია, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი განხორციელდება დაკვირვების, მონაცემთა შეგროვებისა და შედეგების ანალიზის საფუძველზე, ხოლო შეფასება მოიცავს დაგეგმილი მიზნების მიღწევის ხარისხისა და გამოყენებული გზების ეფექტიანობის განსაზღვრას.

მეთოდოლოგიით განსაზღვრულია, რომ სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას განახორციელებს სპეციალურად შექმნილი სამუშაო ჯგუფი. აღნიშნული ჯგუფის ფუნქციები მოიცავს:

- შესრულებული აქტივობების ანალიზს;
- განსაზღვრულ ინდიკატორებთან შესაბამისობის შეფასებას;
- საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციების შემუშავებას;
- ცვლილებების ინიცირებას.

ვიზიტისას დადგინდა, რომ სტრატეგიული დაგეგმარების დოკუმენტი დამტკიცებულია 2025–2026 სასწავლო წლის დასაწყისში, შესაბამისად მისი შესრულების ციკლი მიმდინარეა და მონიტორინგისა და შეფასების სრული პროცესი ჯერ არ განხორციელებულა. ამ გარემოების გამო, შესრულების შედეგების დამადასტურებელი მტკიცებულებები ამ ეტაპზე ვერ იქნება წარმოდგენილი, თუმცა დოკუმენტში მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები დეტალურად არის გაწერილი და სტრუქტურულად განსაზღვრული.

ინტერვიუების დროს ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ მონიტორინგის პროცესი განხორციელდება სისტემურად, სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული ანგარიშების საფუძველზე, რაც შემდგომში გახდება გეგმის კორექტირების საფუძველი. დოკუმენტში ნახსენებია ანგარიშგება, თუმცა არ არის მკაფიოდ განსაზღვრული იმ სტრუქტურული ერთეულის ან პოზიციის ფუნქციები, რომელიც პასუხისმგებელია სტრატეგიული მიზნების მიღწევის პროგრესის გაზომვაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით **<u>სკოლამ მიიღო რჩევა,</u>** მეთოდოლოგიის დოკუმენტში მკაფიოდ განისაზღვროს მონიტორინგის პერიოდულობა, ანგარიშგების ფორმა და პასუხისმგებელი

პირის ფუნქციები, რათა სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში უზრუნველყოფილი იყოს მიზნების მიღწევის სისტემური შეფასება და საჭიროების შემთხვევაში დროული კორექტირების განხორციელება. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით

წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება გაწერილია სისტემურად და ინსტიტუციურად.

მეთოდოლოგიაში განსაზღვრულია, რომ მონიტორინგი განხორციელდება როგორც მიმდინარე დაკვირვების, ასევე ანგარიშგების მექანიზმის გამოყენებით. კერძოდ, სასწავლო წლის ბოლოს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ წერილობით ანგარიშებს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ. აღნიშნული ანგარიშები მოიცავს განხორციელებული აქტივობების აღწერას, მიღწეულ შედეგებს, პრობლემურ საკითხებს და საჭირო რეკომენდაციებს.

ასევე დოკუმენტში გაწერილია, რომ ყოველი 3 წლის დასრულებისას და 7-წლიანი ციკლის დასრულების შემდეგ (ახალი სტრატეგიული გეგმის დამტკიცებამდე) სამუშაო ჯგუფის სხდომაზე განიხილება სტრატეგიული გეგმის შესრულების შემაჯამებელი ანგარიშები. აღნიშნული განხილვა მოიცავს დაგეგმილი მიზნების მიღწევის ხარისხის შეფასებას, გამოყენებული მექანიზმების ეფექტიანობის ანალიზს და საჭირო კორექტირების განსაზღვრას.

ვიზიტის მომენტისთვის, რადგან სტრატეგიული გეგმა დამტკიცებულია 2025–2026 სასწავლო წლის დასაწყისში, სრულფასოვანი 3-წლიანი ან 7-წლიანი ციკლის შეფასება ბუნებრია ჯერ არ განხორციელებულა, თუმცა მონიტორინგისა და შეფასების ინსტიტუციური მექანიზმი დოკუმენტურად განსაზღვრულია და ფუნქციურად დაგეგმილია. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა

ვიზიტის პროცესში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სტრატეგიული განვითარების გეგმისა და სამოქმედო გეგმის საჯაროობის მექანიზმები, რომლებიც გაწერილია სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში (დამტკიცებული დირექტორის 2025 წლის 12 სექტემბრის №2-283 ბრძანებით და შეთანხმებული სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 3 სექტემბრის №3 სხდომის ოქმით).

დოკუმენტაციის ანალიზით დადგინდა, რომ სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმები საჯაროდ ხელმისაწვდომია – სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებულია როგორც შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა (2025–2032 წწ.), ასევე ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. აღნიშნული გარემოება უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვას.

ვიზიტის მომენტისთვის სტრატეგიული გეგმა ახალი დამტკიცებულია და სრული ციკლის შედეგები ჯერ არ არსებობს, თუმცა საჯაროობის მექანიზმები დოკუმენტურად განსაზღვრულია და ინსტიტუციურად უზრუნველყოფილია. ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ მიღებული შედეგების არსებობის შემთხვევაში ისინი განთავსდება სკოლის ვებგვერდზე, სოციალურ ქსელში და აისახება საინფორმაციო დაფაზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის

ვიზიტის პროცესში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი (დამტკიცებული დირექტორის 2025 წლის 12 სექტემბრის №2-283 ბრძანებით და შეთანხმებული სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 3 სექტემბრის №3 სხდომის ოქმით), ასევე წარმოდგენილი ერთწლიანი და შვიდწლიანი გეგმების სტრუქტურა და მონიტორინგის მექანიზმები.

დოკუმენტაციის ანალიზით დადგინდა, რომ სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები არ განიხილება მხოლოდ ანგარიშგების ფორმალურ ნაწილად, არამედ გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. მეთოდოლოგიის მიხედვით, სასწავლო წლის ბოლოს წარმოდგენილი ანგარიშების საფუძველზე ივსება შესაბამისი ანალიზის ცხრილები, სადაც აისახება თითოეული სტრატეგიული მიმართულების, ამოცანისა და აქტივობის შესრულების მდგომარეობა.

ვიზიტისას ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ ანგარიშის სახით მიღებული ინფორმაცია გამოყენებული იქნება შემდგომი დაგეგმვისას – როგორც ახალი ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შედგენისას, ასევე სტრატეგიული მიმართულებების გადახედვისას. შესაბამისად, შეფასების შედეგები გახდება გადაწყვეტილების მიღების საფუძველი.

მიუხედავად იმისა, რომ სტრატეგიული გეგმა ახალი დამტკიცებულია და სრულფასოვანი ციკლის შედეგები ჯერ არ არსებობს, დოკუმენტურად განსაზღვრულია მექანიზმი, რომლის მიხედვითაც შესრულების შედეგები გამოყენებული იქნება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის, მათ შორის მიზნების კორექტირებისა და სამოქმედო გეგმის განახლებისთვის. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

რეალისტური იქნებადასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- სკოლის ერთწლიანი განვითარების გეგმა;
- სკოლის ვებ.გვერდისა და სოციალური გვერდის მისამართები:
- სკოლის FB გვერდი: https://www.facebook.com/profile.php?id=100064256010180

- სკოლის ვებ გვერდი:https://skolebi-admin.emis.ge/auth
- SWOT ანალიზი;
- სკოლის დირექტორის N 2-283 ბრძანება;

შეფასება:

ο გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
ο შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

ვიზიტის პროცესში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის სტრუქტურული ერთეულების დებულებები, საშტატო განრიგი (საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმებული და 2025 წლის 16 დეკემბრის №1789081 ბრძანებით დამტკიცებული), შრომითი ხელშეკრულებები, სკოლის შინაგანაწესი, სტრუქტურის გრაფიკული სქემა, ასევე საბჭოებისა და კომიტეტების საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტები.

დოკუმენტაციის ანალიზით და ადმინისტრაციასთან, პედაგოგებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები განსაზღვრულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, კერძოდ, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანების საფუძველზე.

ვიზიტისას დადასტურდა, რომ თითოეული სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის სფერო, უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა დეტალურად არის გაწერილი შესაბამის დებულებებში.

სკოლის თანამდებობრივი სტრუქტურა შედგება დირექციის, ადმინისტრაციის, ტექნიკური პერსონალისა და მასწავლებლებისგან. თითოეულ თანამშრომელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, სადაც მკაფიოდ არის განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობები. თანამშრომლები ხელშეკრულების გაფორმებამდე ეცნობიან დაკისრებულ პასუხისმგებლობებს, ხოლო საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობენ როგორც ხელშეკრულებით, ისე შინაგანაწესითა და მოქმედი კანონმდებლობით.

მასწავლებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში ასახულია მათი სტატუსის შესაბამისი უფლებები და მოვალეობები. ისინი საქმიანობისას ხელმძღვანელობენ მასწავლებლის პროფესიული სტანდარტითა და ეთიკის კოდექსით.

ინკლუზიური განათლების მიმართულებით ჩართული სპეციალისტების ფუნქციები განსაზღვრულია ხელშეკრულებებითა და შესაბამისი დებულებებით; ისინი საქმიანობისას ითვალისწინებენ მულტიდისციპლინური გუნდის რეკომენდაციებსა და სამინისტროს კოორდინატორის მითითებებს.

სკოლის ექიმი ფუნქციების განხორციელებისას ხელმძღვანელობს როგორც შრომითი ხელშეკრულებით, ასევე სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტითა და სამედიცინო კაბინეტის ფუნქციონირების წესით.

პედაგოგიური საბჭო შედგება ყველა მასწავლებლისგან, მათ შორის სპეციალური მასწავლებლისგან. 2025/2026 სასწავლო წელს ფუნქციონირებს 7 საგნობრივი კათედრა, რომლებიც საქმიანობას ახორციელებენ კათედრის დებულების საფუძველზე.

სამეურვეო საბჭო დაკომპლექტებულია მასწავლებელთა და მშობელთა თანაბარი წარმომადგენლობით; თითოეული საფეხურიდან წარმოდგენილია 2 მშობელი. საბჭოში სათათბირო ხმის უფლებით შედის საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე. სამეურვეო საბჭოს მიერ არჩეული დისციპლინური კომიტეტი დაკომპლექტებულია მოსწავლეთა, მშობლებისა და მასწავლებლების თანაბარი წარმომადგენლობით.

მოსწავლეთა თვითმმართველობები აირჩევიან ერთწლიანი ვადით და საქმიანობენ საკუთარი დებულების საფუძველზე. მათ აქვთ კლუბების შექმნისა და ინიციატივების წარდგენის უფლება.

მანდატურის სამსახურის წარმომადგენლები უზრუნველყოფენ უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, მათი საქმიანობა რეგულირდება ეთიკის კოდექსით.

<u>სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურის სქემის ანალიზის შედეგად დასაზუსტებელია რამდენიმე შინაარსობრივი და სტრუქტურული საკითხი, რათა წარმოდგენილი სქემა სრულად ასახავდეს მმართველობითი და სათათბირო ორგანოების ფუნქციურ იერარქიასა და ურთიერთდამოკიდებულებას.</u>

წარმოდგენილ სქემაში **მმართველობითი და სათათბირო ორგანოები ერთ ჰორიზონტალურ დონეზეა განთავსებული**. კერძოდ, „მრჩეველთა საბჭო“ და „მოსწავლეთა თვითმმართველობა“ ვიზუალურად განთავსებულია დირექციისა და სამეურვეო საბჭოს გვერდით, რაც ქმნის შთაბეჭდილებას, რომ აღნიშნულ ორგანოებს აქვთ გადაწყვეტილების მიღების ისეთივე მმართველობითი ძალა, როგორიც

დირექტორსა და სამეურვეო საბჭოს. რეალურად, მათი ფუნქცია საკონსულტაციო და წარმომადგენლობითი ხასიათისაა. აღნიშნული ვიზუალური განლაგება შეიძლება გახდეს არასწორი ინტერპრეტაციის საფუძველი მმართველობის სისტემის შეფასებისას.

ამასთანავე, სქემაში სრულად არ იკვეთება **ანგარიშვალდებულებისა და დაქვემდებარების ხაზები**. კერძოდ, დირექციიდან ქვემოთ მიმართული ისრები მიუთითებს სტრუქტურულ დაქვემდებარებაზე, თუმცა არ ჩანს კავშირი სამეურვეო საბჭოსა და დირექტორს შორის. ორგანიზაციული მართვის ლოგიკის მიხედვით, სამეურვეო საბჭო ახორციელებს დირექტორის საქმიანობის ზედამხედველობას, ხოლო დირექტორი ანგარიშვალდებულია საბჭოს წინაშე. აღნიშნული ურთიერთკავშირი სქემაში ვიზუალურად არ არის წარმოდგენილი, რაც ართულებს მართვის მოდელის სრული სურათის აღქმას.

დამატებით გამოიკვეთა **სტრუქტურული ერთეულების დასახელების შესაძლო დუბლირების ან გაურკვევლობის საკითხი**. სქემაში ერთდროულად ფიქსირდება „დისციპლინური საბჭო“ და „დისციპლინური კომიტეტი“. დოკუმენტაციიდან არ იკვეთება, წარმოადგენს თუ არა ეს ერთი და იმავე ფუნქციის მქონე ორგანოს განსხვავებულ დასახელებას, თუ დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულებს.

ასევე დირექტორის ბრძანებაში მოხსენიებულია ხარისხის მართვის/განვითარების ჯგუფი, თუმცა აღნიშნული ერთეული არ არის ასახული ორგანიზაციული სტრუქტურის სქემაში. თუ აღნიშნული ჯგუფი რეალურად ფუნქციონირებს სკოლის მართვის სისტემაში, მიზანშეწონილია მისი ასახვა სტრუქტურულ სქემაში შესაბამისი პოზიციური მდებარეობით.

გარდა ამისა, სქემაში მითითებულია კონკრეტული პირების სახელები და გვარები. ორგანიზაციული სტრუქტურის სქემა წარმოადგენს ინსტიტუციურ დოკუმენტს და, როგორც წესი, მასში ასახულია მხოლოდ პოზიციები ან სტრუქტურული ერთეულები, ხოლო კონკრეტული პირები ფიქსირდება საშტატო განრიგში ან შესაბამის დანართებში. პირადი მონაცემების მითითება ორგანიზაციულ სქემაში ქმნის დამატებით ადმინისტრაციულ სირთულეს, რადგან საკადრო ცვლილებების შემთხვევაში საჭირო გახდება სქემის ხელახლა დამტკიცება.

ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა დასკვნის პროექტზე **<u>სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია</u>** და განახლებული ორგანიზაციული სტრუქტურის სქემა. სკოლამ სრულად გაითვალისწინა დასკვნის პროექტში წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებები და რჩევები, რის საფუძველზეც აღმოფხვრა დაფიქსირებული ბუნდოვანება. კერძოდ:

- სკოლამ მოახდინა დისციპლინური ორგანოს დასახელების უნიფიცირება სკოლის წესდებასთან შესაბამისობაში, რითაც გამოირიცხა ტერმინოლოგიური დუბლირება („დისციპლინური საბჭო“/„დისციპლინური კომიტეტი“). ასევე, ორგანიზაციულ სქემაში აისახა ხარისხის მართვის/განვითარების ჯგუფი, მისი ფუნქციური დანიშნულებისა და ანგარიშვალდებულების (დირექტორის მიმართ) შესაბამისი პოზიციური მდებარეობით.
- განახლებული სქემიდან ამოღებულია კონკრეტულ პირთა სახელები და გვარები. დოკუმენტში ასახულია მხოლოდ სტრუქტურული ერთეულები და პოზიციები, რაც უზრუნველყოფს სქემის ინსტიტუციურ მდგრადობას და გამორიცხავს საკადრო ცვლილებების დროს დოკუმენტის ხელახალი დამტკიცების საჭიროებას.
- სქემაში მკაფიოდ არის გამიჯნული მმართველობითი, სათათბირო და საკონსულტაციო ორგანოები. ნათლად არის წარმოდგენილი დაქვემდებარებისა და ანგარიშვალდებულების ჯაჭვი, რაც უზრუნველყოფს სკოლის მართვის სისტემის გამჭვირვალობას.

ექსპერტთა ჯგუფმა შესწავლილი მტკიცებულებების (განახლებული ორგანიზაციული სტრუქტურის სქემა, დირექტორის ბრძანება სტრუქტურაში ცვლილებების შეტანის შესახებ) საფუძველზე მიიჩნია, რომ სკოლის მართვის ორგანოები სტრუქტურულად გამართულია. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას

სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (emis) ასახული პერსონალისა და მათი ხელშეკრულებების ანალიზით, სკოლის საშტატო განრიგით, თანამდებობრივი ინსტრუქციების დოკუმენტით და სკოლის ორგანოგრამით დასტურდება, რომ სტრუქტურული ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება სრულად მოიცავს იმ სფეროსა და არეალს, რომლებიც სკოლის ძირითად საქმიანობის შესრულებასა და მიზნებს უკავშირდება. გასაუბრება ჩატარდა სკოლის სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებთან, მასწავლებლებთან და ადმინისტრაციის წევრებთან. ინტერვიუს პროცესში მათ განმარტეს, თავიანთი ფუნქცია-მოვალეობების ფარგლებში როგორ უწყობენ ხელს საგანმანათლებლო საქმიანობას. მშობლებთან გასაუბრებითაც დადასტურდა, რომ ისინი ინფორმირებულნი არიან სკოლაში დასაქმებულ პირთა ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების შესახებ და საჭიროების შემთხვევაში იციან ვის უნდა მიმართონ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით.

ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების მკაფიო გამიჯვნა, ანგარიშვალდებულების განსაზღვრული სისტემა და კოლეგიალური მმართველობის მოდელი რეალურად უწყობს ხელს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას, სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვასა და სკოლის სტრატეგიული მიზნების მიღწევას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შრომითი ხელშეკრულებები;
- საშტატო განრიგი;
- ბრძანება თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე;
- სკოლის შინაგანაწესი.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად

ვიზიტის პროცესში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის შინაგანაწესი, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, შრომითი ხელშეკრულებების ნიმუშები, თანამდებობრივი ინსტრუქციები, მასწავლებლის ვაკანტური საათების განაწილების წესი, ხარისხის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი და სხვა მარეგულირებელი აქტები. ასევე გაიმართა გასაუბრება ადმინისტრაციისა და სხვადასხვა კატეგორიის თანამშრომლებთან.

დოკუმენტაციის ანალიზით დადგინდა, რომ პერსონალის მართვის პროცესები რეგულირებულია რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული დოკუმენტით და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, მათ შორის საქართველოს შრომის კოდექსს.

შინაგანაწესით დეტალურადაა დარეგულირებული ისეთი საკითხები, როგორიცაა:

- სამუშაო დროისა და დასვენების დროის ხანგრძლივობა;
- შვებულების ტიპები და წესები;
- წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის მექანიზმები;
- დასაქმებულთა უფლებები და ვალდებულებები.

აღნიშნული ნორმები არ მოდის წინააღმდეგობაში მოქმედ კანონმდებლობასთან და შეესაბამება შრომით სამართლებრივ ჩარჩოს. დასაქმებულებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები შეიცავს მხარეთა უფლებებისა და ვალდებულებების მკაფიო აღწერას, შრომითი ურთიერთობის პირობებს, ანაზღაურების წესს, სამუშაო დროის რეჟიმს და პასუხისმგებლობის საკითხებს. ხელშეკრულებების შინაარსი შესაბამისობაშია საქართველოს შრომის კოდექსთან. გასაუბრებისას თანამშრომლებმა დაადასტურეს, რომ ხელშეკრულების პირობები მათთვის წინასწარ არის ცნობილი და დაცულია პრაქტიკაში.

პერსონალის მართვის პროცესებთან დაკავშირებული საკითხები ასახულია ასევე:

- ადამიანური რესურსების მართვის ერთიან პოლიტიკის დოკუმენტში;
- ხარისხის მართვის პოლიტიკაში;
- თანამდებობრივ ინსტრუქციებში;
- მასწავლებლის ვაკანტური საათების განაწილების წესში.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი განსაზღვრავს:

- პერსონალის მართვის მიზნებსა და პრინციპებს;
- პოლიტიკის როლს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში;
- პროფესიული განვითარების მექანიზმებს;
- შერჩევისა და შეფასების პროცესებს.

ვიზიტისას დადასტურდა, რომ პერსონალის შერჩევა და დანიშვნა ხორციელდება კანონმდებლობით განსაზღვრული წესების შესაბამისად; საჭიროების შემთხვევაში იქმნება საკონკურსო კომისიები. ასევე მოქმედებს პროფესიული მხარდაჭერისა და ხარისხის განვითარების მექანიზმები, რაც პერსონალის საქმიანობის ეფექტიანობას უკავშირდება.

ადმინისტრაციასთან და თანამშრომლებთან გასაუბრებამ დაადასტურა, რომ პერსონალთან დაკავშირებული საკითხები (შრომითი ურთიერთობა, შვებულება, წახალისება, დისციპლინა, პროფესიული განვითარება) ხორციელდება კანონმდებლობისა და სკოლის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე დადგინდა, რომ პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა

სკოლაში პერსონალის მართვის პოლიტიკა რეგულირდება ადამიანური რესურსების მართვის ერთიანი პოლიტიკის დოკუმენტით, შინაგანაწესით, თანამდებობრივი ინსტრუქციებით, მასწავლებლის ვაკანტური საათების წესითა და დამტკიცებული საშტატო განრიგით. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ პერსონალის მართვის პროცესი ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად.

საშტატო განრიგი დამტკიცებულია სამინისტროსთან შეთანხმებით, რაც უზრუნველყოფს თანამდებობებისა და პოზიციების სამართლებრივ სიზუსტესა და საჭიროებებზე შესაბამისობას. პერსონალის მოზიდვა ხორციელდება სკოლის რეალური საჭიროებების გათვალისწინებით — საგნობრივი დატვირთვის, სასწავლო გეგმის, ინკლუზიური განათლების საჭიროებებისა და სტრატეგიული მიმართულებების შესაბამისად. თითოეულ თანამშრომელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, სადაც მკაფიოდ არის განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობები და პასუხისმგებლობები.

დოკუმენტების ანალიზითა და ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ პერსონალის მართვის პოლიტიკა შეიცავს როგორც პრევენციულ, ასევე ინტერვენციულ მექანიზმებს.

პრევენციული მექანიზმები მოიცავს:

- ფუნქცია-მოვალეობების მკაფიო განსაზღვრას;
- პროფესიული განვითარების სისტემურ ორგანიზებას;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის საქმიანობას;
- ურთიერთდასწრებისა და განმავითარებელი უკუკავშირის პრაქტიკას.

ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი სისტემატურად გეგმავს ურთიერთდასწრებებს, უზრუნველყოფს გაკვეთილებზე დასწრებასა და განმავითარებელი რეკომენდაციების გაცემას. მასწავლებლები ახორციელებენ გაკვეთილის რეფლექსიას, რაც ადასტურებს პროფესიული განვითარების უწყვეტობას და პროცესის არა ფორმალურ, არამედ შინაარსობრივ ხასიათს.

ინტერვენციული მექანიზმები ამოქმედდება კონკრეტული საჭიროების შემთხვევაში და მოიცავს ინდივიდუალური პროფესიული განვითარების ღონისძიებების დაგეგმვას, დამატებითი კონსულტაციების ორგანიზებას, მიზნობრივ მენტორინგს და, საჭიროების შემთხვევაში, დისციპლინური პროცედურების კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვას. აღნიშნული პროცესი ეფუძნება ფაქტობრივ მონაცემებს (მონიტორინგის შედეგები, ურთიერთდასწრების ჩანაწერები, ანგარიშები) და ხორციელდება სამართლიანობისა და პროფესიული ეთიკის პრინციპების დაცვით.

დადგენილია, რომ სკოლაში პროფესიული განვითარების პროცესი არის უწყვეტი და არა ეპიზოდური. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი პასუხისმგებელია პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაზე, რაც ქმნის სისტემურ მექანიზმს სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

აღნიშნული პოლიტიკა პრაქტიკაში დანერგილია და არ შემოიფარგლება მხოლოდ დოკუმენტური არსებობით. ადმინისტრაციასთან და თანამშრომლებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად და ორიენტირებულია პროფესიული ზრდისა და სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებაზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

სკოლაში პერსონალის შერჩევის პროცესი რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობითა და შიდა ნორმატიული დოკუმენტებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და საკონკურსო მასალების ანალიზით დასტურდება, რომ მასწავლებელთა შერჩევა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად. აღნიშნული სამართლებრივი ჩარჩო განსაზღვრავს საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის პირობებს, რაც უზრუნველყოფს პროცესის კანონიერებასა და ერთიან სტანდარტთან შესაბამისობას.

დადგენილია, რომ ვაკანტური პოზიციების შემთხვევაში სკოლის დირექტორი განსაზღვრავს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ქმნის საკონკურსო კომისიას და ამტკიცებს კონკურსის ჩატარების წესსა და ვადებს. კომისიის შემადგენლობა მოიცავს როგორც სკოლის შიდა წარმომადგენლებს, ასევე მოწვეულ სპეციალისტებს (მათ შორის სამინისტროსა და პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებს), რაც ზრდის პროცესის ობიექტურობასა და პროფესიულ სანდოობას.

კანდიდატთა შეფასება ეფუძნება წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებს. კომისია ახორციელებს დოკუმენტაციის გადარჩევას, ატარებს გასაუბრებას და გადაწყვეტილებას იღებს შეფასების ერთიანი მიდგომის საფუძველზე. გასაუბრების შედეგები ეცნობება აპლიკანტებს, რაც მიუთითებს პროცესის გამჭვირვალობაზე და უკუკავშირის უზრუნველყოფაზე.

სკოლა ყველა ვაკანსიას აცხადებს teachers.jobs.ge პლატფორმაზე, სადაც განთავსებულია როგორც საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ასევე შერჩევის ეტაპები. აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს საჯაროობას და თანაბარ ხელმისაწვდომობას დაინტერესებული პირებისთვის.

ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის შერჩევის პროცესიც რეგულირდება შესაბამისი სამართლებრივი აქტით (მინისტრის №16/ნ ბრძანება). ამ შემთხვევაში კომისიაში მოწვეული წევრის სახით მონაწილეობს მულტიდისციპლინური ჯგუფის წარმომადგენელი, რაც უზრუნველყოფს პროფესიული შესაბამისობისა და სპეციალიზებული კომპეტენციის შეფასებას.

დოკუმენტაციის ანალიზით დადასტურდა, რომ შერჩეულ კანდიდატებთან სკოლა აფორმებს შრომით ხელშეკრულებებს კანონმდებლობით დადგენილი წესით და აწარმოებს თანამშრომელთა პირად საქმეებს. აღნიშნული პროცესი სრულად შეესაბამება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონსა და საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნებს.

მტკიცებულებების (ბრძანება კონკურსის გამოცხადების შესახებ, კომისიის ოქმები, შედეგების დადგენა, ხელშეკრულებები, ვაკანსიის საჯარო გამოცხადება) საფუძველზე დგინდება, რომ პერსონალის შერჩევის პროცესი არ არის ფორმალური, არამედ სისტემურად ორგანიზებული და სამართლებრივად გამართული.

კონკურსის მასალების შესწავლის საფუძველზე **სკოლას მიეცა რჩევა,** საკონკურსო კომისიის საქმიანობის დოკუმენტაციაში უზრუნველყოს ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ ჩანაწერის ან დეკლარაციის დაფიქსირება, კანდიდატების შეფასების პროცესში გამოიყენოს მკაფიო და წინასწარ განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმები და ოქმებს დაურთოს კომისიის წევრთა ინდივიდუალური შეფასების ფურცლები. ასევე რეკომენდებულია, კომისიის წევრთა განსხვავებული პოზიციები საჭიროების შემთხვევაში მოკლედ აისახოს ოქმებში, ხოლო დოკუმენტებში არსებული ტექნიკური შეცდომები გასწორდეს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

დოკუმენტაციის ანალიზის, წარმოდგენილი შრომითი ხელშეკრულებების, პირადი საქმეების, საკვალიფიკაციო დოკუმენტებისა და სამართლებრივი აქტების შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაცია ძირითადად შეესაბამება მათ მიერ დაკავებულ პოზიციებს.

მასწავლებელთა შერჩევა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ შესაბამისად. შერჩევის პროცესში გათვალისწინებულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები, განათლების დონე, პროფესიული გამოცდილება და შესაბამისი სტატუსი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ დასაქმებულ მასწავლებელთა უმრავლესობას აქვს შესაბამისი უმაღლესი განათლება და პროფესიული კომპეტენცია.

სკოლის სამედიცინო პერსონალის (ექიმი) შერჩევა და საქმიანობა რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის №41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული სტანდარტის შესაბამისად. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სამედიცინო პერსონალს გააჩნია შესაბამისი პროფესიული განათლება და ლიცენზია, ხოლო სამედიცინო კაბინეტი ფუნქციონირებს დადგენილი წესის შესაბამისად.

დამხმარე და ტექნიკური პერსონალის (დარაჯი, დამლაგებელი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი და სხვა თანამშრომლები) შერჩევა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის შინაგანაწესის მოთხოვნების შესაბამისად. თითოეულ პოზიციაზე განსაზღვრულია ფუნქციური მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რაც ასახულია შრომით ხელშეკრულებებსა და თანამდებობრივ ინსტრუქციებში.

წარმოდგენილი მტკიცებულებების (დიპლომები, სერტიფიკატები, ლიცენზიები, საკონკურსო მასალები, შრომითი ხელშეკრულებები და თანამდებობრივი ინსტრუქციები) ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ პერსონალის დაკომპლექტება არ არის ფორმალური, არამედ ეფუძნება პოზიციის მოთხოვნებთან შესაბამისობის პრინციპს. შეფასებით დასტურდება, რომ საკვალიფიკაციო მოთხოვნები წინასწარ განსაზღვრულია, შერჩევის პროცესი რეგულირდება შესაბამისი სამართლებრივი აქტებით, ხოლო პერსონალის განათლება და პროფესიული გამოცდილება უმეტეს შემთხვევაში შეესაბამება დაკავებულ პოზიციებს.

ამასთან, დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა **ხარვეზი:** სპორტისა და დაწყებით საფეხურზე ისტ-ის პედაგოგებს არ აქვთ გავლილი სერტიფიცირების ეტაპი და არ უფიქსირდებათ დადასტურებული საგნობრივი კომპეტენცია.

<u>ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა დასკვნის პროექტზე სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.</u> სკოლამ გაითვალისწინა დასკვნის პროექტში წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებები, თუმცა ვერ უზრუნველყო ხარვეზის სრულად აღმოფხვრა, რომელიც დაკავშირებულია დაუდასტურებელი კომპეტენციის მქონე პედაგოგების დასაქმებასთან, აღნიშნული საკითხის აღმოფხვრა გაწერა შესაბამისობის გეგმაში- მომდევნო (2026-2027)სასწავლო წლის დაწყებამდე .

სკოლამ მიიღო რეკომენდაცია: შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (2026-2027 სასწავლო წლის დაწყებამდე) სკოლამ უზრუნველყოს ყველა საგანში კომპეტენცია დადასტურებული პედაგოგების დასაქმება. **<u>ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.</u>**

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

სკოლაში შექმნილი თანამშრომლობითი გარემო ადასტურებს, რომ სკოლის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება გუნდური, თანამშრომლობითი მუშაობის პრინციპებს. მასწავლებელთა შერჩევის პროცესს წარმართავს კომისია, რომლის წევრებიც არიან სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა წევრები, რაც პერსონალის მართვაში მათ თანამონაწილეობას უზრუნველყოფს. სკოლაში ფუნქციონირებს შვიდი საგნობრივი კათედრა. მასწავლებლებთან გასაუბრებით და შესაბამისი დოკუმენტაციით დადასტურდა, რომ კათედრები პერიოდულად იკრიბებიან და უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ასევე განიხილავენ გეგმიურ საკითხებს. კათედრის თითოეული წევრი ჩართულია კურიკულუმების შემუშავების პროცესში. ანალოგიურად დადასტურდა სხვა კოლეგიალური ორგანოების აქტიური თანამშრომლობაც. მშობლებმაც ინტერვიუში ხაზი გაუსვეს, რომ სკოლის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციის კულტურა ეფუძნება გუნდური, თანამშრომლობითი, მუშაობის პრინციპებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებულია პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისთვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისთვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისთვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისთვის თანამშრომელთა წახალისების შემდეგი ფორმები: მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, ერთჯერადი ფულადი პრემიის გაცემა. ამასთანავე, სკოლას აქვს სოციალური ქსელი, სადაც პერიოდულად ხდება სიახლეების გაზიარება, სკოლის მიღწევების შესახებ ინფორმაციის განთავსება. სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრებისა და სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე დგინდება, რომ წარმატებული გამოცდილების გაზირებისა და აღიარების მიზნით სკოლაში აქტიურად ტარდება სამუშაო შეხვედრები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი
- შრომითი ხელშეკრულებები;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- კონკურსიდს ჩატარების წესი;
- საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- ადამიანური რესურსების განვითარების გეგმა;
- ადამიანური რესურსების მართვასა და განვითარებასთან დაკავშირებული აქტივობები;

- ხარისხის მართვის ჯგუფის დებულება;
- ბრძანება პრემიის გაცემის შესახებ;

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
o შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☒ **მეტწილად შეესაბამება**
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები

დოკუმენტაციის (ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, პროფესიული განვითარების გეგმები, შეხვედრების ოქმები და პრაქტიკული აქტივობები) ანალიზით დასტურდება, რომ სკოლაში დამკვიდრებულია კოლეგიალური მხარდაჭერის კულტურა, რომელიც ეფუძნება ნდობისა და ურთიერთპატივისცემის პრინციპებს და უზრუნველყოფს პედაგოგთა პროფესიული ავტონომიისა და ინოვაციური მიდგომების წახალისებას. მასწავლებლები სისტემატურად ახორციელებენ პროფესიულ რეფლექსიას, ხოლო მხარდაჭერა ხორციელდება ურთიერთდასწრებების, კონსულტაციების, სამუშაო შეხვედრებისა და ერთობლივი პროექტების გზით.

პერსონალის მართვის პოლიტიკის ანალიზით გამოიკვეთა შინაარსობრივი და სტრუქტურული საკითხები, რომლებიც საჭიროებს დაზუსტებას ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. კერძოდ, დასაქმების პროცედურასთან დაკავშირებული ჩანაწერი („პირადი განცხადების საფუძველზე“) ვერ უზრუნველყოფს შერჩევის პროცესის გამჭვირვალობას და საჭიროებს დაზუსტებას, რათა მკაფიოდ განისაზღვროს ღია და კონკურენტული შერჩევის მექანიზმი.

ასევე გამოვლინდა ფუნქციური დუბლირება პერსონალის მართვის პოლიტიკასა და ხარისხის ჯგუფის დებულებას შორის, განსაკუთრებით მასწავლებელთა საქმიანობის მონიტორინგისა და შეფასების ნაწილში, რაც ქმნის პასუხისმგებლობების გაუმიჯნაობის რისკს.

სკოლას მიეცა რჩევა: პერსონალის მართვის პოლიტიკასა და ხარისხის ჯგუფის დებულებას შორის ფუნქციები მკაფიოდ გაიმიჯნოს, განსაკუთრებით მასწავლებელთა საქმიანობის მონიტორინგისა და შეფასების ნაწილში, რათა გამოირიცხოს პასუხისმგებლობების დუბლირება და უზრუნველყოფილი იყოს ინსტიტუციური მართვის თანმიმდევრულობა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2.პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად

წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, პროფესიული განვითარების გეგმა, დირექტორის ბრძანებები, შეხვედრების ოქმები) ანალიზით დასტურდება, რომ დირექტორისა და დირექტორის მოადგილის აქტიური ჩართულობით ხორციელდება პერსონალის პროფესიული განვითარების პროცესის დაგეგმვა და კოორდინირება. დოკუმენტურად დადასტურებულია, რომ:

- რეგულარულად ხდება პერსონალისთვის ინფორმაციის მიწოდება ტრენინგებისა და სემინარების შესახებ;
- ადმინისტრაცია უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების შესაძლებლობების ხელმისაწვდომობას;
- პროფესიული განვითარების საკითხები განიხილება სამუშაო შეხვედრებზე.

მასწავლებლები აქტიურად მონაწილეობდნენ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეთავაზებულ ტრენინგ-კურსებში, რაც დასტურდება მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატებითა და ანგარიშგებებით. აღნიშნული პრაქტიკა მიუთითებს, რომ პროფესიული განვითარება არა მხოლოდ დეკლარირებულია, არამედ რეალურად ხორციელდება.

სკოლაში ფუნქციონირებს ურთიერთდასწრების პრაქტიკა და სასწავლო აქტივობა „კრიტიკული მეგობარი“, რაც წარმოადგენს პროფესიული მხარდაჭერის შიდა მექანიზმს. კოლეგები ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, ახორციელებენ რეფლექსიას და უზიარებენ გამოცდილებას. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას და პროფესიული კომპეტენციის ზრდას.

ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტების პროფესიული მხარდაჭერა უზრუნველყოფილია როგორც ინფორმაციის მიწოდებით, ასევე ტრენინგებზე დასწრების ხელშეწყობით. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ აღნიშნული კატეგორიის თანამშრომლები ჩართულნი არიან პროფესიული განვითარების პროცესში და მათთვის ხელმისაწვდომია შესაბამისი რესურსები.

სკოლის დირექცია უზრუნველყოფს სხვა თანამშრომელთა (სამედიცინო პერსონალი, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი) პროფესიული განვითარების მხარდაჭერასაც. მათთვის სისტემატურად ვრცელდება ინფორმაცია პრიორიტეტული ტრენინგებისა და სემინარების შესახებ, რაც მიუთითებს, რომ პროფესიული განვითარება მოიცავს სკოლის მთელ პერსონალს და არ შემოიფარგლება მხოლოდ პედაგოგებით. შეფასებით დგინდება, რომ:

- პროფესიული განვითარების პროცესი მართულია და კოორდინირებული ხელმძღვანელობის მიერ;
  ფუნქციონირებს შიდა პროფესიული მხარდაჭერის მექანიზმები („კრიტიკული მეგობარი“, ურთიერთდასწრება);

- უზრუნველყოფილია გარე პროფესიული რესურსების ხელმისაწვდომობა;
  ინკლუზიური განათლების სპეციალისტები ჩართულნი არიან პროფესიული განვითარების პროცესში;
- პროფესიული განვითარება წარმოადგენს სკოლის მართვის სისტემის ინტეგრირებულ ნაწილს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლაში პროფესიული განვითარების პროცესს აქვს სისტემური, მართული და მხარდაჭერილი ხასიათი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3.სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ბრძანებების ანალიზით დგინდება, რომ სკოლაში პროფესიული განვითარება წარმოადგენს დაგეგმილ და მართულ პროცესს. პროფესიული განვითარების ხელშეწყობა ასახულია როგორც ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში, ასევე შესაბამის ბრძანებებსა და შიდა რეგულაციებში. დირექტორისა და ადმინისტრაციის აქტიური ჩართულობით ხორციელდება:

- პერსონალის ინფორმირება კანონმდებლობის ცვლილებების შესახებ;
- ტრენინგების, კონფერენციების, პროექტებისა და საპილოტე პროგრამების შესახებ ინფორმაციის სისტემური მიწოდება;
- კარიერული წინსვლის შესაძლებლობების გაზიარება.

დოკუმენტურად დასტურდება, რომ მასწავლებლებსა და თანამშრომლებს მიეწოდებათ ინფორმაცია როგორც გარე პროფესიული განვითარების რესურსების (ტრენინგები, ეროვნული ცენტრის პროგრამები, კონფერენციები), ასევე შიდა აქტივობების შესახებ. აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს პროფესიული ზრდის უწყვეტობას და პროფესიული შესაძლებლობების თანაბარ ხელმისაწვდომობას.

სკოლა ახალისებს მასწავლებლებს შიდა სასკოლო აქტივობების განხორციელების მიმართულებით (პროექტები, კვლევები, კონფერენციები, ოლიმპიადები და სხვა საგანმანათლებლო ინიციატივები). ეს მიუთითებს, რომ პროფესიული განვითარება არ შემოიფარგლება მხოლოდ გარე ტრენინგებით, არამედ ეფუძნება შიდა ინოვაციურ პრაქტიკასაც.

დამატებით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოში. დამწყები კადრები ეცნობიან სკოლის წესებსა და ორგანიზაციულ კულტურას, წარდგენილნი არიან პედაგოგიურ საბჭოსა და კათედრებზე, რაც ამარტივებს მათ პროფესიულ ადაპტაციას. აღნიშნულ პროცესში აქტიურად არიან ჩართული ადმინისტრაცია, დირექცია, კათედრები და პედაგოგიური საბჭო. დამწყები მასწავლებლების მხარდაჭერა მოიცავს:

- მენტორული და კოლეგიალური დახმარების მექანიზმებს;
- პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებაზე ორიენტირებულ პრაქტიკულ მხარდაჭერას;
- შიდა აქტივობებში ჩართვას.

შეფასებით დგინდება, რომ:

- პროფესიული განვითარება წარმოადგენს სკოლის სტრატეგიული მართვის კომპონენტს;
- უზრუნველყოფილია ინფორმაციის სისტემური გავრცელება პროფესიული შესაძლებლობების შესახებ;
- სკოლა ქმნის ინოვაციების მხარდამჭერ გარემოს;
- ახალი თანამშრომლების ინტეგრაცია ხორციელდება ორგანიზებულად;
- პროფესიული ზრდა არის უწყვეტი და მხარდაჭერილი ადმინისტრაციის მიერ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლა უზრუნველყოფს დასაქმებულთა პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებულ, სტრუქტურირებულ და მხარდაჭერილ გარემოს**. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

ინტერვიუს ფარგლებში დირექციამ და მასწავლებლებმა პრაქტიკულ მაგალითებზე დაყრდნობით აღწერეს ის პროცესი, რომელსაც ახორციელებენ ახალი თანამშრომლის მიღებისას. გასაუბრებით დადასტურდა, რომ სკოლა ახალი თანამშრომლის ადაპტაციის მიზნით იყენებს სხვადასხვა ღონისძიებასა და აქტივობას, მათ შორის: ახალი თანამშრომლისათვის სკოლის ორგანიზაციული კულტურის გაცნობა, სკოლის დათვალიერება, მისი პირადი ფუნქცია-მოვალეობების გაცნობა და განმარტება, ინფორმირება სკოლაში მიმდინარე სასწავლო და სააღმზრდელო პროცესების შესახებ, სკოლის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაციის გაცნობა, სკოლის თანამშრომლებისთვის ახალი თანამშრომლის წარდგენა, თანამშრომლის დამატება სკოლის საკომუნიკაციო დახურულ ჯგუფებში. აღნიშნული პროცესი არის გაწერილი შიდა მარეგულირებელი დოკუმენტით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

დოკუმენტაციისა და ინფრასტრუქტურის აღწერის ანალიზით დგინდება, რომ სკოლა ქმნის თანამშრომელთა პროფესიული ინიციატივების განვითარებისათვის ხელსაყრელ გარემოს, რომელიც მოიცავს როგორც ორგანიზაციულ, ისე მატერიალურ მხარდაჭერას.

სკოლა უზრუნველყოფილია თანამედროვე ტექნიკური რესურსებით (პროექტორები, ლეპტოპები, ყურსასმენები, ხმის გამაძლიერებლები, ელექტრონული მუსიკალური ინსტრუმენტი, პიანინო და სხვა ტექნიკური აღჭურვილობა), ასევე ფუნქციონირებს შესაბამისი სივრცეები — სააქტო დარბაზი, ისტ-ის ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზები და სამუშაო შეხვედრებისათვის განკუთვნილი კომფორტული გარემო. აღნიშნული ინფრასტრუქტურა რეალურად გამოიყენება პროფესიული აქტივობების, ტრენინგებისა და სასკოლო ინიციატივების განხორციელებისათვის.

შინაგანაწესში განსაზღვრულია თანამშრომელთა წახალისების მექანიზმები, რომლებიც მოიცავს როგორც არამატერიალურ (მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება), ასევე მატერიალურ ფორმებს (ფასიანი საჩუქარი, ერთჯერადი პრემია და სხვა). წარმოდგენილი რეგულაციები მიუთითებს, რომ წახალისების პოლიტიკა სისტემურად არის გაწერილი და არა ინდივიდუალურ გადაწყვეტილებებზე დამოკიდებული.

პერსონალთან გასაუბრებისას დასახელდა პროფესიული ინიციატივების მხარდაჭერის კონკრეტული მაგალითები, მათ შორის თანამშრომლის ტრენინგის დაფინანსება სკოლის ბიუჯეტიდან. აღნიშნული ფაქტი ადასტურებს, რომ ადმინისტრაცია მზად არის ფინანსური რესურსის გამოყოფისთვის, თუ ინიციატივა ემსახურება პროფესიულ განვითარებას და სასკოლო გარემოს გაუმჯობესებას.

სკოლა ხელს უწყობს მასწავლებელთა ინიციატივებს გამოცდილების გაზიარების მიმართულებით, რაც ხორციელდება სამუშაო შეხვედრების, ურთიერთდასწრებისა და შიდა პროფესიული დისკუსიების გზით. სასკოლო კლუბების ეფექტიანი საქმიანობა და კონკურსებში წარმატებული მონაწილეობა წარმოადგენს ინიციატივების მხარდაჭერის პრაქტიკულ შედეგს.

დამატებით, ადმინისტრაცია სისტემატურად აწვდის პერსონალს ინფორმაციას განათლების სისტემაში მიმდინარე კონკურსების, საგრანტო შესაძლებლობებისა და პროფესიული განვითარების პროექტების შესახებ და გამოხატავს მზაობას თანამშრომელთა ჩართულობის მხარდაჭერისათვის. შეფასებით დგინდება, რომ:

- სკოლაში ფუნქციონირებს ფორმალიზებული წახალისების პოლიტიკა;
- უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურული და ტექნიკური რესურსი;
- ინიციატივების მხარდაჭერა ხორციელდება როგორც ორგანიზაციულად, ისე ფინანსურად;
- პროფესიული აქტივობები რეალურად ხორციელდება და არ ატარებს დეკლარირებულ ხასიათს;
- ადმინისტრაცია ავლენს ღია და მხარდამჭერ პოზიციას თანამშრომელთა ინიციატივების მიმართ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლაში პერსონალის პროფესიული ინიციატივები წახალისებულია და მხარდაჭერილია სისტემურად. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების განვითარების გეგმა
- ადამიანური რესურსების მართვასა და განვითარებასთან დაკავშირებული მასალები/აქტივობები;
- სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.
- ხარისხის მართვის ჯგუფის დებულება
- ბრძანება პრემიის გაცემის შესახებ
- კათედრის დებულება
- სკოლის შინაგანაწესი.

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
o შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს

დაწესებულება პროცესების მართვას ახორციელებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაციის საფუძველზე. წარმოდგენილია შრომის შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და სხვა რეგულაციები, რომლებიც განსაზღვრავს საქმიანობის სამართლებრივ ჩარჩოსა და მართვის მექანიზმებს. აღნიშნული დოკუმენტაცია უზრუნველყოფს ორგანიზაციული პროცესების სტრუქტურულ, თანმიმდევრულ და სამართლებრივად გამართულ მართვას.

სკოლაში დანერგილია ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს ხარისხის მართვის ძირითად პრინციპებს, მექანიზმებსა და პროცესებს. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ცხადყოფს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ორიენტირებულია დაგეგმვა–განხორციელება–შეფასება–გაუმჯობესების ციკლის პრინციპზე. ხარისხის მართვის ფარგლებში განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები, ანგარიშგების ფორმები და მონიტორინგის მექანიზმები.

დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად იკვეთება, რომ ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით სკოლის საქმიანობა ეფუძნება შემდეგ ღირებულებებს: გამჭვირვალობა, საჯაროობა, ობიექტურობა, სანდოობა, უწყვეტობა და ვალიდურობა. აღნიშნული პრინციპები ასახულია როგორც პოლიტიკის დოკუმენტებში, ასევე მართვის პრაქტიკაში.

სკოლა უზრუნველყოფს პროცესების სისტემურ მონიტორინგს, შეფასებასა და შედეგების გამოყენებას შემდგომი განვითარებისთვის. წარმოდგენილი ბრძანებები და სხდომების ოქმები ადასტურებს, რომ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღება კოლეგიალურ

ფორმატში, განსაზღვრული პასუხისმგებლობებითა და ვადებით, რაც მიუთითებს მართვის სტრუქტურირებულ და დოკუმენტირებულ მოდელზე.

შედეგად, სკოლის პროცესების მართვის სისტემა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევას, ფუნქციების მკაფიო განაწილებას და ხარისხის სისტემურ უზრუნველყოფას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2.იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები

სკოლას დოკუმენტურად აქვს გაწერილი სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკაში. მმართველობითი პროცესები უკავშირდება სკოლის საქმიანობის დაგეგმვასა და კონტროლს. მასში იგულისხმება სხვადასხვა პროცესების დაგეგმვა, მისი განხორციელების მონიტორინგი და შეფასება (სტრატეგიული დაგეგმვა, ხარისხის უზრუნველყოფა და წლიური დაგეგმვა). ძირითად პროცესად სკოლაში განისაზღვრება: სასკოლო კურიკულუმის შემუშავება/გაუმჯობესება, სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა. მმართველობით და ძირითად პროცესებთან ერთად სკოლა ახორციელებს ისეთ დამხმარე პროცესებს, როგორიცაა მოსწავლის სერვისების განხორციელება, საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება, მატერიალური რესურსის მართვა, ფინანსური რესურსების მართვა, ადამიანური რესურსების მართვა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა, საქმის წარმოება (დოკუმენტბრუნვა) და სხვა. დირექციასთან გასაუბრებით დასტურდება, რომ მათ გააზრებული აქვთ აღნიშნული პროცესების მნიშვნელობა და როლი საგანმანათლებლო მიზნების მიღწევისთვის. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3.სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა

სკოლას შემუშვებული აქვს შემოსული განცხადებისა და საჩივრის განხილვის პროცედურა , რომლის მოქმედებაც ვრცელდება სასკოლო საზოგადოების (მოსწავლე, მშობელი, თანამშრომელი) ყველა წევრზე. სკოლა იღებს ვალდებულებას, რომ საჩივრის განხილვის სისტემა იყოს მიუკერძოებელი, გამჭვირვალე და უზრუნველყოფს პირის კანონიერი უფლებების დაცვას. აღნიშნული დოკუმენტი საჯაროდ ხელმისაწვდომია. ის განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე. დოკუმენტი აღწერს საჩივრის წარდგენის ფორმას, ვადებს, ითვალისწინებს კომისიის ფორმირებას ინტერესთა კონფლიქტის გარეშე, დისციპლინური სახდელის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების ზოგად წესს და ასევე მასწავლებლის ვაკანსიის შესავსებად გამოცხადებული კონკურსის შედეგების გასაჩივრების დეტალურ წესს. სკოლაში ფუნქციონირებს ასევე დისციპლინური კომიტეტი. სკოლის დირექციამ ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ აღნიშნული დოკუმენტის გამოყენების პრაქტიკა არ ჰქონია, რადგან არ დაფიქსირებულა საჩივარი. დოკუმენტაციისა და წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზი ადასტურებს, რომ სკოლაში განსაზღვრულია გასაჩივრების დეტალური პროცედურები, ხელმისაწვდომია ინფორმაცია ვებგვერდზე, ხოლო პროცესები მიმდინარეობს სამართლებრივი, გამჭვირვალე და სტრუქტურირებული მიდგომით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

სკოლაში, შიდა მარეგულირებელი აქტების საფუძველზე, რეგულირდება როგორც პერსონალის, ასევე მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების კანონიერი უფლებების დაცვა. სკოლას აქვს შემუშავებული შინაგანაწესი, რომელიც მოიცავს თანამშრომლების შრომითი უფლებების სრულ სპექტრს, მათ შორის: სამუშაო დროისა და რეჟიმის განსაზღვრას, ანაზღაურების წესსა და შვებულების გაცემის პირობებს, შრომის დაცვის წესებს, საჩივრების განხილვის ზოგად მექანიზმებს, წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის წესებს. შინაგანაწესით გაწერილია დასაქმებულთა სამართლებრივი დაცვის ძირითადი ინსტრუმენტები, რაც უზრუნველყოფს მათი უფლებების დაცვას. სკოლაში მოქმედებს საჩივრის განხილვის მექანიზმი, რომელიც განსაზღვრავს დისციპლინური გადაცდომების განხილვის პროცესს. შექმნილია დისციპლინური საბჭო, რომელიც ფუნქციონირებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და უზრუნველყოფს პროცედურების გამჭვირვალობასა და ობიექტურობას. დასაქმებულთა და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობა სკოლის საქმიანობაში უზრუნველყოფილია მოქმედი მმართველობითი სტრუქტურების მეშვეობით. მასწავლებლები ჩართულნი არიან პედაგოგიური საბჭოს მუშაობაში, რაც ხელს უწყობს კოლეგიალურობასა და გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის შესაძლებლობას. მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები და მასწავლებლები არჩეულნი არიან სამეურვეო საბჭოში, რაც დამატებით უზრუნველყოფს მათი უფლების რეალიზებას მონაწილეობა მიიღონ სკოლის მართვის პროცესებში. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რაც იძლევა შესაძლებლობას, რომ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მოსწავლეთა ხმა იყოს გათვალისწინებული და ხელს უწყობს დემოკრატიული კულტურის განვითარებას და ინდივიდუალური უფლებების დაცვას. შრომით ხელშეკრულებებსა და მშობლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში ცალსახად განსაზღვრულია მხარეთა უფლება-მოვალეობები და საჩივრების წარდგენის მექანიზმები. სკოლის მიერ გამოცემულ ყველა სამართლებრივ აქტში მითითებულია გასაჩივრების წესი, ადგილი და ვადები, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს სამართლებრივი გარემოს დაცულობას სკოლაში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები;
- გადაწყვეტილებების გასაჩივრებისა და საჩივრების განხილვის პროცედურები;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის პერსონალთან გასაუბრების შედეგები;
- მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი აჩვენებს, რომ სკოლა უზრუნველყოფს მშობლების ინფორმირებულობას მნიშვნელოვან საკითხებზე. მათ შორის, მშობლებს მიეწოდებათ ინფორმაცია სასკოლო სასწავლო გეგმაზე, შრომის შინაგანაწესზე, მოსწავლეთა ქცევის კოდექსზე, შეფასების სისტემაზე, ბიბლიოთეკის სარგებლობის წესებსა და სადამრიგებლო აქტივობებზე. სკოლასა და მშობელს შორის ურთიერთობა რეგლამენტირებულია ორმხრივი ხელშეკრულებით, რომელშიც დეტალურად განისაზღვრება მხარეთა უფლება-მოვალეობები, რაც უზრუნველყოფს პასუხისმგებლობების გამჭვირვალე გადანაწილებას. კომუნიკაციისთვის სკოლა ეფექტურად იყენებს ელექტრონულ არხებს, ელ. ფოსტას, სოციალურ ქსელებს, დახურულ ჯგუფებსა და Teams-ის პლატფორმას. ინფორმაციის მიწოდება ხორციელდება მშობელთა კრებების საშუალებით, ვიზიტის პერიოდში გამოვლინდა, რომ სკოლაში არ არის დოკუმენტურად დაფიქსირებული სისტემური მექანიზმი მშობლებთან მიღებული უკუკავშირის აღრიცხვასა და რეაგირებაზე. შესაბამისად, სკოლამ მიიღო რჩევა: სასურველია სკოლამ შეიმუშავოს ფორმალური სისტემა უკუკავშირის მიღებისა და რეაგირების პროცესისთვის, რაც ადმინისტრაციას საშუალებას მისცემს ეფექტურად გაითვალისწინოს მშობელთა მოსაზრებები, საჭიროებები და ინიციატივები, გააძლიეროს მართვის პროცესების გამჭვირვალობა და გაზარდოს საზოგადოების ჩართულობა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა

დოკუმენტაციისა და ფაქტობრივი გარემოებების ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლაში ფუნქციონირებს რამდენიმე კოლეგიური ორგანო, რომლებიც უზრუნველყოფენ გადაწყვეტილების მიღების პროცესების გამჭვირვალობასა და თანამშრომლურ მართვას. კერძოდ, სკოლაში მოქმედებს საგნობრივი კათედრები, რომლებიც აერთიანებენ სხვადასხვა საგნის მასწავლებლებს და უზრუნველყოფენ სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და კოორდინაციას. პედაგოგიური საბჭო მონაწილეობს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების განხილვასა და გადაწყვეტაში, როგორიცაა სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის, ერთწლიანი სამოქმედო გეგმის, სასკოლო კურიკულუმის, მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება და დამტკიცება. გარდა ამისა, სკოლაში მოქმედებს მოსწავლეთა თვითმმართველობა და დისციპლინური კომიტეტი, ხოლო საჭიროებისამებრ იქმნება სამუშაო ჯგუფები მიმდინარე საკითხების გადასაწყვეტად. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ სამუშაო ჯგუფებში ჩართულნი არიან მოსწავლეთა მშობლებიც, რაც განამტკიცებს სკოლის თანამშრომლობით მართვის კულტურას და ზრდის საზოგადოების ჩართულობას სასკოლო პროცესებში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკა;
- თანამდებობრივი ინსტრუქციების დოკუმენტი;
- შინაგანაწესი;
- შრომითი ხელშეკრულებები;

- კონკურსის მასალები;
- თანამშრომელთა პირადი საქმეები;
- eSchool-ის ბაზიდან ჩამოტვირთული თანამშრომლების სია.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
o შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება
3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)**

სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში დროულ რეაგირებასა და პირველადი დახმარების აღმოჩენას. დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია შესაბამისი სამსახურის მიერ და განსაზღვრავს რისკების პრევენციის, რეაგირებისა და ევაკუაციის პროცედურებს.

სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება საზოგადოებრივ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მომსახურების თაობაზე და განსაზღვრული ჰყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი უფლებამოსილი პირი. მოსწავლეთა გაცდენების აღრიცხვა და მშობლებთან ოპერატიული კომუნიკაცია ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით ხორციელდება, რაც პრევენციული კონტროლის გამართულ მექანიზმზე მიუთითებს.

სკოლაში დასაქმებულია მანდატურები და დარაჯები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის ტერიტორიის დაცვას. სასწავლო პროცესის განმავლობაში მანდატურები ახორციელებენ შიდა და გარე პერიმეტრის სისტემურ მონიტორინგს. სკოლის ტერიტორიაზე განთავსებულია 14 ვიდეოსამეთვალყურეო კამერა (13 – შიდა სივრცეში, 1 – გარე პერიმეტრზე), რაც დამატებით უზრუნველყოფს პრევენციულ კონტროლს.

მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების კონტროლი ხორციელდება საგნის მასწავლებლებისა და კლასის დამრიგებლების მიერ. გაცდენის დაფიქსირების შემთხვევაში ინფორმაცია აისახება ელექტრონულ ჟურნალში, ხოლო დამრიგებელი ოპერატიულად უკავშირდება მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს და აზუსტებს გაცდენის მიზეზს. აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს ზედამხედველობისა და კომუნიკაციის ეფექტიან მექანიზმს.

უსაფრთხოების რეგულაციები ასახულია სკოლის შინაგანაწესში და ხორციელდება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანების შესაბამისად. ექსპერტთა რეკომენდაციის საფუძველზე სკოლას **მიეცა რჩევა** შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის დასაქმების ან შესაბამის ორგანიზაციასთან ხელშეკრულების გაფორმების შესახებ.

სკოლის მიწერილობის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის გამგეობამ 2025 წლის 6 ოქტომბერს №36-01252794673 წერილით მიმართა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს შენობის მდგრადობის შემოწმების მიზნით. დეკემბერში განხორციელდა შესაბამისი სამუშაოები და შენობის მდგრადობის შესახებ ცნობა გადაეგზავნა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს (წერილი №36-0126012935). მატერიალურ-ტექნიკური უსაფრთხოების თვალსაზრისით, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნამ გამოავლინა შენობის **მდგრადობის უარყოფითი მაჩვენებელი,** რომლის მიხედვითაც ნაგებობა საჭიროებს საძირკვლის სასწრაფო გამაგრებასა და შემდგომ კაპიტალურ რემონტს. ვინაიდან აღნიშნული გარემოება პირდაპირ კავშირშია მოსწავლეთა და პერსონალის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვასთან, ეს მიიჩნევა **არსებით ხარვეზად,** რომელიც საჭიროებს დაუყოვნებლივ რეაგირებას შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან კოორდინაციით. რაც შეეხება სახანძრო უსაფრთხოებას, სკოლას გავლილი აქვს შესაბამისი შემოწმება და ფლობს სახანძრო-ტექნიკური დათვალიერების აქტს, რომელშიც მოცემულია კონკრეტული რეკომენდაციები ხანძარსაწინააღმდეგო რეჟიმის სრულყოფისთვის. ამ მიმართულებით **სკოლას ეძლევა რჩევა**, უზრუნველყოს აქტში მითითებული პუნქტების დროული აღმოფხვრა და გააძლიეროს მონიტორინგი სახანძრო უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე.

ამავდროულად, ექსპერტთა რეკომენდაციით **მიზანშეწონილია** შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ჩართულობა, რათა სრულყოფილად მოხდეს სამუშაო გარემოს რისკების მართვა. საბოლოო ჯამში, ფიზიკური უსაფრთხოების ინდიკატორი სრულად დაკმაყოფილებულად ვერ ჩაითვლება შენობის მდგრადობასთან დაკავშირებული კრიტიკული ხარვეზის გამოსწორებამდე.

ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა დასკვნის პროექტზე სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია. სკოლამ გაითვალისწინა დასკვნის პროექტში წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებები. წარმოადგინა მტკიცებულება — ისნის რაიონის გამგეობის მიერ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსადმი გაგზავნილი წერილი, სადაც მოთხოვნილია დამატებითი განმარტება შენობის უსაფრთხო გამოყენების შესახებ . სკოლამ აღნიშნული საკითხის სრულად აღმოფხვრა გაითვალისწინა შესაბამისობის გეგმაში. **სკოლამ მიიღო რეკომენდაცია:** შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (2028 წლის 26 მარტამდე) უზრუნველყოს შენობის მდგრადობისთვის აუცილებელი კონსტრუქციული ღონისძიებების განხორციელება. **ინდიკატორი ნაწილობრივად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას

სასწავლო დაწესებულებაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია პირველადი დახმარებისთვის საჭირო ინვენტარითა და მედიკამენტებით. სამედიცინო სივრცე უზრუნველყოფს მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირველადი სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფას და ინტეგრირებულია სკოლაში უსაფრთხოების საერთო სისტემაში. შესწავლილ იქნა სკოლის ექიმის სამუშაო გეგმა და ჩატარებული მუშაობის ანგარიშები. მონიტორინგის პროცესში დადასტურდა, რომ სკოლაში ექიმი მუშაობს მუდმივი რეჟიმით და ასრულებს ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ ვალდებულებას.

ექიმის პირადი საქმის შესწავლითა და წარმოდგენილი სერტიფიკატით დადასტურდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივ 2022 წლის 21 მარტის ბრძანებით №41/ნ/01-23/ნ გათვალისწინებულ ექიმის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

სასწავლო დაწესებულებაში მოქმედებს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმი, რომელიც განსაზღვრულია ადამიანებისა და უსაფრთხოების დაცვის დოკუმენტით. მექანიზმი მოიცავს უსაფრთხოების პროცედურებს, ზედამხედველობის წესებს და პასუხისმგებელი პირების განსაზღვრას.

სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ №06/ნ ბრძანების საფუძველზე. სკოლაში დასაქმებულია ორი დარაჯი, ხოლო სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი უფლებამოსილი პირი. ამასთან,

სკოლას შემუშავებული აქვს პედაგოგების მორიგეობის სია, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას წესრიგისა და უსაფრთხოების კონტროლს. სკოლა აწყობს საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს, სადაც ხდება მოსწავლეთა უფლებებისა და წესების, ასევე, სკოლის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის გაცნობა ყველა მოსწავლისთვის. აწარმოებს სკოლაში მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანიას ძალადობის, დისკრიმინაციის, ბულინგისა და კიბერბულინგის წინააღმდეგ, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციასთან დაკავშირებით.

სკოლაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა შესასვლელებისა და სასკოლო სივრცის ყოველდღიურ მონიტორინგს. ადმინისტრაცია და პედაგოგები წინასწარ განსაზღვრული გრაფიკით ახორციელებენ მორიგეობას. დამრიგებლები და საგნის მასწავლებლები პასუხისმგებელნი არიან საკლასო გარემოს უსაფრთხოებაზე, ხოლო უცხო პირთა სკოლის ტერიტორიაზე დაშვება რეგულირდება მკაცრი აღრიცხვისა და ნებართვის წესით. ყველა სტუმარი ფიქსირდება შესაბამის ჟურნალში, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობას და კონტროლს. <u>**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**</u>

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

სასწავლო დაწესებულება უზრუნველყოფს მოსწავლეთა ფსიქოლოგიური და ემოციური უსაფრთხოების დაცვასა და მხარდაჭერას. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულება მართავს საინფორმაციო შეხვედრებს, რომელთა მიზანია ძალადობის საწინააღმდეგო ქმედებების შესახებ მოსწავლეთა და სასკოლო საზოგადოების ცნობიერების ამაღლება. ამასთან, სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო.

დაწესებულებაში იქმნება ემოციურად მხარდამჭერი გარემო: კლასის ხელმძღვანელები და პედაგოგები სისტემურად აქცევენ ყურადღებას მოსწავლეთა შორის ურთიერთობებს, ინკლუზიური და არადისკრიმინაციული გარემოს შენარჩუნებას, მოსწავლეთა ფსიქოლოგიური კეთილდღეობის მონიტორინგსა და შესაძლო პრობლემების დროულ გამოვლენას. რეგულარული კომუნიკაცია მშობლებთან, მოსწავლის გაკვეთილზე არ გამოცხადების მიზეზების მოკვლევა და შესაბამისი რეაგირება უზრუნველყოფს ბავშვზე ორიენტირებულ მიდგომას.

სკოლას შემუშავებული აქვს შიდა ინსტრუქციები ბავშვთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული შემთხვევების მართვის შესახებ. აღნიშნულ ინსტრუქციებში დეტალურად არის განსაზღვრული თანამშრომელთა ვალდებულებები ძალადობის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში, ზედამხედველობის პროცედურები, კონფიდენციალურობის დაცვის პრინციპები და რეფერირების მექანიზმები. სკოლის თანამშრომლები ინფორმირებულნი არიან შესაბამის წესებსა და პასუხისმგებლობებზე.

ინკლუზიური განათლების მიმართულებით სკოლა ახორციელებს სისტემურ მუშაობას: არსებობს შეთანხმებული სამოქმედო გეგმა, დასაქმებულია სპეციალური მასწავლებლები, ასისტენტები, ფსიქოლოგები და მეტყველების თერაპევტი, რომლებიც ინდივიდუალურად მუშაობენ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებთან და უზრუნველყოფენ მათი სწავლისთვის საჭირო ადაპტირებული გარემოს შექმნას.

სადამრიგებლო პროგრამებში და სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია კონკრეტული აქტივობები, რომლებიც მიზნად ისახავს ბულინგის პრევენციას, ძალადობისგან დაცვის კულტურის განმტკიცებას, ჯანსაღი ურთიერთობების ხელშეწყობასა და ტოლერანტობის განვითარებას. ავტორიზაციის ჯგუფისთვის წარმოდგენილი იყო შესაბამისი ანგარიშები, აქტივობების მასალები და სამოქმედო გეგმები, რომლებიც ადასტურებს აღნიშნული სისტემების აქტიურ და ეფექტიან ფუნქციონირებას.

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა ფსიქოლოგიური და ემოციური უსაფრთხოების მხარდამჭერი სისტემის უწყვეტ ფუნქციონირებას და ახორციელებს პრევენციულ და ინტერვენციულ ღონისძიებებს, რომლებიც ხელს უწყობს უსაფრთხო, ინკლუზიური და კეთილგანწყობილი სასწავლო გარემოს შექმნას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას მოქმედი კანონმდებლობისა და შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაციის შესაბამისად. აღნიშნული მიმართულებით განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები, კონტროლის მექანიზმები და შესრულების სტანდარტული პროცედურები.

სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის დასუფთავება დაკისრებული აქვთ დამლაგებლებს, რომლებიც ყოველდღიურად ახორციელებენ სასკოლო სივრცის დასუფთავებას დადგენილი გრაფიკის მიხედვით. წარმოდგენილია ინფრასტრუქტურაზე მორგებული დასუფთავების გრაფიკი, რომელიც ითვალისწინებს ყოველდღიურ, ყოველთვიურ და ყოველწლიურ დასუფთავების პროცედურებს. შესაბამისი მექანიზმები გაწერილია ადამიანებისა და უსაფრთხოების დაცვის დოკუმენტის შესაბამის მუხლში.

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მონიტორინგს ახორციელებს სკოლის დირექცია და სკოლის ექიმი. ექიმი უზრუნველყოფს პირობების პერიოდულ კონტროლსა და ზედამხედველობას.

სანიტარული სისტემის გამართულობის მიზნით სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შესაბამის პროფილის სამსახურთან („აია 210“), რომელიც სისტემატურად ახორციელებს შენობის დეზინფექციასა და დერატიზაციას სპეციალური ქიმიური საშუალებებით. აღნიშნული მომსახურება უზრუნველყოფს პრევენციულ და გეგმურ სანიტარულ ღონისძიებებს.

მონიტორინგის პროცესში დადასტურდა, რომ სკოლაში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები როგორც შიდა სივრცეში, ასევე გარე პერიმეტრზე. ინფრასტრუქტურული გარემო მოწესრიგებულია:

- სველი წერტილები სუფთაა, სათანადოდ აღჭურვილი და რეგულარულად მუშავდება;
- ხორციელდება დერეფნების, კიბეების, სახელურებისა და საერთო სარგებლობის სივრცეების სველი წესით დამუშავება;
- სანიტარიული კვანძებისათვის განკუთვნილი ინვენტარი მარკირებულია და ინახება ცალკე გამოყოფილ სივრცეში;
- საყოფაცხოვრებო ქიმიური და სადეზინფექციო საშუალებები ინახება სპეციალურად გამოყოფილ, ჩაკეტილ სათავსოში.

დაწესებულებაში დასაქმებულია ორი დამლაგებელი, რაც მოცემული ინფრასტრუქტურის პირობებში უზრუნველყოფს საჭირო სამუშაოს მოცულობის სრულფასოვან შესრულებას. დამატებით, რაიონული რესურსცენტრი ახორციელებს პერიოდულ მონიტორინგს, რომელიც ძირითადად სრულდება პოზიტიური შეფასებით ან მცირე შენიშვნებით.

ზემოაღნიშნული გარემოებები ადასტურებს, რომ სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური პირობები უზრუნველყოფილია სისტემურად, კონტროლირებადად და დადგენილი სტანდარტების შესაბამისად. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სკოლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე სკოლაში შემუშავებულია „პერსონალური მონაცემების დაცვის წესი“. სკოლის მიერ განხორციელებული მონაცემთა დამუშავება უკავშირდება როგორც ელექტრონულ პლატფორმებს, ისე მატერიალურ მატარებლებს და წარმოადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთიანი სისტემის ნაწილს. დოკუმენტით მკაფიოდ არის განსაზღვრული მონაცემთა დამუშავების მიზნები, ფორმები და პასუხისმგებელი სუბიექტები.

ვიზიტისას გადამოწმდა ხელშეკრულებები, თანხმობის ფორმები და სხვა დოკუმენტაცია. პრაქტიკაშიც დადასტურდა, რომ სკოლა იცავს პერსონალური მონაცემების დაცვის წესებს და უზრუნველყოფს მოსწავლეთა, თანამშრომელთა და მშობელთა პერსონალური ინფორმაციის უსაფრთხო დამუშავებას. როგორც დოკუმენტური, ისე პრაქტიკული მტკიცებულებები აჩვენებს, რომ პროცესი რეგულარულად იმართება და სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და სტანდარტის მოთხოვნებს. სკოლას არ ჰყავს პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცერი. აღნიშნულთან დაკავშირებით **<u>სკოლამ მიიღო რჩევა:</u>** სკოლამ შეისწავლოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები და უზრუნველყოს პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცრის დანიშვნა ან შესაბამისი ფუნქციის განსაზღვრა პასუხისმგებელ პირთა შორის, რათა სკოლაში პერსონალური მონაცემების დამუშავება განხორციელდეს კანონმდებლობის მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობაში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები

სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები. შემუშავებულია „პერსონალური მონაცემების დაცვის წესი“, რომელიც არეგულირებს სკოლის მიერ მონაცემთა დამუშავების საკითხებს. დოკუმენტი ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ და სკოლის სახელით მოქმედ ნებისმიერ პირზე და სავალდებულოა შესასრულებლად. პერსონალური ინფორმაციის დაცვის წესით განსაზღვრულია მონაცემთა დამუშავების მიზნები, ფორმები და პასუხისმგებელი პირები, რაც უზრუნველყოფს სკოლის სასკოლო საზოგადოების წევრთა — მოსწავლეთა, მშობელთა და თანამშრომელთა — პერსონალური ინფორმაციის უსაფრთხოებას. სკოლის საქმეთამმართველს აქვს წვდომა მოსწავლეთა და დასაქმებულთა პირად საქმეებზე , სკოლაში დამუშავებულ მონაცემებზე, ელექტრონულ ბაზაში (Eschool.emis.ge) მოსწავლეების/მშობლების/თანამშრომლების მონაცემების წვდომაზე.

წარმოების ფარგლებში დადასტურდა, რომ სკოლაში პერსონალური ინფორმაციის დაცვის წესი ფუნქციონირებს როგორც დოკუმენტურად, ისე პრაქტიკაში. თანამშრომლები იცნობენ წესით განსაზღვრულ ვალდებულებებს და მონაცემთა დამუშავების პროცესები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და მიღებულ შედეგებს იყენებს ამ მექანიზმების გაუმჯობესების მიზნით. დირექტორის ბრძანების საფუძველზე შემუშავებულია „ფიზიკური უსაფრთხოების დაცვისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები“.

დოკუმენტით განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები და პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს როგორც მოსწავლეთა, ისე პერსონალის უსაფრთხო გარემოში ყოფნას. მანდატურის სამსახური ყოველდღიურად ახორციელებს დისციპლინური გადაცდომების აღრიცხვას და მათზე რეაგირებას, რაც ხელს უწყობს წესრიგისა და უსაფრთხოების გამყარებას სკოლაში. წარმოების შედეგად დადასტურდა, რომ უსაფრთხოების მექანიზმები მოქმედებს როგორც დოკუმენტურად, ისე პრაქტიკაში. პერიოდულად ტარდება არსებული წესების შესრულების მონიტორინგი, შედეგები კი გამოიყენება გაუმჯობესების მიზნით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შრომის უდაფრთხოების პოლიტიკა;
- უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ - სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებასთან - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოსთან დადებული ხელშეკრულება სახელწოდებით: NB02/01 საზოგადოებრივ უსაფრთხოებასთან, კანონიერებასა და წესრიგთან დაკავშირებული მომსახურებები (CPV 75240000);
- სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი;
- პერსონალური მონაცემების დაცვის წესი;
- ექიმთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- მოქმედი საშტატო განრიგი.

შეფასება:

1. *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
2. *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
■ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სკოლის მისამართია: ქალაქი თბილისი, ვაზისუბნის I მიკრორაიონი, სსიპ ქალაქ თბილისის №92 საჯარო სკოლა. დაწესებულებას სარგებლობაში გადაცემული აქვს 1757,92 კვ.მ ფართი. შენობა ფუნქციონირებს ოთხ სართულად: I სართული – 1596,8 კვ.მ; II სართული – 1267,7 კვ.მ; III სართული – 1212,4 კვ.მ; IV სართული – 1180 კვ.მ; სკოლის ეზოს ფართობი შეადგენს 15327 კვ.მ-ს.

სკოლა აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკური რესურსებით (სტაციონარული კომპიუტერები, ლეპტოპები, პროექტორები), ფუნქციონირებს 36 საკლასო ოთახი, სპორტული დარბაზი, ღია სპორტული მოედნები და ორი სააქტო დარბაზი. სკოლაში მოქმედებს ბიბლიოთეკა შესაბამისი წიგნადი ფონდით.

დაწესებულებაში სსსმ მოსწავლეთათვის – უზრუნველყოფილია შენობამდე მისასვლელი მექანიზმი, გამოყოფილია რესურსოთახები და დასაქმებულია შესაბამისი სპეციალისტები (სპეციალური მასწავლებლები და ასისტენტები).

სკოლას ჰყავს სათანადო რაოდენობის ადამიანური რესურსი და, საერთო ჯამში, გააჩნია სასწავლო პროცესის წარმართვისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

სკოლის მიერ წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერი განახლებულია და საკუთრების/სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია სრულ თანხვედრაშია სკოლის ფაქტობრივ ინფრასტრუქტურულ მდგომარეობასთან. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის

სასწავლო დაწესებულებაში უზრუნველყოფილია საერთო სარგებლობის სივრცეების ხელმისაწვდომობა სასკოლო საზოგადოების წევრისათვის. კომპიუტერული ლაბორატორია, სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა, რესურსოთახი, სპორტული დარბაზი და სველი წერტილები მოწესრიგებულია და მოსწავლეებისა და თანამშრომლებისთვის ხელმისაწვდომია როგორც საგაკვეთილო, ისე არასაგაკვეთილო პერიოდში.

მოსწავლეებისთვის უზრუნველყოფილია რეკრიაციული სივრცე, რომელიც უსაფრთხო და მოწესრიგებული გარემოა, ხელს უწყობს აქტიურ დასვენებას და საგაკვეთილო პროცესებს შორის განტვირთვას.

რესურსოთახები წარმოადგენს მნიშვნელოვან მხარდამჭერ სივრცეს. ამ ეტაპზე ორი რესურსოთახით სარგებლობს ცხრამეტი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე. სპეციალურ მასწავლებლებთან ინტერვიუმ აჩვენა, რომ რესურსოთახის აღჭურვის და განახლების პროცესი ხორციელდება მოსწავლეთა საჭიროებებზე დაფუძნებული მიდგომით: საჭიროებების შესახებ ადმინისტრაციას აწვდის ინფორმაციას სპეციალური მასწავლებელი, რომელიც მონაცემებს იღებს როგორც საგნის მასწავლებლებისგან, ისე დამხმარე სპეციალისტებისგან.

საბუნებისმეტყველო მიმართულების საგნების სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისთვის. ლაბორატორიის თვალსაჩინოებები თანაბრად გამოიყენება ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის გაკვეთილებზე. საგაკვეთილო ცხრილის დაგეგმვა განხორციელებულია ისე, რომ თავიდან იყოს აცილებული გაკვეთილების გადაფარვა, რაც შესაძლებლობას აძლევს ყველა საგნის მასწავლებელსა და მოსწავლეს, დროულად და სრულად გამოიყენონ ლაბორატორიული სივრცე.

კომპიუტერული ლაბორატორია ფუნქციონირებს როგორც ინფორმაციული ტექნოლოგიების, ისე სხვა საგნების სწავლების მხარდასაჭერად. სივრცე ხელმისაწვდომია მასწავლებლებისთვის გაკვეთილების დაგეგმვისა და მოსწავლეებისთვის სასწავლო დავალებების შესასრულებლად. საჭიროების შემთხვევაში კომპიუტერული რესურსით სარგებლობა შესაძლებელია არასაგაკვეთილო საათებშიც.

სპორტული დარბაზი და სპორტული ინვენტარი ხელმისაწვდომია ყველა კლასისთვის. საგაკვეთილო ცხრილის ოპტიმალური დაგეგმვის მეშვეობით თავიდანაა აცილებული აქტივობების გადაფარვა, რაც უზრუნველყოფს სპორტული დარბაზის და ინვენტარის სრულფასოვან გამოყენებას როგორც გაკვეთილების, ისე არასაგაკვეთილო პერიოდში.

ბიბლიოთეკა ფუნქციონირებს როგორც მოსწავლეებისთვის, ისე მასწავლებლებისთვის. დღეგამოშვებით ხდება რესურსების განახლება, აღინიშნება როგორც მხატვრული, ისე სასწავლო ლიტერატურის შევსება. ბიბლიოთეკარი უზრუნველყოფს ბიბლიოთეკის მუშაობას, რესურსების კატალოგიზაციას და წესების დაცვის მონიტორინგს. სივრცეში გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელიც უზრუნველყოფს მკაფიო და ორგანიზებულ პროცესს. <u>**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**</u>

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით

სკოლას აქვს სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა, რომელიც უზრუნველყოფილია სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით. დირექტორის ბრძანებით შემუშავებულია **ბიბლიოთეკის მუშაობის წესი**, რომელიც არეგულირებს ბიბლიოთეკაში დაცული რესურსების გამოყენებასა და სარგებლობას. აღნიშნული წესი სრულად შეესაბამება „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“ საქართველოს კანონს და სკოლის შიდა დებულებებს. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი თვალსაჩინოდ არის გამოკრული ბიბლიოთეკაში, რაც ხელს უწყობს ყველა დაინტერესებული მხარისთვის მის ხელმისაწვდომობას.

ვიზიტის დროს შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შემოწმდა ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები და დადგინდა, რომ ისინი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. სკოლას ჰყავს **ბიბლიოთეკარი**, რომელიც უზრუნველყოფს წიგნების მოძრაობის აღრიცხვიანობას, ასევე აწარმოებს **ელექტრონულ კატალოგს.**

ბიბლიოთეკარმა წარმოადგინა სამუშაო გეგმა და შესრულებული საქმიანობის ანგარიში. ბიბლიოთეკარის მიერ წიგნის კითხვის პოპულარიზაციის მიზნით იგეგმებოდა და ხორციელდებოდა თემატური აქტივობები მოსწავლეებისა და მშობლების ჩართულობით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

დაწესებულება აღჭურვილია სათანადო ინფრასტრუქტურით: კეთილმოწყობილია სველი წერტილები, მათ შორის ფუნქციონირებს სსსმ მოსწავლეებისათვის ადაპტირებული საპირფარეშო. სკოლას აქვს სსსმ მოსწავლეებისათვის შესაბამისი პანდუსი, რაც უზრუნველყოფს შენობაში შემოსვლის ხელმისაწვდომობას.

სასკოლო საზოგადოებას აქვს ხელმისაწვდომობა ინფრასტრუქტურულ ერთეულებზე. სკოლაში ფუნქციონირებს რესურსოთახი, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკითა და საგანმანათლებლო რესურსებით და ემსახურება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა მხარდაჭერას.

ამასთანავე, შეფასების პროცესში გამოიკვეთა, რომ სართულებს შორის გადაადგილება სრულად ადაპტირებული არ არის. შენობაში არ ფუნქციონირებს ლიფტი ან სხვა დამხმარე მექანიზმი, რის გამოც სართულებზე გადაადგილება სსსმ მოსწავლეთათვის გაძნელებულია და სრულად ვერ უზრუნველყოფს უნივერსალური დიზაინის პრინციპებთან შესაბამისობას. აღნიშნული გარემო წარმოადგენს სტანდარტის მოთხოვნის არსებით შეუსაბამობას, ვინაიდან ინფრასტრუქტურა სრულად ვერ უზრუნველყოფს ყველასთვის თანაბარ ფიზიკურ ხელმისაწვდომობას.

ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა დასკვნის პროექტზე სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.
სკოლამ გაითვალისწინა დასკვნის პროექტში წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებები, თუმცა ვერ უზრუნველყო ხარვეზის სრულად აღმოფხვრა, რომელიც დაკავშირებულია შშმ პირებისთვის ინფრასტრუქტურის არასრულ ხელმისაწვდომობასთან (ლიფტის არარსებობა). სკოლამ აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა გაითვალისწინა შესაბამისობის გეგმაში.

სკოლამ მიიღო რეკომენდაცია: შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (2028 წლის 26 მარტამდე) სკოლამ უზრუნველყოს ლიფტის მოწყობა და ფიზიკური ხელმისაწვდომობის სრული უზრუნველყოფა. **ინდიკატორი ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

სკოლის ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მის სოციო-კულტურულ ცენტრად ჩამოყალიბებას. ძირითადი შენობის ფართე დერეფნები და ბიბლიოთეკა აქტიურად გამოიყენება სხვადასხვა სახის ღონისძიებების, კონფერენციების, კონკურსებისა და ინტელექტუალური ვიქტორინებისთვის. სკოლის ეზო, სპორტული დარბაზი და კომპიუტერული ლაბორატორია მოსწავლეებს აძლევს საშუალებას, განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები.

საკლასო ოთახებში რეგულარულად ტარდება პროექტების პრეზენტაციები. სკოლის გარემოში თვალსაჩინო ადგილებზე განთავსებულია მოსწავლეთა ნამუშევრები, გამოფენები და სხვადასხვა პროექტების შედეგები, რაც დამატებით აღძრავს მოტივაციას და ხელს უწყობს ჯანსაღი სასკოლო გარემოს შექმნას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინვენტარიზაციის დოკუმენტაცია
- მიღება-ჩაბარების აქტები
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
- სკოლის შიდა აზომვითი ნახაზი
- ბიბლიოთეკის დოკუმენტაცია

შეფასება:
0. *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
0. *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

■ ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას

სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. სკოლა აღჭურვილია 75 ლეპტოპით, 30 სტაციონარული კომპიუტერით, 18 პროექტორით, 7 პრინტერით, 2 ეკრანით და 1 დიდ დინამიკით. ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც მობილიზებულია საჭირო ტექნიკით და ხელმისაწვდომია როგორც მოსწავლეებისათვის, ასევე მასწავლებლებისათვის სასწავლო მიზნებით.

ლეპტოპები მიღება-ჩაბარების აქტებით გადაცემულია პირად სარგებლობაში იმ მასწავლებლებისათვის, ვისაც აღნიშნული საჭიროება გააჩნია, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ტექნოლოგიურ მხარდაჭერას როგორც სკოლაში, ისე მის ფარგლებს გარეთ. პედაგოგებს აქვთ შესაძლებლობა მოიძიონ და გამოიყენონ ელექტრონული რესურსები, მრავალფეროვანი სასწავლო მასალები და ციფრული პლატფორმები გაკვეთილების ეფექტიანად დაგეგმვისა და წარმართვისათვის.

მოსწავლეებს აქვთ წვდომა კომპიუტერულ ლაბორატორიასა და ბიბლიოთეკაზე, რაც ხელს უწყობს დამოუკიდებელი მუშაობის, კვლევითი უნარებისა და ციფრული კომპეტენციების განვითარებას.

სკოლის ადმინისტრაცია ეფექტიანად იყენებს ტექნოლოგიურ ინფრასტრუქტურას მართვის პროცესში. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან შემოსული დავალებები სრულდება დროულად და ორგანიზებულად. სკოლა სარგებლობს გამართული ელექტრონული ხელმოწერის სისტემით, რაც უზრუნველყოფს დოკუმენტბრუნვის ეფექტიანობას.

სკოლაში ფუნქციონირებს Wi-Fi ქსელი და ინტერნეტი ხელმისაწვდომია მთელ ტერიტორიაზე, რაც უზრუნველყოფს უწყვეტ ციფრულ კომუნიკაციასა და რესურსებზე წვდომას.

ინფრასტრუქტურის ადგილზე დათვალიერების, სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუებისა და დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დადასტურდა, რომ სკოლას გააზრებული აქვს თანამედროვე ტექნოლოგიების როლი სწავლა-სწავლების პროცესში.

თანამედროვე ტექნოლოგიები და ინოვაციური მიდგომები გამოიყენება როგორც სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნებისა და მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისთვის, ასევე სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის კომუნიკაციის გასამარტივებლად.

დადასტურდა, რომ სკოლის ტექნიკური საბაზო უზრუნველყოფა მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია და სრულად უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიან წარმართვას. ტექნიკური და პროგრამული რესურსების ხელმისაწვდომობა მაღალია და მათი გამოყენება სასწავლო პროცესში მიმდინარეობს ეფექტიანად. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

სკოლის შენობაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის წევრებისთვის. სკოლას შემუშავებული აქვს კომპიუტერული ტექნიკის გამოყენების გეგმა და **კომპიუტერული ლაბორატორიაში ქცევის წესები**, რომლებიც განთავსებულია თვალსაჩინო ადგილას.

დადასტურდა, რომ მოსწავლეებსა და პედაგოგებს შესაძლებლობა აქვთ გამოიყენონ კომპიუტერული ლაბორატორია და სხვა IT რესურსები **წინასწარ განსაზღვრული გრაფიკის შესაბამისად**, რაც უზრუნველყოფს რესურსების თანაბარ და სამართლიან განაწილებას. მოსწავლეები და მასწავლებლები იყენებენ ტექნიკას სასწავლო და პროექტულ საქმიანობაში, ასევე შეუძლიათ დარჩნენ გაკვეთილების შემდეგ სამუშაო შეხვედრებისთვის, ონლაინ ტრენინგებისთვის და საგანმანათლებლო აქტივობებისთვის.
ბიბლიოთეკაში და საერთო სამუშაო სივრცეებში არსებული კომპიუტერები უზრუნველყოფენ იმ მოსწავლეთა საჭიროებას, ვისაც სახლში არ აქვს ტექნიკა. სკოლა აქტიურად იყენებს ელექტრონული ურთიერთობის პლატფორმებს, მათ შორის: Teams / Office 365; ელექტრონული ჟურნალი; Messenger და ელფოსტა; სკოლის ოფიციალური გვერდი.
მონიტორინგისას დადასტურდა, რომ ციფრული ინფრასტრუქტურა ინტეგრირებულია სასწავლო და ადმინისტრაციულ პროცესებში, რესურსები ტექნიკურად გამართულად მუშაობს და უზრუნველყოფს მოსწავლეთა და მასწავლებელთა ციფრულ ჩართულობას.
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კომპიუტერული ტექნიკის გამოყენების გეგმა;
- ინტერნეტით უზრუნველყოფის დოკუმენტი;
- სკოლის facebook გვერდის ბმული;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნა;

- ინტერნეტით უზრუნველყოფის დოკუმენტი;
- ჩეტბოტისა და ვებგვერდის ლინკი;

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად შემუშავებული აქვს „საქმისწარმოების წესი". საქმისწარმოების წესში განსაზღვრულია დოკუმენტების მიღების, რეგისტრაციისა და შენახვის ერთიანი პროცედურები. სკოლის მიერ შემუშავებულ სპეციალურ ნომენკლატურაზე დაყრდნობით, დოკუმენტაცია სწორად კლასიფიცირდება (შემოსული, გასული კორესპონდენცია, საკადრო და საერთო ბრძანებები, შრომითი ხელშეკრულებები). ბრძანებები სისტემატიზებულია და ინომრება წლიდან წლამდე, გამოცემის თარიღისა და რიგითობის მიხედვით.

ინახება როგორც დასაქმებულთა, ასევე მოსწავლეთა პირადი საქმეები კანონმდებლობით დადგენილი ვადით. სკოლაში წარმოებულია ბუღალტრული დოკუმენტაცია, მათ შორის პირველადი დოკუმენტაციაც, რომელიც ასევე აკინძული და კანონით დადგენილი წესით დამუშავებულია.

გარდა ტრადიციული ფორმებისა, სკოლა 2012 წლიდან იყენებს ელექტრონული დოკუმენტბრუნვისა და ელექტრონული ხელმოწერის სისტემას „Eflow" და „Eschool"-ის ბაზას. ეს ხელს უწყობს დოკუმენტების მართვის პროცესის გამჭვირვალობას, სწრაფად აღრიცხვას და ეფექტიან კომუნიკაციას.

საქმისწარმოების პროცესს უზრუნველყოფს საქმისმწარმოებელი, რომლის ფუნქციებიც განსაზღვრულია შრომითი ხელშეკრულებით. საქმისმწარმოებელი ელექტრონულად რეგისტრირებს დოკუმენტებს, ახორციელებს მოსწავლეთა ჩარიცხვა-ამორიცხვას, უზრუნველყოფს სკოლის არქივის დაცვას, გასცემს დოკუმენტების დამოწმებულ ასლებს, ორგანიზებას უწევს საჯარო ინფორმაციის გაცემას და საჭიროების შემთხვევაში ამზადებს კორესპონდენციას ადრესატებისთვის.

სკოლის მიერ წარმოდგენილი პედაგოგიური საბჭოს ოქმების, სამეურვეო საბჭოს ოქმისა და დირექტორის ბრძანებების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა **საქმისწარმოების პროცესთან დაკავშირებული პროცედურული და ქრონოლოგიური საკითხები**, რომლებიც საჭიროებს დაზუსტებას დოკუმენტბრუნვის სისტემის თანმიმდევრულობისა და სამართლებრივი სისწორის უზრუნველსაყოფად.

დოკუმენტების შედარებითი ანალიზი აჩვენებს, რომ რამდენიმე შემთხვევაში გადაწყვეტილებების მიღების პროცესი დოკუმენტებში წარმოდგენილია ისეთი თანმიმდევრობით, რომელიც ქმნის ქრონოლოგიურ აცდენას და ართულებს დოკუმენტების იურიდიული ძალის ლოგიკური ჯაჭვის აღქმას. კერძოდ, სამეურვეო საბჭოს ოქმით №3, რომელიც დათარიღებულია **2025 წლის 3 სექტემბრით**, დაფიქსირებულია შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შეთანხმება, მაშინ როდესაც დირექტორის ბრძანება №2-283, რომლითაც დამტკიცებულია **სტრატეგიული გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია**, გამოცემულია **2025 წლის 12 სექტემბერს**. აღნიშნული ქრონოლოგიური თანმიმდევრობა ქმნის საქმისწარმოების თვალსაზრისით პროცედურულ შეუსაბამობას, რადგან დოკუმენტის შეთანხმება/განხილვა უნდა ეფუძნებოდეს წინასწარ დამტკიცებულ წესსა და მეთოდოლოგიას. შესაბამისად, დოკუმენტებში იკვეთება სიტუაცია, როდესაც სტრატეგიული გეგმა განხილულია იმ მეთოდოლოგიის დამტკიცებამდე, რომელიც უნდა ყოფილიყო მისი შემუშავების საფუძველი.

საქმისწარმოების ნაწილში ქრონოლოგიური აცდენა შეინიშნება ასევე სამუშაო ჯგუფის საქმიანობის დოკუმენტირებაში. პედაგოგიური საბჭოს ოქმში №4, რომელიც დათარიღებულია **2025 წლის 1 ივლისით**, მითითებულია, რომ სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის პირველი სხდომა უნდა ჩატარებულიყო **2025 წლის 1 სექტემბერს**, თუმცა წარმოდგენილი სამუშაო ჯგუფის პირველი ოქმი დათარიღებულია **2025 წლის 2 სექტემბრით**. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული განსხვავება შესაძლოა ტექნიკური ხასიათის იყოს, საქმისწარმოების თვალსაზრისით სასურველია დოკუმენტებში ასახული თარიღები სრულად ემთხვეოდეს დაგეგმილ პროცესს, რათა გადაწყვეტილებების ქრონოლოგია იყოს მკაფიო და თანმიმდევრული.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით სკოლას <u>**მიეცა რჩევა,**</u> უზრუნველყოს დოკუმენტების მომზადებისა და დამტკიცების პროცესის მკაფიო ქრონოლოგიური თანმიმდევრობა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა

სკოლის მართვაში აქტიურად გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, რაც უზრუნველყოფს როგორც დოკუმენტბრუნვის, ისე კომუნიკაციის პროცესების ეფექტიანობას. საქმისწარმოების კუთხით სკოლა იყენებს ელექტრონულ დოკუმენტბრუნვის სისტემას **E-flow**, სადაც ტარდება ყველა კორესპონდენცია, ბრძანება, წერილი, განცხადება და სამსახურებრივი ბარათი. შენობაში არსებული უწყვეტი დენისა და ინტერნეტის შესაძლებლობა უზრუნველყოფს აღნიშნული სისტემის შეუფერხებელ მუშაობას. გარდა ამისა, სკოლა სარგებლობს **eSchool.emis.ge**-ს პლატფორმით, სადაც დაცულია მოსწავლეთა და თანამშრომელთა პერსონალური მონაცემები და ბაზები. სკოლაში ასევე იწარმოება **ელექტრონული ჟურნალი**, რაც ზრდის გამჭვირვალობას და ეფექტურობას სასწავლო პროცესში. კომუნიკაციის გასამარტივებლად, სკოლას აქვს **ოფიციალური Facebook გვერდი** და **ელექტრონული ფოსტა ,** ხოლო მასწავლებლები და თანამშრომლები აქტიურად იყენებენ **Microsoft Teams** პროგრამას სამუშაო შეხვედრებისთვის და საკომუნიკაციოდ. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

სკოლაში ვიზიტისას ექსპერტთა მიერ შესწავლილ იქნა მართვის საინფორმაციო სისტემის **eSchool**-ის ბაზაში სკოლის პროფილი, რომლის ყველა ველი შევსებული იყო სრულყოფილად. eSchool სისტემის მეშვეობით სკოლაში სრულდება მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვა-ამორიცხვის, ასევე დასაქმებული პერსონალის პერსონალური ინფორმაციის ასახვა. ელექტრონული ბაზა მუდმივად განახლდება და შეიცავს სავალდებულო ინფორმაციას: მოსწავლეთა და თანამშრომელთა მონაცემებს, ცხრილებს, კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტებს და სხვა. უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია **საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი**. გადამოწმების შედეგად დადასტურდა, რომ სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი eSchool სისტემაში და ატვირთულია სავალდებულო ინფორმაცია: მოსწავლეთა და თანამშრომელთა მონაცემები, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები და სხვა. გააქტიურებულია **სოციალურად დაუცველის ველი** ყველა შესაბამისი სტატუსის მქონე მოსწავლეზე, აგრეთვე **სსსმ სტატუსის ველი** მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე. ყველა მოსწავლის მშობლის მონაცემი ასევე ასახულია სისტემაში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან

სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან დროულ და ეფექტიან კომუნიკაციას. ეს დადასტურდა **Eflow სისტემაში გატარებული დოკუმენტაციით**, სადაც ასახულია ანგარიშების, უკუკავშირის და მოთხოვნილი ინფორმაციის დროული მიწოდება. საჭიროებისამებრ, სკოლა მუდმივ კომუნიკაციაშია რაიონულ რესურსცენტრთან, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში მიმართავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის *„თ“* ქვეპუნქტისა და **„საჯარო სკოლის წესდების“** მე-7 მუხლის პირველი პუნქტის *„კ“* ქვეპუნქტის თანახმად, სკოლის დირექტორი ვალდებულია ყოველწლიურად, 10 დეკემბრამდე, სამეურვეო საბჭოს წარუდგინოს ანგარიში როგორც ფინანსური საქმიანობის, ისე სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ. გარდა ამისა, სკოლა ფინანსურ ანგარიშგებას წარადგენს საქართველოს ფინანსთა მინისტრის №365 (31.12.2021) ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად. **„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“** 49-ე მუხლის მოთხოვნების შესაბამისად კი სკოლა უზრუნველყოფს ანგარიშგებას „ინფორმაციის თავისუფლების“ თავით განსაზღვრული წესების დაცვაზე. ასევე, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ მე-11 მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, დირექტორი მრჩეველთა საბჭოს წარუდგენს ანგარიშს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის რეკომენდაციების შესრულების შესახებ. სკოლაში **შიდა მონიტორინგი** ტარდება არანაკლებ სასწავლო წლის განმავლობაში ერთხელ, მათ შორის ინკლუზიური განათლების მიმართულებით. ამ პროცესს უზრუნველყოფს სპეციალურად შექმნილი ჯგუფი, რომელიც ადგენს დასკვნას და 7 დღის ვადაში წარუდგენს სამინისტროს. საბოლოოდ, სკოლის **საქმისმწარმოებელი** უზრუნველყოფს ყველა ანგარიშისა და კომუნიკაციის დროულად და კანონმდებლობის შესაბამისად წარდგენას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის eSchool-ის სისტემა
- სკოლის E-flow-ს სისტემა
- სკოლის საქმისწარმოების წესი
- დოკუმენტბრუნვის სპეციალური ჟურნალები
- სხვადასხვა უწყებასთან სკოლის მიერ წარდგენილი ანგარიშები

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლა საზოგადოებასთან კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად იყენებს მრავალფეროვან არხებსა და პლატფორმებს. მშობლებსა და მოსწავლეებს აქვთ წვდომა **ელექტრონულ ჟურნალთან**, სადაც ხედავენ აკადემიურ პროგრესს და მასწავლებელთა კომენტარებს. **პედაგოგიურ საბჭოზე** პედაგოგებს რეგულარულად ეცნობებათ სასკოლო სიახლეები, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ინფორმაცია ქვეყნდება საჯაროდ ან გამოიკრება სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილას.

საზოგადოებასთან ურთიერთობის გაწერილი წესის საფუძველზე სკოლა ახორციელებს მშობლებთან მუდმივ კომუნიკაციას. **კლასის დამრიგებლებს** შექმნილი აქვთ საკლასო მესენჯერ-ჯგუფები და Microsoft Teams-ის საკლასო სივრცეები, რაც მოსწავლეებთან და მშობლებთან ეფექტიან ურთიერთობას უზრუნველყოფს. ინფორმაციის გაცვლა ასევე მიმდინარეობს **მშობელთა კრებების** დროს. სასკოლო სიახლეები სისტემატურად ქვეყნდება სკოლის **სოციალურ ქსელში**, სკოლის სახელზე შექმნილია ოფიციალური პროფილი შემდეგ მისამართზე: https://skolebi.emis.ge/, სადაც სკოლას განთავსებული აქვს შესაბამისი ინფორმაცია და ის ასრულებს აქტიური საკომუნიკაციო საშუალების ფუნქციას. აღნიშნული ვებგვერდი განახლებადია ყოველდღიურად, მიზნობრივად და უზრუნველყოფს საზოგადოებისათვის ღია და ხელმისაწვდომ კომუნიკაციას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას

სკოლის **ვებ-გვერდზე** და **ოფიციალურ სოციალურ გვერდზე** განთავსებულია ინფორმაცია სკოლაში განხორციელებული აქტივობებისა და მიღწევების შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია სანდოა და მისი უტყუარობა დასტურდება სხვადასხვა ღონისძიებების, პროექტებისა და შეჯიბრებების ამსახველი ფოტომასალით. სკოლა უზრუნველყოფს, რომ მის საქმიანობასთან, მათ შორის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებული ინფორმაცია საზოგადოებას მიეწოდოს მხოლოდ **სანდო და დამოწმებული წყაროებით**. გარდა ამისა, სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია **პასუხისმგებელი პირი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე**, რომელიც პასუხისმგებელია გავრცელებული ინფორმაციის სიზუსტესა და სრულყოფილებაზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად

სკოლის განმარტებით, **სოციალური ქსელისა და ვებგვერდის ადმინისტრატორი** უზრუნველყოფს კომუნიკაციას დაინტერესებულ პირებთან. იმ საკითხებზე, რომლებიც საჭიროებს სკოლის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ჩართვას, ადმინისტრატორი უზრუნველყოფს სოციალური ქსელიდან მიღებული ინფორმაციის დროულ გადაცემას დირექციისთვის. სკოლა უზრუნველყოფს, რომ **შემოსული ინფორმაცია გათვალისწინებულ იქნეს შემდგომ საქმიანობაში**, რაც ხელს უწყობს სასკოლო პროცესების გაუმჯობესებასა და მეტი გამჭვირვალობის უზრუნველყოფას. ასევე, სკოლას აქვს შემუშავებული **საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი**, სადაც დეტალურად არის განსაზღვრული: როგორ ხდება შემოსული ინფორმაციის დამუშავება; შესაბამისი რეაგირება; მიღებული ინფორმაციის გამოყენება სკოლის საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებისთვის. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას

სკოლა იყენებს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ სპეციალურად სკოლებისთვის შექმნილ ვებგვერდს, სადაც განთავსებულია აუცილებელი და მნიშვნელოვანი ინფორმაცია. ვებგვერდი **განახლებადია ყოველდღიურად და მიზნობრივად**, რაც უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის გამჭვირვალობასა და საზოგადოებისთვის დროულად სანდო ინფორმაციის მიწოდებას. ინფორმაციის გავრცელება ხორციელდება ასევე: პირისპირ კომუნიკაციის გზით; წერილობითი კომუნიკაციით; სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ინფორმაციის გამოკვრით; სკოლის ოფიციალური სოციალური ქსელის (Facebook) გვერდის მეშვეობით; **Teams**-ის მიზნობრივი ჯგუფებში გამოქვეყნებით. ყველა ინფორმაცია ხელმისაწვდომია **ქართულ ენაზე**. სკოლის ვებგვერდი რეგისტრირებულია **საგანმანათლებლო დომენით**, რაც ხაზს უსვამს მის ოფიციალურ და საგანმანათლებლო დანიშნულებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია

სკოლის ღირებულებები, ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცედურები, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია **საჯაროა და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის**. ინფორმაცია გამოკრულია სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილას, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობასა და სკოლის საზოგადოების ინფორმირებულობას. ვებ გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სკოლის შესახებ, მათ შორის: მისია, ხედვა და ღირებულებები; სტრუქტურა; პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები და მათზე ჩარიცხვის პროცედურები; მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი); სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები; მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები; გასაჩივრების მექანიზმები; ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში; სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები; საკონტაქტო ინფორმაცია. მიდგომა ხელს უწყობს სკოლის საქმიანობის გამჭვირვალობასა და საზოგადოების ჩართულობას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სამოქმედო გეგმა
- ელექტრონული ჟურნალები
- საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი;
- მშობელთა მესენჯერ-ჯგუფები
- სკოლის საინფორმაციო დაფა
- სკოლის ვებ-გვერდი:https://skolebi-admin.emis.ge/auth
- სკოლის FB გვერდი: https://www.facebook.com/profile.php?id=100064256010180

შეფასება:
0. გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
0. შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

■ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები
3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის დაფინანსების წყაროა „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №476 დადგენილებით გათვალისწინებული ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი **სტანდარტული ვაუჩერი**, ასევე **ექიმის თანამდებობრივი სარგო, სსსმ მოსწავლეთა დაფინანსება და მასწავლებლების კუთვნილი დანამატის სახით მიღებული თანხები**. კანონმდებლობით გათვალისწინებული წესების შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, სკოლის ბიუჯეტში ცვლილების შეტანა ხდება სამეურვეო საბჭოს მიერ. ბიუჯეტის დაგეგმვისას სკოლა ეფუძნება კონკრეტული წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულებისთვის საჭირო ფინანსური რესურსის სწორ განაწილებას.

ყოველი კალენდარული წლის დაწყებამდე სკოლაში ფორმირდება **ფინანსური საქმიანობის სამოქმედო გეგმა (საპროგნოზო ბიუჯეტი)**, რომელიც საბოლოო სახით განიხილება და მტკიცდება სამეურვეო საბჭოს სხდომაზე. წლის განმავლობაში, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური დინამიკის შესაბამისად, ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებები ასევე განიხილება და მტკიცდება სამეურვეო საბჭოს მიერ. ფინანსური რესურსი ქმნის შესაძლებლობას სკოლამ უზრუნველყოს კომუნალური გადასახადების, სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებების, საკანცელარიო ნივთებისა და საგნობრივი კათედრების მიერ მოთხოვნილი სასწავლო რესურსების დაფინანსება, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებელ მიმდინარეობას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლა ფინანსურ რესურსებს განკარგავს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი პრინციპების შესაბამისად. ვიზიტისას დადგინდა, რომ სკოლა სისტემატურად ატარებს ბაზრის **კვლევებს** თითოეულ შესასყიდ საქონელზე, ხოლო ყოველი თვის ბოლოს ფინანსური ხარჯები

სრულდება **ბანკის ამონაწერის საფუძველზე**. წლის ბოლოს შედგება **ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი**, სადაც დეტალურად აისახება წლის განმავლობაში მიღებული და გაწეული ყველა ფინანსური ოპერაცია.

სკოლას სახელმწიფოსგან ერიცხება ერთ მოსწავლეზე გათვლილი **ფინანსური ვაუჩერის შესაბამისი ოდენობა**, რომელიც სრულად არის მიმართული სასკოლო პროცესის მხარდასაჭერად: სასწავლო რესურსების შეძენისთვის, მასალებისა და ტექნიკური საშუალებების უზრუნველყოფისთვის, პედაგოგებისა და ადმინისტრაციის საქმიანობის გასამარტივებლად.

ფინანსური მართვის გამჭვირვალობის მიზნით: ყოველი წლის ნოემბერში სკოლის ადმინისტრაცია ამტკიცებს შემდგომი წლის შესყიდვების გეგმას, რომლის ცვლილებაც შესაძლებელია მხოლოდ გადაუდებელი საჭიროების შემთხვევაში; შესყიდვების პროცესში ტარდება ბაზრის კვლევა, ხელშეკრულებები იტვირთება შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე 30 იანვრამდე;
10 დეკემბრამდე დირექტორი ვალდებულია წარმოადგინოს სამეურვეო საბჭოს ანგარიში სკოლის ფინანსური საქმიანობის შესახებ, რაც ასახულია საბჭოს შესაბამის ოქმებში; ბუღალტერი ამზადებს ბიუჯეტის პროექტს წინა წლის ანალიზისა და სავარაუდო შემოსავლებისა და ხარჯების გათვალისწინებით, დირექტორი საჭიროებისამებრ აკეთებს კორექტირებას და საბოლოო გეგმა განიხილება და დამტკიცდება სამეურვეო საბჭოს მიერ; წლის ბოლოს იქმნება სპეციალური ინვენტარიზაციის კომისია, რომელიც აფასებს ფინანსურ აქტივებს, მოთხოვნებსა და ვალდებულებებს.
აღსანიშნავია, რომ სკოლის ფინანსური ანგარიშგება კონტროლდება ბანკის ამონაწერებით, რაც გამორიცხავს ფინანსური რესურსების არამიზნობრივ ხარჯვას და უზრუნველყოფს ფინანსური მენეჯმენტის სიზუსტეს. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ბიუჯეტი
- შესყიდვების გეგმა
- სკოლის სამეურვეო საბჭოს ოქმი ბიუჯეტის დამტკიცებაზე;
- სკოლის სამეურვეო საბჭოს ოქმი ფინანსური საქმიანობის ანგარიში;

შეფასება:
0. გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
0. შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა
4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა
4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

მონიტორინგის შედეგად დადასტურდა, რომ სკოლაში შექმნილია მოსწავლეთა უფლებების დაცვის სამართლებრივი და ინსტიტუციური მექანიზმები. მოსწავლეთა სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება ხორციელდება როგორც საგნობრივი, ისე პროექტული და საინფორმაციო ღონისძიებების ფორმატში. ფუნქციონირებს საჩივრების გამჭვირვალე და ეტაპობრივად გაწერილი სისტემა, რაც უზრუნველყოფს დარღვეული უფლების აღდგენის შესაძლებლობას.

სკოლაში შემუშავებულია შინაგანაწესი, რომელშიც მკაფიოდ არის განსაზღვრული მოსწავლეთა უფლებები და მოვალეობები, აგრეთვე დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმები და მათი გამოყენების წესი. შიდა რეგულაციები უზრუნველყოფს მოსწავლეთა კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების განხორციელებას და ემყარება მოქმედ კანონმდებლობას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ შესაბამისად, სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა და მათი კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირებას უფლებებისა და მოვალეობების, დარღვეული უფლების აღდგენისა და დაცვის მექანიზმების შესახებ. აღნიშნული საბჭო წარმოადგენს მოსწავლეთა უფლებების დაცვის დამატებით ინსტიტუციურ გარანტიას.

სკოლაში ფუნქციონირებს სამოქალაქო განათლების კლუბი „მე-ადამიანი“, რომლის მიზანია ადამიანის უფლებების პატივისცემის, თანასწორობისა და არაძალადობრივი ურთიერთობების კულტურის ჩამოყალიბება. კლუბის ფარგლებში განხორციელდა პროექტი „სახლობანა, როგორც ძალადობა“, რომელიც განიხილავდა ნაადრევ ქორწინებას, როგორც ბავშვთა უფლებების დარღვევის ერთ-ერთ ფორმას. პროექტი განხორციელდა სამოქალაქო განათლების კონტექსტში და მოიცავდა საკითხის ანალიზს როგორც ინდივიდუალურ, ისე საზოგადოებრივ ჭრილში.

ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიანი მსოფლიო კამპანიის ფარგლებში სკოლას ეწვია შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის წარმომადგენელი. შეხვედრის მიზანი იყო მოსწავლეთა სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის, ადრეული ქორწინებისა და ბავშვთა

უფლებების დაცვის საკითხებზე. შეხვედრა წარიმართა დისკუსიის ფორმატში, განხილულ იქნა ძალადობის გამომწვევი მიზეზები, რეალური შემთხვევები და სახელმწიფოს მიერ არსებული მხარდამჭერი მექანიზმები.

პროექტი წარდგენილი იქნა გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის 35 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე „ბავშვები ბავშვებისათვის“ და მოხვდა საუკეთესო ათეულში, რის შედეგადაც წახალისდა გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის პრეზიდენტის მიერ. აღნიშნული ფაქტი მიუთითებს მოსწავლეთა მაღალი ჩართულობისა და თემის გააზრებაზე.

სკოლაში სისტემატურად ხორციელდება იურიდიული ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები. მოსწავლეებთან განხილულია პასუხისმგებლობის საკითხები არასრულწლოვანთათვის, მავნე ჩვევებისგან თავის არიდების გზები (ნარკოტიკები, ალკოჰოლი, სიგარეტი), აგრეთვე ბულინგისა და კიბერბულინგის საფრთხეები.

სკოლაში მოქმედებს განცხადებისა და საჩივრის განხილვის პროცედურები, დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით (N 2-285, 12/09/25)

გასაჩივრების დეტალური პროცედურები. დოკუმენტი განსაზღვრავს საჩივრის წარდგენის, განხილვის, ვადებისა და გადაწყვეტილების მიღების წესს, რაც უზრუნველყოფს სამართლიანი, მიუკერძოებელი და გამჭვირვალე პროცედურის განხორციელებას. პროცედურები ხელმისაწვდომია და ითვალისწინებს როგორც ადმინისტრაციული, ისე აკადემიური საჩივრების განხილვის მექანიზმებს.

სკოლა ხელს უწყობს უსაფრთხო, არაძალადობრივი და უფლებებზე დაფუძნებული გარემოს ჩამოყალიბებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან

შინაგანაწესი განთავსებულია საინფორმაციო დაფაზე და ხელმისაწვდომია სკოლის ვებგვერდზე. რეგულაციები განიხილება მშობელთა კრებებზე, მოსწავლეთა თვითმმართველობასა და პედაგოგიურ საბჭოზე. დოკუმენტში მითითებულია მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია რეგულაციების განახლება საზოგადოების ინიციატივით. რეგულაციები არა მხოლოდ ფორმალურად, არამედ პრაქტიკულად არის გაზიარებული.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება

სკოლა ყოველი ახალი მოსწავლის ჩარიცხვისას აფორმებს ხელშეკრულებას, რომელიც მოიცავს მოსწავლის უფლებებს, მშობლის ვალდებულებებსა და სკოლის პასუხისმგებლობებს.
ხელშეკრულება გამჭვირვალეა, შეიცავს მონაცემთა დაცვის დებულებას და ხელმოწერილია მხარეთა მიერ ორ ეგზემპლარად.

დოკუმენტაციით დასტურდება, რომ ყოველი ჩარიცხვისას მოსწავლის მშობელი ხელს აწერს ხელშეკრულებას, რომელიც ასახავს ორივე მხარის უფლებებსა და ვალდებულებებს. ხელშეკრულებაში გაწერილია პირადი მონაცემების დაცვის წესებიც, რაც პასუხობს მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის მოთხოვნებს. ხელშეკრულებები არის გამჭვირვალე და სამართლებრივად გამართული. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დოკუმენტი - „მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის მექანიზმები"
- შინაგანაწესი;
- დისციპლინური კომიტეტის ოქმები;
- სამოქალაქო კლუბის ,,მე-ადამიანის' მიერ ჩატარებული ღონისძიებების ფოტო მასალა.
- მოსწავლეთა ხელშეკრულებების ნიმუშები.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

დოკუმენტი "მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი" განსაზღვრავს პროცესის ეტაპებს, პასუხისმგებელ პირებსა და ვადებს. რეგულაცია შეესაბამება საქართველოს განათლების სამინისტროს ნორმატიულ აქტებს. მობილობის პროცედურები საჯაროდ არის გამოკრული საინფორმაციო დაფაზე და განთავსებულია სკოლის ვებ-გვერდზე. ინტერვიუებით ირკვევა, რომ მოსწავლეთა ნაწილი და მშობელთა უმრავლესობა იცნობენ აღნიშნულ წესს. ასევე აღნიშნავენ, რომ სკოლა დამრიგებლების მეშვეობით პერიოდულად აწვდის ინფორმაციას მობილობის ვადების შესახებ.
პროცედურები თანხვედრილია განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ბრძანებებთან №40/ნ და №35/ნ. დაწესებულია მკაფიო ვადები და პასუხისმგებელი პირები. რეგულაციები სრულად არის კანონთან შესაბამისობაში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს

დოკუმენტაციისა და პრაქტიკის შესწავლით, ინტერვიუებით დადასტურდა, რომ ყველა სტატუსის ცვლილება, მობილობა და ამორიცხვა ხდება დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დოკუმენტური ფიქსაციით. მშობლები ინფორმირებულნი არიან წერილობით. პროცესი გამჭვირვალეა და რეგისტრირდება სპეციალურ ჟურნალში. რეგულაციები სრულად მოქმედებს პრაქტიკაში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლას არ აქვს დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება. სკოლის **შინაგანაწესი და პროგრამების შინაარსი ხელმისაწვდომია** ოფიციალურ არხებზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული

სკოლის შიდა და გარე კომუნიკაცია ეფუძნება **გამჭვირვალობას და თანასწორობის პრინციპს**. კომუნიკაცია ხორციელდება როგორც შიდა ჯგუფებში (სოციალური ქსელი, შეხვედრები), ისე მშობლებისთვის ხელმისაწვდომ ფორმატებში. სკოლის დირექტორი და ადმინისტრაცია აქტიურად აწვდიან **განახლებულ ინფორმაციას პერსონალს და საზოგადოებას** განათლების სიახლეებისა და საგანმანათლებლო რესურსების შესახებ. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი
- სკოლის ვებგვერდი
- სკოლის სოციალური გვერდი
- მოსწავლეთა პირადი საქმეები
- კორესპონდენცია

შეფასება:

გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

დოკუმენტის „მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი“ საფუძველზე დასტურდება, რომ სკოლაში ჩამოყალიბებულია სისტემური და დოკუმენტურად განსაზღვრული მიდგომა, რომელიც მიზნად ისახავს მოსწავლის სწრაფ, თანმიმდევრულ და ჰარმონიულ ინტეგრაციას სასკოლო ცხოვრებაში. მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის დოკუმენტი დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით და განსაზღვრავს ადაპტაციის პროცესის ეტაპებს, პასუხისმგებელ პირებსა და განხორციელების ფორმებს.

მექანიზმი მოიცავს დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთათვის ეტაპობრივ მხარდაჭერას, მათ შორის:

- პირველ დღეებში დამხმარე პედაგოგის ან დამკვირვებლის ჩართულობას;
- კლასის დამრიგებლისა და სკოლის ფსიქოლოგის ერთობლივ შეფასებას მოსწავლის ემოციური და აკადემიური მზადყოფნის შესახებ;
- მშობლებთან საინფორმაციო შეხვედრებს, სადაც განიხილება ადაპტაციის დინამიკა და საჭიროების შემთხვევაში იგეგმება ინდივიდუალური მხარდაჭერის ღონისძიებები.

დოკუმენტში (გვ. 2–4) აღწერილია ადაპტაციის პროცესის მიზნები, ამოცანები და შეფასების მექანიზმები, რაც მიუთითებს პროცესულ მიდგომაზე და არა ფორმალურ აქტივობაზე. განსაზღვრულია როგორც პრევენციული, ისე ინტერვენციული ნაბიჯები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის კეთილდღეობის სისტემურ მონიტორინგს.

პრაქტიკაში ადაპტაციის პროცესს აქტიურად უწყობს ხელს კლასის დამრიგებელი და საგნის პედაგოგები. მოსწავლის შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით იგეგმება სხვადასხვა აქტივობა: კლასის საათი, საგაკვეთილო პროცესის გადატანა სკოლის გარე სივრცეში, ექსკურსიები, ფილმის ჩვენება, თეატრში ვიზიტი და სასკოლო წარმოდგენები. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს როგორც სოციალური ინტეგრაციის, ისე მოტივაციის ზრდას.

სკოლაში პირველკლასელებისა და მათი მშობლებისთვის იმართება „ღია კარის დღე“, რაც უზრუნველყოფს წინასწარ გაცნობას სასკოლო გარემოსთან, პედაგოგებთან და სკოლის განლაგებასთან. დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთათვის ტრადიციულად იგეგმება თემატური კვირეულები და ღონისძიებები (დედამიწის დღე, დედაენის გაცილება, ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი აქტივობები), რაც ქმნის ემოციურად უსაფრთხო და თანმიმდევრულ სასწავლო გარემოს.

სსსმ მოსწავლის ჩარიცხვის შემთხვევაში იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) ჯგუფი, რომელიც შეიმუშავებს მოსწავლის საჭიროებებზე მორგებულ გეგმას. სკოლა, კანონმდებლობისა და მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებით, უზრუნველყოფს

ინკლუზიური განათლების სპეციალისტის ჩართვას. აღნიშნული პრაქტიკა შეესაბამება ინკლუზიური განათლების პრინციპებს და უზრუნველყოფს თანაბარ ხელმისაწვდომობას სასწავლო პროცესზე.

დოკუმენტაციის, ინტერვიუებისა და პრაქტიკული განხორციელების ანალიზის საფუძველზე დასტურდება, რომ ადაპტაციის მექანიზმი არ არის ფორმალური ხასიათის, არამედ წარმოადგენს რეალურად მოქმედ ინსტრუმენტს, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის უფლებების დაცვას, ფსიქო-ემოციურ სტაბილურობასა და სასწავლო პროცესში ჩართულობას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან

სკოლის პრაქტიკა ადასტურებს, რომ ადაპტაციის პროცესი იწყება სასწავლო წლის პირველივე დღეებიდან. სკოლა ახორციელებს ინტეგრაციულ აქტივობებს - გაცნობითი ტურები, ერთობლივი თამაშები, კლასის წესების შეთანხმება, საკლასო კლუბების შექმნა, არაფორმალური შეხვედრები. პირველ ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა I კლასის და ახალჩარიცხული მოსწავლეების ფსიქოემოციურ ადაპტაციას. მასწავლებელთა გუნდმა აღნიშნა, რომ ეს მიდგომა მნიშვნელოვნად ამცირებს დისციპლინურ და ემოციურ სტრესს, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის პროდუქტიულ დაწყებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

სკოლაში დანერგილია დამატებითი კონსულტაციების პრაქტიკა, რომელიც მოიცავს:

- სუსტი მოსწავლეების იდენტიფიცირებას პედაგოგების მიერ;
- ინდივიდუალური საგნობრივი მხარდაჭერის გაწევას;
- დამატებით გაკვეთილებსა და საკონსულტაციო შეხვედრებს საგნობრივად (მათემატიკა, ქართული ენა, უცხო ენა);
- მოსწავლეთა წარმატების მონიტორინგს და შედეგების გაზიარებას მშობლებთან.

დოკუმენტურად დადასტურდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს სწავლების დიფერენცირებულ მიდგომას, ხოლო მოტივირებული მოსწავლეები მონაწილეობენ ოლიმპიადებსა და კონკურსებში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით

ინტერვიუებისა და დოკუმენტაციის ანალიზით დადგინდა, რომ ადმინისტრაცია უზრუნველყოფს მოსწავლეთა მოთხოვნებზე დროულ რეაგირებას.

- შინსწავლებისა და ექსტერნატის განაცხადებზე პასუხი გაიცემა კანონით დადგენილ ვადებში;
- მობილობისა და სტატუსის ცვლილება რეგისტრირდება დირექტორის ბრძანებით და აღირიცხება შესაბამის ჟურნალებში;
- წერილობითი განცხადებების განხილვა და მშობელთან კომუნიკაცია მიმდინარეობს გამჭვირვალე წესით.

მასწავლებელთა და მშობელთა ინტერვიუებმა აჩვენა, რომ ადმინისტრაციული მხარდაჭერა სწრაფი და ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისთვის. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას

სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესითა და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი და არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას. წარმოდგენილი მასალების, განხორციელებული აქტივობებისა და ინტერვიუების ანალიზის საფუძველზე დასტურდება, რომ დამატებითი განათლება სკოლაში არ წარმოადგენს მხოლოდ ფორმალურ კომპონენტს, არამედ ინტეგრირებულია სასწავლო და სააღმზრდელო პოლიტიკაში.

სკოლაში ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე – 1-ლი ივნისი – აღინიშნება, როგორც ტრადიციული და ღირებულებით დატვირთული ღონისძიება. აღნიშნული დღე ემსახურება ბავშვის უფლებების მნიშვნელობის ხაზგასმას, მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ემოციური უსაფრთხოების გაძლიერებას. ამ დღეს ტარდება „თვითმმართველობის დღე“, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები ჩაანაცვლებენ სკოლის დირექცია-ადმინისტრაციასა და მასწავლებლებს. აღნიშნული პრაქტიკა ხელს უწყობს პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარებას, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის გამოცდილებასა და დემოკრატიული კულტურის გაღრმავებას.

სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა მიმართულების კლუბები, რაც მიუთითებს მოსწავლეთა ინტერესების მრავალფეროვნების გათვალისწინებაზე.

სამოქალაქო განათლების კლუბი „მე – ადამიანი“ მიზნად ისახავს ახალგაზრდების გააქტიურებასა და მოქალაქეობრივი ცნობიერების ამაღლებას. კლუბის საქმიანობა მიმართულია სამოქალაქო უნარ-ჩვევების, პასუხისმგებლობისა და დემოკრატიული ღირებულებების განვითარებაზე. მოსწავლეები სწავლობენ პრობლემების ანალიზს, ინიციატივების დაგეგმვას, თემის საჭიროებებზე რეაგირებას და თანამშრომლობენ სხვადასხვა ორგანიზაციასთან. აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს მოსწავლეთა რეალურ ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში და აძლიერებს მათ აქტიურ მოქალაქეობრივ პოზიციას.

სასკოლო კლუბი „ლიტერატურა კინოხელოვნებაში“ წარმოადგენს სასწავლო პროცესისა და არაფორმალური განათლების ეფექტიან სინთეზს. კლუბის საქმიანობა ეფუძნება ლიტერატურული ტექსტებისა და მათი ეკრანიზაციების შედარებით ანალიზს. მოსწავლეები არა მხოლოდ ეცნობიან ქართული ლიტერატურისა და კინოხელოვნების ნიმუშებს, არამედ სწავლობენ ტექსტისა და ვიზუალური ნარატივის შედარებას, განსხვავებული კოდების გააზრებას (სამწერლო ენა, ვიზუალური ენა, მუსიკა, ჟესტი, კამერის პერსპექტივა და სხვ.).

ფილმის ნახვის შემდეგ ტარდება დისკუსიები, რაც ავითარებს კრიტიკულ აზროვნებას, ანალიზისა და არგუმენტაციის უნარებს. აღნიშნული კლუბი ხელს უწყობს მოსწავლეთა კითხვის მოტივაციის ზრდას და კულტურული მემკვიდრეობის გაცნობიერებას.

სკოლაში ფუნქციონირებს „კლასის მკითხველთა კლუბი“, რომელიც წარმოადგენს ერთგვარ სასწავლო-დისკუსიურ პლატფორმას. კლუბის წევრები კითხულობენ ერთსა და იმავე წიგნს, შემდეგ კი მართავენ სიღრმისეულ განხილვას. დისკუსიები ინიცირებული შეიძლება იყოს პედაგოგის მიერ, თუმცა პროცესს აქტიურად წარმართავენ თავად მოსწავლეები, რაც ხელს უწყობს ავტონომიურობასა და დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებას.

კლუბი იყენებს როგორც ოფლაინ, ისე ონლაინ კომუნიკაციის ფორმებს (მესენჯერის ჯგუფი, მშობლების ჩართულობა), რაც აძლიერებს სკოლა–ოჯახის პარტნიორობას. ასევე აღსანიშნავია მწერლებთან შეხვედრები და წიგნის ფესტივალში მონაწილეობა, რაც მოსწავლეებს აძლევს რეალურ კულტურულ გამოცდილებას.

სკოლაში ფუნქციონირებს ონლაინ ჟურნალი („Time-ერი“), რაც მოსწავლეთა მედია-წიგნიერების, წერითი უნარებისა და შემოქმედებითი თვითგამოხატვის განვითარებას ემსახურება. აღნიშნული პრაქტიკა ავითარებს პასუხისმგებლობას, გუნდურ მუშაობას და ინფორმაციის გადამუშავების უნარს.

სპორტის მიმართულებით სკოლაში ფუნქციონირებს ბეისბოლისა და სოფთბოლის კლუბი „მგლები“, რომლის წევრები არიან საქართველოს ჩემპიონები, შემოდგომის თასის მეორეადგილოსნები და ევროპის ჩემპიონატზე მესამე ადგილის მფლობელები. აღნიშნული შედეგები მიუთითებს სისტემურ მუშაობაზე, პროფესიონალურ მიდგომასა და მოსწავლეთა ფიზიკური განვითარების ხელშეწყობაზე. წარმოდგენილი საქმიანობების ანალიზის საფუძველზე დასტურდება, რომ სკოლაში დამატებითი და არაფორმალური აქტივობები:

- ეფუძნება მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს;
- უზრუნველყოფს მოქალაქეობრივი, კულტურული და სოციალური უნარების განვითარებას;
- ხელს უწყობს თვითგამოხატვასა და პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბებას;
- ქმნის უსაფრთხო, მხარდამჭერ და ინკლუზიურ გარემოს.

სკოლა ეფექტიანად ახორციელებს მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას და დამატებითი განათლების მიმართულებით მუშაობა სისტემური და შედეგზე ორიენტირებულია. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

სკოლაში ფუნქციონირებს უკუკავშირის მრავალარხიანი სისტემა:

- მოსწავლეთა თვითმმართველობის შეხვედრები დირექტორთან;
- მშობელთა შეკრებები და ონლაინ-ფორმები მოსაზრებების გასაზიარებლად;

- კლასის დამრიგებელთა ანგარიშები ადმინისტრაციაში მოსწავლეთა საჭიროებების შესახებ.

მიღებული უკუკავშირის საფუძველზე სკოლა რეგულარულად ასწორებს შიდა პოლიტიკას - მაგალითად, სწავლების განრიგი გადახედილია მოსწავლეთა წინადადებების მიხედვით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შიდა რეგულაციები და დირექტორის ბრძანებები
- საგნობრივი კონსულტაციების გრაფიკი და ჟურნალები
- ინტერვიუს ჩანაწერები პედაგოგებთან და მოსწავლეებთან
- ფოტომასალა არაფორმალური აქტივობებიდან
- თვითმმართველობის ოქმები და უკუკავშირის ფორმები
- სასკოლო სასწავლო გეგმა

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის მომსახურების ხელმისაწვდომობას. მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში ამ მიმართულებაზე კონკრეტული კოორდინატორი არ არის დანიშნული, აღნიშნული ფუნქცია ეფექტიანად სრულდება ადმინისტრაციისა და დამრიგებელთა თანამშრომლობით.
სკოლა აქტიურად თანამშრომლობს ქალაქის პროფესიულ კოლეჯთან, რომლებიც პერიოდულად ატარებენ საინფორმაციო შეხვედრებს მოსწავლეებთან. აღნიშნული თანამშრომლობა აძლევს მოსწავლეებს შესაძლებლობას, პრაქტიკულად გაეცნონ პროფესიული განათლების მიმართულებებს, მასტერკლასებს და დაესწრონ ღია კარის დღეებს.
ასევე, დამრიგებლები სისტემატურად ატარებენ თემატურ საათებს პროფესიის არჩევასა და განათლების გაგრძელების გზებზე, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველა მოსწავლისთვის.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

ინტერვიუებისა და დოკუმენტური მტკიცებულებების საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს კარიერული ინფორმაციის რეგულარულ გავრცელებას როგორც მოსწავლეებს შორის, ისე მათ მშობლებთან.
დამრიგებლები ახორციელებენ საკლასო დისკუსიებს განათლებისა და პროფესიის არჩევის თემაზე, აცნობენ კოლეჯებისა და უმაღლესი

სასწავლებლების მიღების პირობებს, სახელმწიფო პროგრამებსა და საგრანტო შესაძლებლობებს.
საკარიერო ინფორმაციის კომუნიკაცია ხდება როგორც პირისპირ შეხვედრების, ასევე სკოლის სოციალური გვერდის საშუალებით, სადაც პერიოდულად ქვეყნდება სიახლეები პროფესიული განათლების შესაძლებლობების შესახებ.
მშობლები აღნიშნავენ, რომ ადმინისტრაცია მათ დროულად აწვდის საჭირო ინფორმაციას, რაც მათ ეხმარება შვილების გადაწყვეტილების მიღების პროცესში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს

სკოლაში მოქმედებს უკუკავშირის პრაქტიკული სისტემა - მოსწავლეთა, მშობლებისა და დამრიგებლებისგან რეგულარულად გროვდება ინფორმაცია კარიერული აქტივობების შესახებ. მიღებული უკუკავშირი განიხილება ადმინისტრაციისა და პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე და გამოიყენება მომდევნო ღონისძიებების დაგეგმვისას.
მიუხედავად იმისა, რომ ფორმალიზებული შეფასების ინსტრუმენტები (მაგ., სტანდარტიზებული კითხვარი ან შეფასების ცხრილი) არ არის დანერგილი, პრაქტიკაში დასტურდება მუდმივი ანალიზისა და გაუმჯობესების ტენდენცია.
ადმინისტრაციის განცხადებით, წინა წლებშიც ჰქონდათ პრაქტიკა და კვლავაც იგეგმება პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ინტეგრირება სასწავლო პროგრამაში, რათა მომსახურება გახდეს უფრო სისტემური და გეგმაზომიერი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მემორანდუმები
2. სადამრიგებლო პროგრამები

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი

სკოლას დოკუმენტურად განსაზღვრული აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან (სსსმ) მუშაობის მექანიზმი, რომელიც სრულად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობასა და განათლების სამინისტროს შესაბამის წესებს. მექანიზმი მოიცავს:

- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების იდენტიფიცირებისა და შეფასების წესს;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შემუშავებისა და განხორციელების პრინციპებს;
- მოსწავლის განვითარების მონიტორინგის ფორმებსა და პასუხისმგებელ პირებს;

- სპეციალური მასწავლებლის, ასისტენტის და ფსიქოლოგის ფუნქციურ ვალდებულებებს.

მოცემული დოკუმენტაცია (ისგ, საშტატო განრიგი, შრომითი ხელშეკრულებები) ადასტურებს, რომ სკოლას გააჩნია ფორმალიზებული და მოქმედი სისტემა, რომლის ფარგლებშიც ხდება სსსმ მოსწავლეთა საგანმანათლებლო და სოციალური საჭიროებების დაკმაყოფილება.

სკოლაში ფუნქციონირებს **ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი ჯგუფი (ისგ)**, რომელიც ახორციელებს სსსმ მოსწავლეთა საჭიროებების შეფასებას, გეგმავს ინდივიდუალურ სასწავლო პროცესს და ახორციელებს შედეგების პერიოდულ მონიტორინგს. თითოეულ მოსწავლეს აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც მოიცავს საგნობრივ, ქცევით, სოციალურ და ემოციურ მიზნებს. დოკუმენტაცია მოიცავს ისგ-ის ოქმებსა და ინდივიდუალური გეგმის დანართებს, რაც ადასტურებს მექანიზმის რეალურ გამოყენებას პრაქტიკაში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს

სკოლა ახორციელებს სსსმ მოსწავლეთა მხარდაჭერას მრავალმხრივი თანამშრომლობის საფუძველზე.

- სკოლას ჰყავს 3 სპეციალური მასწავლებელი, რომლებიც მონაწილეობენ ინდივიდუალური გეგმის შესრულების დაგეგმვასა და მონიტორინგში.
- მშობლები რეგულარულად ერთვებიან დაგეგმვასა და შეფასების პროცესში; აღნიშნული დასტურდება **ისგ-ის ოქმებით**, სადაც ფიქსირდება მშობელთა მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღებაში.
- მასწავლებლები თანამშრომლობენ სპეციალურ პედაგოგებთან სწავლების ადაპტაციისა და რესურსების შერჩევის მიზნით.
- ინდივიდუალური გეგმის განხორციელების პროცესს პერიოდულად აკვირდება ადმინისტრაცია, ხოლო შედეგები განიხილება პედაგოგიურ საბჭოზე.
- სსსმ მოსწავლეები ჩართულნი არიან სხვადასხვა სასკოლო და არაფორმალურ აქტივობაში, რაც უზრუნველყოფს მათი სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობას.

აღსანიშნავია, რომ სკოლა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ინკლუზიურ გარემოს - სსსმ მოსწავლეები მონაწილეობენ სკოლის კულტურულ ღონისძიებებში, შემოქმედებით კონკურსებსა და კლუბურ საქმიანობაში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დოკუმენტი „სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი”
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები (სსგ)

- ისგ-ის შეხვედრების ოქმები
- სკოლის საშტატო განრიგი
- შრომითი ხელშეკრულებები სპეციალისტებთან.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლას იჯარის ფორმით გაცემული აქვს გარკვეული ფართები, რაც მიზნად ისახავს ინფრასტრუქტურული რესურსების ეფექტიან გამოყენებას და სასწავლო გარემოს განვითარების მხარდაჭერას. წარმოდგენილი პრაქტიკა მიუთითებს, რომ სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა გამოიყენება არა მხოლოდ სასწავლო პროცესისთვის, არამედ დამატებითი საგანმანათლებლო და მხარდამჭერი სერვისების უზრუნველსაყოფადაც.

იჯარით გაცემის მიმართულებები მოიცავს:

- **კვების მომსახურებას** – ბუფეტის ფუნქციონირების მიზნით, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ხელმისაწვდომობას უსაფრთხო და ორგანიზებულ კვებით სერვისზე სასწავლო დღის განმავლობაში;

- **სპორტულ აქტივობებს** – სპორტული დარბაზისა და/ან ღია მოედნის გამოყენებას სპორტულ წრეებთან თანამშრომლობით, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ფიზიკური აქტივობის, ჯანსაღი ცხოვრების წესისა და სპორტული უნარების განვითარებას;

- **სახელოვნებო აქტივობებს** – სააქტო დარბაზების გამოყენებას ცეკვისა და სიმღერის წრეებთან თანამშრომლობით, რაც ქმნის პირობებს შემოქმედებითი უნარების განვითარებისათვის.

აღნიშნული პრაქტიკა მიუთითებს, რომ სკოლა ინფრასტრუქტურულ რესურსებს განიხილავს, როგორც განვითარების პლატფორმას და არა მხოლოდ სტატიკურ ქონებას. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ იჯარით გაცემული ფართების გამოყენება არ ზღუდავდეს სასწავლო პროცესს, არ არღვევდეს უსაფრთხოების, სანიტარულ-ჰიგიენურ და ბავშვის უფლებების დაცვის მოთხოვნებს და სრულ შესაბამისობაში იყოს მოქმედ კანონმდებლობასთან.

ანალიზის საფუძველზე დასტურდება, რომ ფართების იჯარით გაცემა ემსახურება სასწავლო გარემოს გამდიდრებას და დამატებითი სერვისების ხელმისაწვდომობას, რაც დადებითად აისახება მოსწავლეთა განვითარებაზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას

მშობლებმა და მოსწავლეებმა ინტერვიუსას დაადასტურეს, რომ **არჩევანის თავისუფლება დაცულია**, და სერვისით სარგებლობა არ წარმოადგენს სავალდებულო მოთხოვნას.
გადაწყვეტილება კონკრეტული მომსახურებით სარგებლობის შესახებ მიიღება მოსწავლისა და მისი კანონიერი წარმომადგენლის მიერ ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.

სურვილის გამოხატვის შემთხვევაში მხარეებს წინასწარ ეცნობებათ მომსახურების პირობები, შინაარსი, ხანგრძლივობა და შესაბამისი ვალდებულებები. შემდგომ ეტაპზე ფორმდება წერილობითი მომსახურების ხელშეკრულება, რაც უზრუნველყოფს ურთიერთობის სამართლებრივ გამჭვირვალობასა და მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების მკაფიო განსაზღვრას.

აღნიშნული პრაქტიკა შეესაბამება თანასწორობისა და ნებაყოფლობითობის პრინციპებს და გამორიცხავს იძულებით ან არაპირდაპირ ზეწოლას მოსწავლეებზე დამატებით აქტივობებში ჩართვის მიზნით. ამასთან, სკოლის მიერ შეთავაზებული ნებისმიერი დამატებითი მომსახურება ორიენტირებულია მოსწავლის აკადემიური, ფიზიკური, სოციალური ან შემოქმედებითი განვითარების ხელშეწყობაზე და არ ცვლის სავალდებულო სასწავლო პროცესს.

დოკუმენტაციისა და პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე დასტურდება, რომ დამატებითი მომსახურებების შეთავაზება რეგულირებულია გამჭვირვალე და ნებაყოფლობითი მექანიზმით, რაც იცავს მოსწავლის უფლებებს და უზრუნველყოფს ინტერესებზე დაფუძნებულ არჩევანს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს

სკოლა ყურადღებას ამახვილებს დამატებითი მომსახურების უსაფრთხოებაზე:

- სკოლის შენობაში უცხო პირთა გადაადგილება რეგულირდება დირექტორის ბრძანებით, მორიგე მასწავლებლებისა და მანდატურების ზედამხედველობით;

- კლუბის შეხვედრები ტარდება სკოლის კომპიუტერულ ლაბორატორიაში, პასუხისმგებელი პირების მეთვალყურეობით;
- მოსწავლეთა ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება უზრუნველყოფილია სკოლის შინაგანაწესით დადგენილი წესებით.

სკოლა განსაკუთრებულად უსვამს ხაზს მოსწავლის **საუკეთესო ინტერესების პრინციპს** — ყველა დამატებითი ან არაფორმალური მომსახურება მიზნად ისახავს მოსწავლის განვითარებას, ჩართულობასა და პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამეურვეო საბჭოს თანხმობა (ოქმი)
- დირექტორის შესაბამისი ბრძანებები
- კლუბის მუშაობის ანგარიში

შეფასება:

გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

■ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის II სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)	☐ **შეესაბამება** ■ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

ქ. თბილისის №92 საჯარო სკოლაში 12.09.2025 წლის №N2-284 დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებულია კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი. დოკუმენტში წარმოდგენილია კურიკულუმის განვითარების ძირითადი პროცესები: შემუშავება, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, გადასინჯვა და რევიზია. დოკუმენტის შესავალ ნაწილში აღნიშნულია, რომ კურიკულუმზე მუშაობა მიმდინარეობს თანამშრომლობითი და გუნდური პრინციპების საფუძველზე. პროცესში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, ფუნქციები, პრიორიტეტები და შეხედულებები. კურიკულუმის განვითარებაში ჩართულნი არიან მოსწავლეები, მასწავლებლები, მშობლები და ადმინისტრაცია. აღნიშნული პროცესი გაწერილია შესაბამის დოკუმენტში და ეფუძნება წინა სასწავლო წლის კურიკულუმის ანალიზს. გამოვლენილი საჭიროებების გათვალისწინებით, ახალი სასწავლო წლის დასაწყისში მიმდინარეობს კურიკულუმების განახლება და შემუშავება. აღნიშნულის საფუძველზე კათედრები, საგნობრივი სტანდარტების გათვალისწინებით, განსაზღვრავენ სავალდებულო თემების ჩამონათვალს, საკითხებს, შემოქმედებითი დავალებების პირობებსა და შესაბამის რესურსებს, რომლებიც დაკავშირებულია სტანდარტით განსაზღვრულ მისაღწევ შედეგებთან (გრძელვადიან მიზნებთან). კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლეთა საჭიროებები და შესაძლებლობები, რაც განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) დოკუმენტით და ხორციელდება სპეციალური მასწავლებლის, საგნის მასწავლებლისა და მშობლის ჩართულობით. დაწესებულებამ წარმოადგინა საგნობრივი კურიკულუმები, კათედრის სხდომების ოქმები და მშობელთა კრების ოქმები, რომლებიც ადასტურებს სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებას კურიკულუმის შემუშავების პროცესში.

შესაბამისად, **ინდიკატორი 2.1.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს .**

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები ცხადყოფს, რომ შერჩეული თემები და საკითხები სასკოლო საზოგადოების ინტერესს ითვალისწინებს და თანხვედრაშია საგნობრივ სტანდარტთან. კურიკულუმების შემუშავება ხდება კათედრის წევრებთან თანამშრომლობითა და განხორციელებული პრაქტიკული საქმიანობის გათვალისწინებით. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინტერესების, ასაკობრივი თავისებურებების, უნარებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით შეარჩიეს შემოქმედებითი დავალებები. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტზე დაყრდნობით იკვეთება, რომ სკოლას აქვს ხედვა განავითაროს კურიკულუმი მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და მათი პრიორიტეტების გათვალისწინებით. სკოლის მიერ წარმოდგენილია სკოლის მისია-ხედვა-ღირებულები, სადაც გამოკვეთილია სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები. სასკოლო პრიორიტეტების გამოკვეთისა და რეალიზების მექანიზნები ასევე მკაფიოდ ჩანს საგნობრივ კურიკულუმებში.
შესაბამისად, **ინდიკატორი 2.1.1.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის საფუძველზე სასკოლო საზოგადოების მიერ შემუშავებულია საგნობრივი კურიკულუმები.სკოლას აქვს კარგი პრაქტიკა, რომ სასწავლო წლის ბოლოს ხორციელდება პროცესის შეჯამება და გამოკვეთილი არსებული საჭიროებების გათვალისწინებით ახალი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების, ინტერესების და შესაძლებლობების გათვალისწინებით ახალი საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება. მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ აღნიშნული კურიკულუმების შექმნის პროცესში ჩართულია საგნობრივი კათედრების ყველა წევრი და თანამშრომლობის შედეგად მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით ხორციელდება კურიკულუმის შინაარსობრივი ნაწილის დახვეწა. კათედრებზე არის მაღალი თანამშრომლობრივი კულტურა, რას საშუალებას იძლევა მასწავლებლებმა ერთმანეთს გაუზიარონ მოსწავლეთა მიღწევები, საჭიროებები, ინტერესები, სურვილები და შესაბამისი შინაარსობრივი ნაწილი ასახონ კურიკულუმებში. პედადოგები აღნიშნავენ, რომ აქტუალურ და პრობლემურ საკითხებს განიხილავენ მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან, რაც ქმნის სივრცესა და შესაძლებლობას კურიკულუმის განვითარების პროცესში მათი ჩართულობისთვის.საგნობრივი მიმართულებების მიხედვით წარმოდგენილი პროექტები ქმნის მტკიცებულებით ბაზას, რომელიც ასახავს კურიკულუმის პრაქტიკულ, რეალურ და შედეგზე ორიენტირებულ განხორციელებას.

შესაბამისად, **ინდიკატორი 2.1.1.3 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლაში არსებული სამივე საფეხურის კურიკულუმები გაზიარებულია სასკოლოს საზოგადოების მიერ. კერძოდ, დამრიგებლები მშობელთა კრებაზე მშობლებს აცნობენ კურიკულუმის ძირითად ასპექტებს, კათედრის სხდომებზე პედაგოგები პერიოდულად განიხილავენ კურიკულუმების მუშაობის ეფექტიანობას, ასევე ცალკეული საგნის მასწავლებების სწავლის დაწყებამდე მოსწავლეებთან აკეთებენ კურიკულუმის შინაარსის ერთგვარ პრეზენტაციას . შესაბამისად, **ინდიკატორი 2.1.1.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
2. სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
3. სასკოლო სასწავლო გეგმა
4. პედსაბჭოს ოქმები;
5. კათედრის სხდომის ოქმები;
6. ინდ. გეგმები
7. მშობელთა კრების ოქმები ;
8. საგნობრივი პროექტები.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმების შედგენისას გათვალისწინებულია მოსწავლის ინტერესთა სფერო და შესაძლებლობები, მასში შეტანილია ისეთი შემოქმედებითი დავალებები, რომლებიც ყველა მოსწავლეს მისცემს საშუალებას სკუთარი შესაძლებლობებით მიაღწიოს შედეგს და დააგროვოს აკადემიური, სოციო ემოციური უნარ ჩვევები, რომლებიც ცხოვრებაში გამოადგება. **რჩევა** **სამივე საფეხურის** კურიკულუმებში აისახოს საათების განაწილება თემების მიხედვით. **ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმების შედგენისას სამივე საფეხურზე გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესი (წინა სასწავლო წლის რევიზიის საფუძველზე), ასაკობრივი თავისებურებები. შეთავაზებული აქტივობები ხელს უწყობს შემოქმედებითობის გაზრდას, აზროვნების განვითარებას, უნარების განვითარებას. **რჩევა:** სასურველია:**სწავლების საშუალო საფეხურზე** გაიზარდოს შემოქმედებითი დავალებების რაოდენობა .

	სამივე საფეხურის კურიკულუმებში აისახოს საათების განაწილება თემების მიხედვით. **ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
უცხოური ენები	შემუშავებული კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე. წარმოდგენილი კურიკულუმები მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების კარგ მაგალითს წარმოადგენს. დაწყებით საფეხურზე თემები ბავშვის ყოველდღიური გამოცდილებიდანაა აღებული შინაური ცხოველები, სახლი, დღეები რაც ბუნებრივად აჩენს სწავლის მოტივაციას. საბაზო საფეხურზე კი განსაკუთრებით გამოირჩევა მობილურის თემაზე არგუმენტირებული ესეს დავალება, რომელიც მოსწავლეს კრიტიკულ აზროვნებასა და საკუთარი პოზიციის ჩამოყალიბებაში ავარჯიშებს. საშუალო საფეხურის კურიკულუმი კი სტუდენტს რეალური ცხოვრებისეული თემებით კარიერა, ხელოვნება, სოციალური ცვლილება სამოქალაქო და პროფესიული მზაობისკენ მიჰყავს. **რჩევა:** კურიკულუმები კიდევ უფრო მოსწავლეზე ორიენტირებული გახდებოდა, თუ კომპლექსური დავალებები ყველა თემისთვის ისეთივე კონკრეტულად იქნებოდა გაწერილი, როგორც X კლასის შემთხვევაში. **რჩევა:** სასურველია:გაიზარდოს შემოქმედებითი დავალებების რაოდენობა (**სწავლების საბაზო და საშუალო საფეხურზე).** **რჩევა:** ასევე სასარგებლო იქნებოდა თვითშეფასებისა და თანატოლთა შეფასების ელემენტების პირდაპირ ჩართვა დავალებების სტრუქტურაში. კურიკულუმში ამის გათვალისწინება შესაძლებელია კომპლექსური დავალების სვეტში დაემატოს შეფასების სტრუქტურა, მაგალითად, დავალების აღწერის შემდეგ მიეთითოს: "მოსწავლე აფასებს საკუთარ ნაშრომს მოცემული რუბრიკით" და "მოსწავლეები წყვილებში ან ჯგუფებში აფასებენ ერთმანეთის ნამუშევარს". ამგვარად შეფასება დავალებისგან განუყოფელი ნაწილი გახდება და არა ცალკე, დამოუკიდებელი პროცესი. **რჩევა: სამივე საფეხურის** კურიკულუმში წარმოდგენილი კონტექსტ-მაგალითების გრაფაში უნდა იყოს მოცემული კონკრეტული მაგალითები იმისა, თუ როგორ არის შესაძლებელი კომპლექსური დავალების შესრულება, და არ უნდა იყოს წარმოდგენილი ის თემები, რომლებსაც მოიცავს გაკვეთილი. **ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ესთეტიკური აღზრდა	შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მასში წარმოდგენილი შემოქმედებითი დავალებები, პროექტები და აქტივობები ეფუძნება იმ პრინციპებს, რომლებიც მოსწავლის ინტერესების, შესაძლებლობების, საჭიროებებისა და ინდივიდუალური განსხვავებების გათვალისწინებას გულისხმობს. კურიკულუმი ორიენტირებულია არა მხოლოდ აკადემიური ცოდნის გაღმავებაზე, არამედ იმ უნარებისა და

	კომპეტენციების განვითარებაზე, რომლებიც აუცილებელია მოსწავლის პიროვნული, სოციალურ-ემოციური და შემოქმედებითი ზრდისთვის. **ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე სახელმწიფო ენის კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მასწავლებელთა მიერ შერჩეული თემები, შემოქმედებითი დავალებები ითვალისწინებს მოსწავლეთა შესაძლებლობებს, ინტერესებს, მოთხოვნებს. კურიკულუმის ფარგლებში ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა მოსწავლეებს აკადემიური და პიროვნული განვითარებისთვის ხელშემწყობ აქტივობებსა და დავალებებს სთავაზობს. **ინდიკატორი 2.1.2.1.აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	კურიკულუმები იძლევა მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების განხორციელების შესაძლებლობას. კურიკულუმში შუალედური მიზნები ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას და გამოცდლებასა. კურიკულუმებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და ასაკობრივი თავისებურებები. **რჩევა:** სასურველია: **საბაზო და საშუალო საფეხურზე** გაიზარდოს შემოქმედებითი დავალებების რაოდენობა . **სამივე საფეხურის** კურიკულუმებში აისახოს საათების განაწილება თემების მიხედვით. **ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
სპორტი	**სამივე საფეხურზე** - შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ესგ-ის გრძელვადიან მიზნებს და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მასში მოცემული კომპლექსური დავალებები და აქტივობები საშუალებას იძლევა მოსწავლე იყოს სასწავლო პროცესის ცენტრში და ამასთანავე, საკუთარი სწავლის პროცესის წარმმართველი. ასევე, იგი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები, გამოხატონ ემოციები და ინტერესები. **რჩევა: საბაზო და საშუალო საფეხურის** კურიკულუმები სასურველია მეტად გამრავალფეროვნდეს სასწავლო თემების მიხედვით, როგორებიცაა - ოლპმპიზმი, მავნე ჩვევები, ლაშქრობა და სხვა.) **ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისია. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების

	გზას. წარმოდგენილი კომპლექსური დავალების იდეები კომპლექსური ბუნებისაა და ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას და ახლოსაა მოსწავლეთა ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და სასკოლო სასწავლო გეგმის შინაარსითა და განხორციელებული სასწავლო პროცესით, იქმნება მოსწავლეების შესაძლებლობების გამოვლენის, სწავლისა და თანაბარი განვითარების ხელშემწყობი გარემო. ჩანს, რომ სკოლას და მასწავლებელს აქვს მზაობა სწორედ დაგეგმონ სასწავლო პროცესი, ორიენტირება მოახდინონ გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განსაზღვრონ საფეხურის დონეზე. **ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას და ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები და შესაძლებლობები, რაც კარგად ჩანს მათ მიერ განხორციელებულ /შემოქმედებითი ტიპის დავალებებში. ეს ხელს უწყობს მოსწავლეებში შესასწავლი საკითხის მიმართ ინტერესისა გაზრდას და აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. ასევე, ყველა მეთოდი, აქტივობა თუ რესურსი არის მრავალფეროვანი და მორგებულია მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს. **ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმები, კათედრაზე შეთანხმებულად შედგენილი და ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვითაა წარმოდგენილი, ყველა თემა შეძლებისდაგვარად ფარავს სამიზნე ცნებებს და მოსწავლეს უმუშავებს საგანში მკვიდრ წარმოდგენებს, რომელსაც ცხოვრებისეული მაგალითებით, სხვადასხვა ონლაინ და მატერიალური რესურსებით მტკიცდება. კურიკულუმით გაწერილი პროცესი ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ ზრდას, თანამშრომლობის, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას, რაც ესგ მიზნებს შეესაბამება. **ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები ესგ-ს გათვალისწინებით არის წარმოდგენილი , გრძელვადიანი მიზნები აისახება სამიზნე ცნებებსა და მასთან დაკავშირებულ საკითხებში. სამივე საფეხურის კურიკულუმში ჩანს დაგეგმილი პროცესები ხელს შეიუწყობს მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებას და კონსტუქტივიზმს. შერჩეული კომპლექსური ბუნების

	დავალებები შეძლებისდაგვარად გათვლილია სხვადასხვა უნარების განვითარებაზე, მაგ: შემოქმედებითი უნარების განვითარება, მოქალაქეობა, კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, ფინანსური წიგნიერების განვითარების უნარები (სამოქალაქო განათლებაში) **რჩევა: საშუალო საფეხურზე**, კათედრაზე შემუშავებული XII კლასის კურიკულუმი (ისტორიასა და საქართველოს ისტორიაში) სასურველია, შეივსოს შემოქმედებითი ბუნების დავალებებითაც, რომლებიც ხელს შეუწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას. **ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები, მასში გაწერილი კომპლექსური დავალებებით, მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. იგი ეფუძნება კომპეტენციებზე ორიენტირებული სწავლების მიდგომებს და მიზნად ისახავს მოსწავლეთა კომუნიკაციური უნარების განვითარებას, კულტურული თვითმყოფადობის ჩამოყალიბებას და უცხოურ ენაზე თვითგამოხატვის უნარის ფორმირებას. კურიკულუმში გაწერილი მიზნები და ამოცანები შესაბამისობაშია ესგ-ის საფუძველზე ჩამოყალიბებულ ზოგად და საგნობრივ კომპეტენციებთან, რაც აისახება შედეგების კოდირებაში თითოეული თემის მიხედვით. სასწავლო პროცესი ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ ზრდას, თანამშრომლობის, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას, რაც ეროვნულ დონეზე დასახული უცხოური ენის სწავლების მიზნების რეალიზაციის წინაპირობაა. **2.1.2.2 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები, მასში გაწერილი შეოქედებითი დავალებებით მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. იგი ეფუძნება კომპეტენციებზე ორიენირებული სწავლების მიდგომებს და მიზნად ისახავს მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარებას, კულტურული თვითშეგნების ჩამოყალიბებას და ხელოვნებაში თვითგამოხატვის უნარის ფორმირებას. კურიკულუმში გაწერილი მიზნები და ამოცანები შესაბამისობაშია ესგ-ის საფუძველზე ჩამოყალიბებულ ზოგად და საგნობრივ კომპეტენციებთან. სასწავლო პროცესი ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ ზრდას, თანამშრომლობის, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას, რაც ეროვნულ დონეზე დასახული მიზნების რეალიზაციის წინაპირობაა. **ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. შუალედური მიზნების მისაღწევად კურიკულუმებში ჩაშენებულია შემოქმედებითი ბუნების დავალებები. სამივე საფეხურის კურიკულუმებში იკითხება, რომ დაგეგმილი პროცესები ხელს შეიუწყობს მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებასა და ახალ ცოდნამდე მიყვანის პროცესს. შერჩეული კომპლექსური ბუნების დავალებები შეძლებისდაგვარად გათვლილია ისეთი

	გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებაზე, როგორებიცაა: მოქალაქეობა, კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, თანამშრომლობა, კომუნიკაცია და სხვა. **რჩევა: (საშუალო საფეხურზე)**კათედრაზე შემუშავებული XII კლასის კურიკულუმი,სასურველია, შეივსოს შემოქმედებითი ბუნების დავალებებითაც, რომლებიც დაგეგმილ სხვა აქტივობებთან ერთად ხელს შეუწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას. **ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	მათემატიკაში საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე ორიენტირებით. გათვალისწინებულია სავალდებულო თემები. სწავლების პროცესი ეფუძნება ნაცნობ კონტესტებზე დაყრდნობით ცოდნის აგების პრინციპს. კურიკულუმით გათვალისწინებული შუალედური მიზნები ითვალისწინებს მოსწავლეთა მიერ ცოდნის ფუნქციურ კონტექსტებში გამოყენების შესაძლებლობას. **რჩევა:** სასურველია:**საბაზო საფეხურზე (მაგ: VIII კლ.),** კურიკულუმის ჩარჩოში ზოგ შემთხვევაში გაიგივებული თემა და კონტექსტმაგალითი გადამუშავდეს;მათემატიკის კათედრაზე საგნობრივი სტანდარტში სამიზნე ცნებების შედეგების გათვალისწინებით ჩამოაყალიბონ კომპლექსური ტიპის დავალების იდეა, სადაც გამოკვეთილი იქნება შემოქმედებითი პროდუქტი, რომელსაც ქმნიან მოსწავლეები კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით; **ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სპორტი	**სამივე საფეხურზე** - კურიკულუმები ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რადგან კურიკულუმის ჩარჩო-ცხრილებში სრულყოფილად იყო შევსებული ესგ-ის სტანდარტით განსაზღვრული საგნის სამიზნე ცნებები, ასევე თემატური მატრიცებისა და საგნობრივი/სასკოლო პროექტების არსებობა მიანიშნებს, რომ სკოლა აქვს გამოცდილებაზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი. **ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) ძირითადად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რაც აისახება სამიზნე ცნებებსა და მასთან დაკავშირებულ საკითხებში. კომპლექსური ბუნების დავალების იდეებში ჩანს რომ მოსწავლეებს განუვითარდებათ კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, ციფრული მოქალაქეობა. ჩანს, რომ მასწავლებლები იაზრებენ საკითხის მნიშვნელობას და შეძლებენ მის მოყვანას საგნობრივ სტანდარტთან შესაბამისობაში. **ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმები ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებთან თანხვედრაშია. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით (თვითშეფასება, კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია) და ინტერვიუთი დასტურდება, რომ დაწყებით

	საფეხურზე სასწავლო პროცესი ხორციელდება კურიკულუმის შესაბამისად. კურიკულუმების ჩარჩოები ორიენტირებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე, დაწყებითი საფეხურის ფარგლებში, სტანდარტებში წარმოდგენილი შედეგების და სამიზნე ცნებების სახით. თემებს ახლავს პრაქტიკული, რეალურ ცხოვრებაზე ორიენტირებული აქტივობები. **2.1.2.2 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნების სამივე საფეხურზე თვითოეულ კურიკულუმში ყველა თემაზე წარმოდგენილია ნივთიერი და ონლაინ რესურსები, რომლების ეხმარება მოსწავლეს და მასწავლებელს თემის სრულყოფილად გააზრებაში, რითაც მოსწავლე ეცნობა სასწავლო საკითხს და შეუძლია მოამზადოს შემოქმედებითი პროდუქტი მოახდინოს ცოდნის ტრანსფერი ყოველდღიურ ცხოვრებაში. **ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმის სამივე საფეხურზე ძირითად რესურსად მითითებულია გრიფირებული სახელმძღვანელოები, კურიკულუმში ჩანს და ინტერვიუს დროსაც დაადასტურეს, რომ მასწავლებლები იყენებენ სხვადასხვა დამხმარე რესურს: აუდიო, ვიდეო, სხვა დამხმარე სახელმძღვანელოებს, სტატიებს , მათ მიერ შექმნილ რესურსებს, რომლებიც ხელს უწყობს სასწავლო მიზნების მიღწევას. **ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
უცხოური ენები	წარმოდგენილ კურიკულუმებში გამოყენებულია მრავალფეროვანი რესურსი — სახელმძღვანელოები, სამუშაო რვეულები და YouTube-ის ვიდეომასალა, რაც სხვადასხვა სტილის მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას უკეთ აითვისოს მასალა. ეს რესურსები საკმარისი საფუძველია სწავლის შედეგების მისაღწევად, თუმცა მათი გამდიდრება კიდევ უფრო გაზრდის ეფექტიანობას. **რჩევა: ფლეშქარდები** განსაკუთრებით სასარგებლო იქნება **დაწყებით კლასებში,** სადაც ლექსიკის დიდი მოცულობაა (ცხოველები, ავეჯი, ამინდი) — ბავშვი სიტყვა-სურათის ასოციაციით ბევრად სწრაფად იმახსოვრებს ახალ ლექსიკას. **პოსტერები** კი ეფექტური იქნება **საბაზო საფეხურზე,** არგუმენტების ვიზუალური სქემა ან ბრიტანული კულტურის თემაზე ინფოგრაფიკა კლასის კედელზე მუდმივ სასწავლო გარემოს ქმნის. დამატებითი რესურსების კუთხით კი რეკომენდებულია **პოდქასტების** და მოკლე ავთენტური ტექსტების ჩართვა, განსაკუთრებით **საშუალო საფეხურზე,** სადაც მოსწავლე უკვე მზადაა რეალურ ენობრივ მასალასთან შეხებისთვის. **ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, სრულად უზრუნველყოფს სასწავლ პროცესის ეფექტიან წარმართვას და სწავლის შედეგების მიღწევას. ისინი შერჩეულია ესგ-ის მიზნებისა და კურიკულუმში აღწერილი კომპეტენციების გათვალისწინებით. რესურსები მოიცავს როგორც საბაზისო მასალებს, ასევე დამხმარე რესურსებს, რაც უზრენველყოფს სწავლების მრავალფეროვნებასა და მოსწავლეთა ჩართულობას. მათი გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებითი, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების განვითარებას, ინდივიდუალური საჭროებების გათვალისწინებასა და საგნობრივი შედეგების ეფექტურად მიღწევას. ამ რესურსების დახმარებით შესაძლებელია სწავლების პროცესის გამრავალფეროვნება და თითოეული მოსწავლისთვის ხელმისაწვდომი და ინლუზიური გარემოს შექმნა. **ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე სახელმწიფო ენის კურიკულუმებში ძირითად რესურსად მითითებულია გრიფირებული სახელმძღვანელოები, თუმცა ცალკე გამოგზავნილ ფაილში ნაჩვენებია, რა დამატებით რესურსებს იყენებს კათედრა. ინტერვიუს პროცესში ისაუბრეს მასწავლებლებმა, გამოყენებული ელექტრონული რესურსებისა და სხვა დამატებითი სასწავლო მასალების შესახებ. სკოლას აქვს გამოცდილება, თავადაც შექმნან სასწავლო რესურსები. **ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი რესურსი (გრიფირებული სახელმძღვანელო), ისე დამატებითი რესურსები, ინტერნეტ-პლატფმორმები (მითითებულია კურიკულუმებში მიბმულ დანართებში), რომელთა გამოყენებითაც მოსწავლე ეცნობა სასწავლო საკითხს და შეუძლია მოამზადოს შემოქმედებითი პროდუქტი. **რჩევა:** **(დაწყებითი, საბაზო და საშუალო)** გამომდინარე იქიდან, რომ კურიკულუმებში თემათა ნაწილს მითითებული აქვს დამატებითი რესურსი/რესურსები, სასურველია მათემატიკის კათედრამ იმავე პრინციპით იხელმძღვანელოს იმ თემათა შემთხვევაშიც, სადაც დამატებითი რესურსი მწირია, ან საერთოდ არ არის მითითებული; მასწავლებელთა გამოცდილება და სკოლის ტექნიკური ბაზა იძლევა აღნიშნული რჩევის გათვალისიწინების შესაძლებლობას. **ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სპორტი	**სამივე საფეხურზე -** სკოლის კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. სკოლას იმგვარად აქვს გააზრებული და შერჩეული რესურსები სკოლის რეალური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, რომ მოსწავლეს ეძლევა სრულყოფილი საშუალება გააცნობიეროს სასწავლო მიზნები და მიაღწიოს იმ შედეგებს, რომლებიც განსაზღვრული და წარმოდგენილია სკოლის დოკუმენტებით. **ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) განთავსებულია მრავალფეროვანი რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრულ შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების, თანდართული დოკუმენტაციისდა დაწყებითი კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმების კონცეპტუალურ ჩარჩოებში ასახულია მრავალფეროვანი საგანმანათლებლო და სასწავლო რესურსები, რასაც კათედრის მასწავლებლების იყენებენ სასწავლო პროცესში. კერძოდ: მითითებული აქვთ სხვადასხვა ელექტრონული რესურსი და დამხმარე მასალა, რაც უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების ეფექტურად მიღწევას. **ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესის დაგეგმვა-განხორციელებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები, იყენებენ მათთვის საინტერესო, მოდიფიცირებულ და მრავალფეროვან რესურსებს. ასევე მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებთ სთავაზობენ ალტერნატიულ გზებს კომპლექსური ტიპის დავალების პროდუქტის შესაქმნელად. ამას მოწმობს მოსწავლეთა შემოქმედებითი ტიპის ნაშრომები, სადაც საგნის ცოდნასთან ერთად აღსანიშნავია სხვადასხვა შემოქმედებითი უნარებიც . **ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესის დაგეგვისას კათედრაზე პედაგოგები ითვალისწინებენ დიფერენცირებულ მიდგომებს მოსწავლეთა საჭიროების გათვალისწინებით მოსწავლეთა ჩართულობისათვის და დაინტერესებისათვის. კურიკულუმებს თან ახლავს ამ კლასში განსახორციელებელი შემოქმედებითი ტიპის დავალებების მოსწავლის ბარათები. რომლებშიც ჩანს დიფერენცირებული მიდგომის გათვალიწინება. სკოლაში მოსწავლეთა ინტერესის გათვალისწინებით შექმნილია კლუბები: “მე ვრჩები საქართველოში”(ისტორიის კლუბი), “მე - ადამიანი” (სამოქალაქო განათლების კლუბი), რომლის მიზანია მოსწავლეებში გაზარდოს ის ინტერესი და სიყვარული, ხელი შეუწყოს მოზარდთა წიგნიერებას, სახელმწიფო და სამოქალაქო აზროვნების განვითარებას. **ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	გასაუბრების დროს მასწავლებებმა აღნიშნეს რომ იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს, როგორც შემოქმედებითი აქტივბების განხორციელებისას ისე საგაკვეთილო პროცესშიც. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები შედარებით ინკლუზიურია, რადგან იყენებს სიმღერებს, ვიდეოებს და თემატურ ლექსიკას, რაც სხვადასხვა სტილის მოსწავლეს მოიცავს. თუმცა დიფერენცირებული

	დავალებები პირდაპირ გაწერილი არ არის. საბაზო საფეხურზეც მოცემული თემები მრავალფეროვანია თუმცა სხვადასხვა შესაძლებლობის მოსწავლეებისთვის დიფერენცირებული დავალებები არ არის გაწერილი. საშუალო საფეხურზე მოცემული თემები მრავალფეროვანია და მოსწავლეს არჩევანის საშუალებას აძლევს, თუმცა ინკლუზიური მიდგომა სტრუქტურულად მაინც არ ჩანს. **რჩევები: სამივე საფეხურის** კურიკულუმში პირდაპირ უნდა გაიწეროს დიფერენცირებული დავალებები, მაგალითად თითოეული თემისთვის მიეთითოს "საბაზისო დონის დავალება" და "გაღრმავებული დონის დავალება".ასევე ,სასარგებლო იქნებოდა ჯგუფური და წყვილური სამუშაოების პირდაპირ ჩართვა კომპლექსური დავალებების სვეტში, რაც სხვადასხვა საჭიროების მქონე მოსწავლეებს ერთმანეთის მხარდაჭერის საშუალებას მისცემს. **ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. სწავლება ეყრდნობა მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებას, რაც ხელს უწყობს თითოეულის მაქსიმალურ ჩართულობას და თვითგამოხატვას. სასწავლო პროცესი იგეგმება და წარიმართება კონკრეტული მოსწავლის სურვილების და მზაობის გავალისწინებით. მოსწავლეთა ინტერესები და მათი ასაკობრივი თავისებურებები გათვალისწინებულია კონტექსტებსა და საკითხებში, მოსწავლეთა მიერ განხორციელებულ პროექტებსა თუ აქტივობებში. **ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრის მიერ სწავლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე წარმოდგენილ შემოქმედებითი ტიპის დავალებებში გათვალისწინებულია ინკლუზიური განათლების ხედვა, ინდივიდუალური მიდგომები, ყოველი მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობები და მოტივაციის გზები. დიფერენცირებული სწავლა-სწავლების პრინციპები მოქნილია და მორგებულია სასწავლო პროცესს, ითვალისწინებს მოსწავლის წინარე ცოდნას და მასზე აფუძნებს ახალს. ყოველი კლასის კურიკულუმს თან ახლავს ამ კლასში განსახორციელებელი შემოქმედებითი ტიპის დავალებების მოსწავლის ბარათები. რომლებიც ცხადყოფს მასწავლებლის მხრიდან თითოეულ მოსწავლეზე ინდივიდუალურ მიდგომას. სკოლაში შექმნილია ლიტერატურული კლუბი, რომლის მიზანია მოსწავლეებში გაზარდოს ლიტერატურისადმი ინტერესი და სიყვარული, ხელი შეუწყოს მოზარდთა წიგნიერებას. ეს ყველაფერი უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. **ინდიკატორი 2.1.2.4 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
მათემატიკა	მათემატიკის სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიური სწავლების მიდგომებს. მასწავლებლები ცდილობენ გამოკვეთონ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები და ინტერესები, ამის გათვალისწინებით ნერგავენ დიფერენცირებული სწავლების მეთოდებს და უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას. სკოლის დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან

	საუბრისას ჩანს, რომ ამ მიმართულებით სკოლაში მიმდინარეობს მუშაობა, იგეგმება დიფერენცირებულ მიდგომაზე ორიენტირებული გაკვეთილები, წარმოდგენილი ქონდათ მათემატიკის კათედრაზე შემუშავებული დიფერენცირებული დავალებები სწავლების თითოეულ საფეხურზე, რომელიც გამოიყენეს საჭიროებისამებრ. **რჩევა**: სასურველია **სამივე საფეხურის** კურიკულუმებში გაწერილ შემოქმედებითი დავალებების იდეაში გამოკვეთილი იყოს შემოქმედებითი პროდუქტი, რომელსაც ქმნიან მოსწავლეები, ისე რომ შესაძლებელი იყოს ამ პროდუქტის დიფერენცირება. **ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სპორტი	**სამივე საფეხურზე** - ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩოში ჩანს დავალებების კომპლექსური ბუნება, რომელიც მოსწავლეებს მისცემს შესაძლებლობას გამოხატონ საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება, მრავალი და მისთვის ეფექტური საშუალებით, რადგან სკოლას აქვს კომპლექსური ბუნების დავალებებზე მათ შორის სსსმ მოსწავლეებისათვის მოდიფიცირებული დავალებებით მუშაობის გამოცდილება. **ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ პირთათვის ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა. პედაგოგებთან გასაუბრებით წარმოდგენილ იქნა მოყვანილი კონკრეტულად სასწავლო პროცესში როგორ ხდება მოსწავლეთა ინდივიდალური საჭიროებების გათვალისწინება, დიფერენცირება საგაკვეთილო პროცესში, წარმოდგენილ იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია. **ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვა - განხორციელებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები, იყენებენ მათთვის საინტერესო, მოდიფიცირებულ და მრავალფეროვან რესურსებს. ასევე მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებთ სთავაზობენ ალტერნატიულ გზებს კომპლექსური ტიპის დავალების პროდუქტის შესაქმნელად. **ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	მოსწავლეთა შეფასების სისტემა შესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგეების მიხედვითაა შედგენილი. ასევე წარმოდგენილია ჯგუფური, პრაქტიკული, ლაბორატორიული ექსპერიმენტის შეფასების რუბრიკები. შეფასება ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ მიღწევებზე, თვითგამოხატვის უნარზე, ესთეტიკურ აღქმაზე, პრობლემის

	შემოქმედებითად გადაჭრაზე და მოტივაციის გაზრდაზე. შეფასება ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ მიღწევებზე, პრობლემის შემოქმედებითად გადაჭრაზე და მოტივაციის გაზრდაზე. **ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ შემუშავებული შეფასების სისტემა შეესაბამება ესგ-ით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. შეფასება დაფუძნებულია კომპეტენციებზე ორიენტირებულ მიდგომას და ითვალისწინებს როგორც შემოქმედებითი პროცესის, ისე შედეგების შეფასებას. იგი მოიცავს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან რუბრიკებს, რაც ეხმარება მოსწავლეს პროგრესის გაცნობიერებაში და განვითარებაში. შეფასების რუბრიკები სამივე საფეხურზე დამყარებულია სამიზნე ცნების განვითარებაზე. **რჩევა: საშუალო საფეხურზე** (მე-12 კლასში) სასურველია კათედრამ შეიმუშაოს შეფასების კრიტერიუმები ყველა სასწავლო თემისათვის. **ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;**
უცხოური ენები	წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტები მნიშვნელოვანწილად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს. კომპლექსური დავალებების რუბრიკები მოიცავს როგორც განმავითარებელ, ასევე განმსაზღვრელ შეფასებას, კრიტერიუმები კი პირდაპირ უკავშირდება საგნობრივ შედეგებს, ზეპირმეტყველების სქემა, ესეს შეფასების კრიტერიუმები და პროექტის რუბრიკა სამივე საფეხურის კომპეტენციებს ამოწმებს. პროექტის შუალედური ანგარიშის ფორმა და შეფასების კითხვარი კი მოსწავლის რეფლექსიასა და თვითშეფასებს უწყობს ხელს, რაც ესგ-ის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია. **რჩევები: სამივე საფეხურის** შეფასების რუბრიკებში მიზანშეწონილი იქნება ენობრივი კომპეტენციის კრიტერიუმები კიდევ უფრო კონკრეტულად გაიწეროს უცხოური ენის სპეციფიკიდან გამომდინარე, მაგალითად, გრამატიკული სისწორე, ლექსიკის მრავალფეროვნება და კომუნიკაციური ეფექტიანობა ცალ-ცალკე კრიტერიუმად გამოიყოს. ასევე სასარგებლო იქნებოდა თვითშეფასების მარტივი ფორმის დამატება ყოველი კომპლექსური დავალებისთვის, სადაც მოსწავლე საკუთარ ნაშრომს იმავე კრიტერიუმებით შეაფასებს რაც მასწავლებელს აქვს, რაც შეფასების პროცესს გამჭვირვალეს და მოსწავლისთვის გასაგებს გახდის. **ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	შეფასების სისტემა სრულად შეესაბამება ესგ-ით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. შეფასება დაფუძნებულია კომპეტენციებზე ორიენტირებულ მიდგომას და ითვალისწინებს როგორც შემოქმედებითი პროცესის, ისე შედეგების შეფასებას. იგი მოიცავს ფორმატიულ და შემაჯამებელ შეფასებებს, რაც ეხმარება მოსწავლეს პროგრესის გაცნობიერებაში და შემოქმედებითი უნარების განვითარებაში. ამ მიმართულებით შეფასება ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ

	მიღწევებზე, თვითგამოხატვის უნარზე, ესთეტიკურ აღქმაზე, პრობლემის შემოქმედებითად გადაჭრაზე და მოტივაციის გაზრდაზე. **ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრის მიერ წარმოდგენილ შემოქმედებითი ბუნების დავალებებს, გაკვეთილის გეგმებს, შემაჯამებელ სამუშაოებს თან ახლავს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, წარმოდგენილია თვითშეფასების ფორმებიც. აღნიშნული შეფასებები შესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს და სრულად ემსახურება მოსწავლეთა განვითარებას. **ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	სამივე საფეხურზე პედაგოგები იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ასევე, განმავითარებელ შეფასებას. პედაგოგებს აქვთ გააზრებული, თუ როგორ უნდა შეაფასონ მოსწავლეები კრიტერიუმების მიხედვით და დაადგინონ მათი მიღწევების დონე ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან მიმართებით. აქედან გამომდინარე, მოსწავლის შეფასების სისტემა მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. მტკიცებულებებად წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების ნაწილი ემყარება სამიზნე ცნებებს, ნაწილი კი უფრო ზოგადი ხასიათისაა. **.რჩევა:** რეკომენდირებულია **სამივე საფეხურზე** მათემატიკის კათედრაზე შეფასების რუბრიკები გადამუშავდეს, რათა მეტად იყოს მორგებული შემოქმედებით დავალებებზე , მიემართებოდეს სამიზნე ცნებებს (მათემატიკური მოდელირება, კანონზომიერება და ლოგიკა) და დამყარებული იყოს მოსწავლის მიერ სამიზნე ცნებების გააზრებაზე. **ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;**
სპორტი	სამივე საფეხურზე - კურიკულუმებში გათვალისწინებულ დავალებებში ჩაშლილია გრძელვადიან სასწავლო მიზნებზე ორიენტირებული შეფასების კრიტერიუმები, რაც გვაფიქრებინებს, რომ მასწავლებელს სასწავლო პროცესში განმავითარებელი შეფასების წვლილი აქვთ კარგად გააზრებული. მოსწავლეები დავალებების შესრულების შემდეგ იღებენ სიტყვიერ უკუკავშირს მასწავლებლისგან შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით, რომლებიც სკოლას სასწავლო თემების მიხედვით აქვს შემუშავებული. **რჩევა: სამივე საფეხურზე** - სასურველია სკოლამ შეიმუშაოს შეფასების კრიტერიუმები ყველა სასწავლო თემისათვის. **ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;**
ტექნოლოგიები	სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დამტკიცებული მოსწავლეთა აკადემიური მიღწევის შეფასება, როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი შეფასებისას. რასაც ადასტურებს წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით, რომლებიც პასუხობს სამიზნე ცნებებს და შესაბამისად მიემართება გრძელვადიან შედეგებს.

	წარმოდგენილი დოკუმენტები ადასტურებს, რომ მასწავლებლებს აქვთ შეფასების რუბრიკების შექმნის გამოცდილება. ჩანს, რომ მასწავლებლებს ზოგადად აქვთ ხედვა როგორ მოხდეს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების წარმოება. რაც გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ სკოლას აქვს ხედვა გამოიყენოს როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი შეფასება სწავლის პროცესის გაუმჯობესებისთვის. **რჩევა:** **სწავლების სამივე საფეხურზე** კათედრამ ცალკე შეიმუშაოს ტექნილოგიების სასწავლო მიზნებზე (ესგ) მორგებული შეფასება სხვადასხვა ტიპის დავალებებისთვის (პროგრამირება, , ციკლის ცნება, …). ამ რუბრიკების საშუალებით კი მასწავლებელი სასწავლო პროცესის დროს შეძლებს შექმნას კონკრეტულ დავალებაზე მორგებულ შეფასების რუბრიკა. ასევე გაითვალისწინონ რას ამოწმებს დავალება და შეიმუშაონ შეფასების განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუბრიკები სხვადასხვა ტიპის დავალებებისთვის. **ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე მტკიცებულების სახით წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები შეფასებას აკეთებენ სამიზნე ცნებების გათვალისწინებით, დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ განმავითარებელ შეფასებას, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებს გაიაზრონ მიღწეული და მისაღწევი შედეგები. **ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა და მისი დანართები;
- ბრძანება ისგ ჯგუფის შექმნის შესახებ ;

- საგნობრივი კურიკულუმები ;
- შესარულებული შემოქმედებითი დავალებები ;
- მასწავლებლის თვითრეფლექსია ;
- განმსაზღვრელ-განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ;
- პრაქტიკული სამუშაოების, ჯგუფური შეფასების რუბრიკები ;
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესი სასკოლო კურიკულუმებში წარმოდგენილი გეგმის მიხედვით მიმდინარეობს. გასაუბრებისას წარმოდგენილი პირველი სემესტრის აქტივობების ამსახველი მოსწავლეთა შემოქმედებითი დავალებები ამაზე მეტყველებს. კურიკულუმის მიზნობრივი აქტივობები და სხვადასხვა ტიპის ამოცანები, ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევას. გაკვეთილები მიზანმიმართულად არის დაგეგმილი ისე, რომ მოხდეს როგორც თეორიული ცოდნის, ისე პრაქტიკული უნარების განვითარება **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. ამას ცხადყოფს წარმოდგენილი მასალა და ადასტურებს მასწავლებელთა ინტერვიუები. კურიკულუმში გაწერილი დავალებები და შესაბამისი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა განვითარებას. **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

უცხოური ენები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, რაც ცხადყოფს წარმოდგენილი მასალა და ადასტურებს მასწავლებელთა ინტერვიუები. კურიკულუმში გაწერილი დავალებები და შესაბამისი აქტივობები, თემატური სწავლება, კომპლექსური დავალებები, მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები და შეფასების ინსტრუმენტები, ხელს უწყობს მოსწავლეთა კომუნიკაციური, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განვითარებას. **რჩევები: სამივე საფეხურის** კურიკულუმებში სასურველია თითოეული თემისთვის პირდაპირ გაიწეროს კონკრეტული სასწავლო აქტივობების თანმიმდევრობა, მაგალითად, პირველ ეტაპზე ტექსტის გაცნობა, მეორეზე ჯგუფური განხილვა, მესამეზე კი კომპლექსური დავალება. ასევე სასარგებლო იქნებოდა სასწავლო პროცესში ფორმალური და არაფორმალური აქტივობების მონაცვლეობის გათვალისწინება, რაც სხვადასხვა სტილის მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს საკუთარი უნარები სრულყოფილად გამოავლინოს. **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სწავლება ემყარება ესგ-ს მიზნებსა და ამოცანებს, რომლებიც მოიცავს მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების, ესთეტიკური აღქმის, თვითგამოხატვისა და კულტურული ცნობიერების განვითარებას. სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია ასაკობრივი თავისებურებები, თემატური თანმიმდევრობა, მიზნობრივი აქტივობები და სხვადასხვა ტიპის ამოცანები, რომლებიც ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევას. გაკვეთილები მიზანმიმართულად არის დაგეგმილი ისე, რომ მოხდეს როგორც თეორიული ცოდნის, ისე პრაქტიკული უნარების განვითარება. მაგალითად, სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში განიხილავენ მხატვრულ სტილებს, სახვით და გამოყენებითი ხელოვნების გამომსახველობით ხერხებსა და საშუალებებს, ტექნიკებს და ქმნიან ინდივიდუალურ ნამუშევრებს. მუსიკაში მოსწავლეები ეცნობიან მუსიკის გამომსახველობით ხერხებსა და საშუალებებს და მსჯელობენ მახასიათებლების როლზე ნაწარმოების მხატვრული სახის შექმნაში. **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრის მიერ სამივე საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებზე, გაკვეთილის გეგმებსა და სხვა დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, აგრეთვე, მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	წარმოდგენილი კურიკულუმები წარმოადგენს 2025-2026 სასწავლო წლისათვის შემუშავებულ კურიკულუმებს, სასწალო პროცესი მიმდინარეობს მოცემული კურიკულუმების შესაბამისად. კათედრა გეგმავს კათედრაზე გაანალიზების შემდეგ კურიკულუმის განხორციელების პროცესში

	გამოკვეთილი წინააღმდეგობებისა და მიღწევების შესაბამისად ცვლილებები შეიტანოს კურიკულუმში. **რჩევა:** სასურველია: კურიკულუმებში **(საბაზო-საშუალო საფეხური)** ასახული ზოგიერთი შემოქმედებითი პროდუქტის აღწერილობის მოდიფიცირება იმგვარად, რომ კურიკულუმი ითვალისწინებდეს სასწავლო აქტივობებს. **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
სპორტი	**სამივე საფეხურზე** - სკოლაში სასკოლო პროცესი დაგეგმილია და სრულად შეესაბამება სასკოლო კურიკულუმს. მასწავლებელი წლის დასაწყისში შეიმუშავებს, ცვლის, ანახლებს სასკოლო კურიკულუმს სასკოლო საზოგადოების საჭიროების მიხედვით და შეთანხმებული, შემუშავებული სასკოლო კურიკულუმის მიხედვით წარმართავს სასწავლო პროცესს მთელი წლის განმავლობაში. **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ტექნოლოგიები	სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სასწავლო პროცესი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სწავლა-სწავლების პრინციპებს ეფუძნება, რასაც ადასტურებს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია და მასწავლებლებთან გასაუბრება. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს. **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილი კურიკულუმები, შემოქმედებითი ტიპის კომპლექსური დავალებები, მოსწავლეთა ნამუშვრები და მასწავლებლებთან ინტერვიუზე დაყრდნობით დგინდება, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს მოცემული კურიკულუმების შესაბამისად. **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

სკოლა სასწავლო პროცესს წარმართავს დაგეგმილი სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. დავალებებზე მუშაობის პროცესში მოქნილად რეაგირებს წარმოქმნილ საჭიროებებზე.საჭიროებისამებრ ხდება გაკვეთილების დაწყვილება გადანაცვლება. დოკუმენტაციის ანალიზი აჩვენებს, რომ სასწავლო პროცესი ადაპტირდება მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესებისა და მდგომარეობის მიხედვით. პედაგოგები აქტიურად ცვლიან დაგეგმილ აქტივობებს, სთავაზობენ დიფერენცირებულ მიდგომებსა და მოდიფიცირებულ რესურსებს. მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა საკუთარი აზრისა და ცოდნის გამოხატვის სხვადასხვა ფორმით, რაც ზრდის მათ ჩართულობას სასწავლო პროცესში. სკოლა ითვალისწინებს მასწავლებლების გამოცდილებასა და სასკოლო საზოგადოების მოსაზრებებს, რაც უწყობს ხელს გამოწვევებზე ეფექტურ რეაგირებას და სწავლა-სწავლების პროცესის უწყვეტ გაუმჯობესებას

ინდიკატორი 2.2.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	წარმოდგენილია განმსაზღვრელი, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც იძლევა საშუალებას საკლასო, საშინაო, შემაჯამებელი და პრაქტიკული სამუშაოები შეფასდეს სანდოდ, ვალიდურად, გამჭვირვალედ, ობიექტურად და სამართლიანად. შეფასების სისტემას წინასწარ ეცნობიან როგორც მოსწავლეები,მშობლები, ისევე დაინტერესებული პირები. **რჩევა** სასურველია, თუ საბუნებისმეტყველო კათედრის პედაგოგები იმუშავებენ და შექმნიან **სამივე საფეხურზე** უფრო მეტ კონკრეტულ დავალებაზე მორგებულ შეფასების რუბრიკებს. **ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნებში (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო, ისტორია, საქართველოს ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება, პროექტული სწავლება სამოქალაქო განათლებაში) სამივე საფეხურზე წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, თვითშეფასების მრავალფეროვანი ფორმები, შემაჯამებელი დავალების ანალიზის ნიმუშები ასევე სკოლის ვერიფიკაციის მექანიზმი ადასტურებს რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, ობიექტური და სანდო. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს , რომ შეფასების ფორმებს აცნობენ მშობლებს მშობემტა კრებაზე წლის დასაწყისში. შეფასებისა და თვოთშეფასების რუბრიკები ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის. **რჩევა:** სასურველია, **სწავლების სამივე საფეხურზე** ყველა სამუშაო ფასდებოდეს კონკრეტულ დავალებაზე მორგებული შეფასებისრუბრიკებით. **ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	შეფასების სისტემა წარმოდგენილი რუბრიკების, ესეს შეფასების სქემისა და ზეპირმეტყველების შეფასების ფორმების მიხედვით არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი, რაც ცხადყოფს წარმოდგენილი მასალა და ადასტურებს მასწავლებელთა ინტერვიუები. კრიტერიუმები მკაფიოდ არის გაწერილი, ქულები თანაბრად განაწილებული და შეფასების პროცესი გასაგებია როგორც მასწავლებლისთვის, ასევე მოსწავლისთვის. კომპლექსური დავალებების რუბრიკები კი უზრუნველყოფს შეფასების თანმიმდევრულობასა და სამართლიანობას ყველა მოსწავლისთვის თანაბრად. **ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამარლიანი. შეფასება ემყერება მკაფიოდ განსაზღვრულ კრიტერიუმებს, რომლებიც ასახულია სასკოლო კურიკულუმში და ხელმისაწვდომია როგორც მოსწავლეთათვის, ისე მშობლებისა და მასწავლებლებისვის, რაც

	უზრუნველყოფს გამჭვირვალობას და წინასწარ ინფორმირებულობას. ვალიდურობა გარანტირებულია იმით, რომ შეფასება ეფუძნება იმ კომპონენტაბსა და უნარებს, რომელიც ესგ-თ არის განსაზღვრული. სანდოობა და ობიექტურობა მიიღწევა სტანდარტიზებული კრიტერიუმებისა და მრავალმხრივი შეფასების ფორმებს გამოყენებით. **ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის მიერ სამივე საფეხურზე წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, თვითშეფასების ფორმები, შემაჯამებელი დავალების ანალიზის ნიმუშები ასევე სკოლის ვერიფიკაციის მექანიზმი ადასტურებს რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, ობიექტური და სანდო. შეფასების მრავალფეროვანი ფორმები ხელმისაწვდომია როგორც მოსწავლეთათვის, ისე მშობლებისთვის, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობასა და წინასწარ ინფორმირებულობას. **რჩევა:** სკოლაში არსებობს კონკრეტული შემოქმედებითი დავალებებისთვის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ფორმების შექმნის საუკეთესო პრაქტიკა, სასურველია, ამ პრაქტიკის გათვალისწინებით, **სამივე საფეხურზე** ყველა სამუშაო ფასდებოდეს არა ზოგადი, არამედ კონკრეტულ დავალებაზე მორგებული შეფასებისრუბრიკებით. **ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	სკოლაში წარმოებს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში განსაზღვრულია შეფასების მიზანი. შეფასების კრიტერიუმები ხაზს უსვამს მოსწავლეთა ძალისხმევას - რა შეუძლია და მიემართება გრძელვადიან მიზნებს, ფასდება მხოლოდ ის მიმართულება, რომელიც რუბრიკითაა განსაზღვრული და მოსწავლეთათვის ცნობილია თუ რაში ფასდებიან, უზრუნველყოფილია თანაბარი სამართლიანობა. **რჩევა:** სასურველია, კათედრამ გაითვალისწინოს, რომ **სამივე საფეხურზე** შეფასების რუბრიკები მომავალში უფრო მეტად იყოს ორიენტირებული გრძელვადიან მიზნებზე და მომავალში ყველა თემის შემაჯამებელ ან შემოქმედებით დავალების რუბრიკებში ყველა სამიზნე ცნების აღქმა-გააზრება შეფასდეს მოცემული საკითხის კონტექსტში. კარგი იქნება თუ სკოლაში ინტენსიურად იმუშავებენ კათედრები შეფასების სისტემის გადამუშავებაზე და შექმნიან უფრო მეტ კონკრეტულ დავალებაზე მორგებულ შეფასების რუბრიკებს. **ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სპორტი	**სამივე საფეხურზე** - მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. სკოლაში მოქმედებს, როგორც განმავითარებელი, ამასთანავე განმსაზღვრელი შეფასების სისტემა. შეფასების სრულყოფილი სისტემა გათვალისწინებულია სასკოლო სასწავლო გეგმით. **ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

ტექნოლოგიები	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნაჩვენებია შეფასების რუბრიკების და მექანიზმების განხორციელება სკოლაში და წარმოდგენილია უკვე არსებული შეფასების რუბრიკების ნიმუშები. აღწერის მიხედვით შეფასება უნდა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური, სამართლიანი. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს. **ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დოკუმენტაციასა და გასაუბრებაზე დაყრდნობით აღვნიშნავთ, რომ სკოლაში დაწყებით საფეხურზე მოსწავლეთა შეფსება ხდება ესგ-ის სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებთან მიმართებით. მოსწავლეთათვის წინასწარ ცნობილია თუ რაში და როგორ ფასდებიან. **ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლამ წარმოადგინა შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი (ბრძანება №2-248 , 12.09.2025), სადაც ჩანს, რომ ვერიფიკაციის მიზანია სკოლაში შეფასების პროცესის სანდოობის, ვალიდურობის, ობიექტურობის, გამჭვირვალობის და სამართლიანობის შემოწმება და დადასტურება. დოკუმენტის მიხედვით, ვერიფიკაცია ხორციელდება სწავლების ყველა საფეხურზე და მიზნად ისახავს შიდა შეფასების ჩატარებას, მოსწავლის შეფასების პროცედურებისა და ინსტრუმენტების შესაბამისობის დადგენას სასკოლო კურიკულუმთან. შერჩეულია ვერიფიკაციის მეთოდები, დეტალურად არის აღწერილი ამ პროცესის ეტაპები და დასახელებულია შეფასების განმახორციელებელი რგოლები. ვერიფიკაციის პროცესს განახორციელებს ვერიფიკაციის ჯგუფი კათედრების მიხედვით ,ამ ჯგუფში შედის საგნის კომპეტენციის მქონე პირი,რომელი მიმართულების შეფასების ინსტრუმენტის /მტკიცებულებების ვერიფიკაციაც ხორციელდება ,ასევე ეს პროცესი შესაძლებელია განახორციელოს დირექტორმა , შესაბამისმა საგნობრივმა კათედრამ (ურთიერთადასწრების,შეფასების რუბრიკების შემუშვების ,შემაჯამებელი დავალების ანალიზის საფუძველზე). **ინდიკტორი 2.2.1.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ სამი წლის ვადით. სკოლაში ვიზიტის დროს სკოლას შენახული ჰქონდა მოსწავლეთა შედეგების აღრიცხვა და შემაჯამებელი სამუშაოები საგნობრივი კათედრების მიხედვით.

ინდიკტორი 2.2.1.5 . შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026;
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმები;
- შესრულებული შემოქმედებითი დავალებები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების რუბრიკები და შეფასების სქემები;
- პედაგოგის რეფლექსია. კოლეგა პედაგოგის მიერ გაკვეთილის შეფასება;
- საგნობრივი პროექტები და კლუბური მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია ;
- გაკვეთილზე დასწრების დამადასტურებელი მასალა ;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების რეგულაციები ;
- ინდგეგმები;
- კათედრების ოქმები,სადაც შეფასების ერთიანი სისტემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებენ;
- სასწავლო პროცესში გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსები;

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასკოლო კურიკულუმებში იკითხება ძირითადი სასწავლო რესურსი გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებია, თუმცა საბუნებისმეტყველო კათედრაზე იყენებენ სხვადასხვა დამხმარე სახელმძღვანელოებს, ონლაინ რესურსებს, phet.colorado simulacion, learning.apps.org , ტელე სკოლას, CK 12, სხადასხვა ვიდეოებს, ასევე სკლას აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია რომელიც მდიდარია სხვადასხვა ლაბორატორიული ჭურჭლებით, ქიმიური რეაქტივებით, ფიზიკის ხელსაწყოებით და ბიოლოგიური მულაჟებით. აღნიშნული რესურსები სრულიად აკმაყოფილებს სასწავლო პროცესის საინტერესოდ და შემოქმედებითად წარმართვას **ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასკოლო კურუკულუმებში ასახულია სასწავლო რესურსების გამოყენება. ეს რესურსები ყველა კლასისთვის ძირიდათად გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებია. სკოლა ასევე იყენებს დამხმარე სასწავლო რესურსს, კურიკულუმში ჩაშენებულია ელექტრუნული რესურსებიც, აუდიო და ვიდეო მასალებს, რუკებს, ვიზუალურ რესურსს, youTube-ს ვიდეომასალას. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ იყენებეს AI-ს რესურსს. **ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში, რაც ცხადყოფს წარმოდგენილი მასალა და ადასტურებს მასწავლებელთა ინტერვიუები. ძირითად რესურსად გამოიყენება სახელმძღვანელოები, New Building Blocks 4, Tune Up 2 და Tune Up 4 შესაბამისი სამუშაო რვეულებით, დამხმარე რესურსად კი YouTube-ის ვიდეომასალა, მასწავლებლის მიერ მომზადებული დამატებითი საკითხავი მასალა და შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტები. კურიკულუმში გაწერილი რესურსები და შესაბამისი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა კომუნიკაციური და შემოქმედებითი უნარების განვითარებას. **ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი, ასევე დამხმარე სასწავლო რესურსი. ძირითადი რესურსები მოიცავს ესგ-თან შეთანხმებულ სახელმძღვანელოებსა და პროგრამულ მასალებს, რომლებიც ემსახურება საგნობრივი მიზნების მიღწევას და მოსწავლეთა საფუძვლიანი ცოდნის ფორმირებას. დამხმარე რესურსის ფარგლებში ფართოდ გამოიყენება აუდიო და ვიდეო მასალები, მხავრული ნამუშევრები, ვიზუალური რესურსები და საგანმანათლებლო აპლიკაციები. ასევე ჩართულია ხელოვნების ნიმუშების ანალიზი, მოსწავლეთა ნამუშევრების განხილვა და ხელთნაკეთ მუსიკალურ ინსრუმენტებზე პრაქტიკული მუშაობა, რაც ხელს უწყობს უნარების განვითარებას და შემოქმედებითი პროცესის გააზრებას. **ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრის მიერ სამივე საფეხურის კურიკულუმებში გაწერილია, თუ რომელ ძირითად სახელომძღვანელოებს იყენებს სკოლა, დანართის სახით გადმოგზავნილია,რომელი დამატებითი რესურსები აქვთ შერჩეული ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისას, კურიკულუმებში ჩაშენებულია ელექტრონული რესურსებიც. წარმოდგენილია რამდენიმე გაკვეთილის გეგმა, კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებშიც ჩანს დასახელებული რესურსების ეფექტური გამოყენება. წლის დასაწყისში ძირითადი და დამატებითი რესურსები დამტკიცებულია კათედრის სხდომაზე.

	რჩევა: სასურველია, **სამივე საფეხურის** კურიკულუმების ჩარჩოს სათანადო ველში იყოს მითითებული საჭირო დამატებითი საგანმანათლებლო რესურსები და არა ცალკე დოკუმენტის სახით. **ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	სკოლა ძირითად სასწავლო რესურსად იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, სხვადასხვა ინტერნეტპლათფორმებზე განთავსებულ სასწავლო რესურსებს, კოლეგების მიერ გაზიარებულ საკუთარ რესურსებს. დამატებითი ელექტრონული რესურსების გამოყენებისთვის სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, ინტერნეტი. საკლასო ოთახებში განთავსებულია შესაბამისი მატერიალური რესურსი: კომპიუტერები, პროექტორი, ცხრილები და სხვა. **ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სპორტი	**სამივე საფეხურზე** - სკოლა აღჭურვილია მრავალრფეროვანი რესურსით, რომელსაც მასწავლებლები აქტიურად იყენებენ საგაკვეთილო პროცესში. კათედრებზე მუშაობისას მასწავლებლები ერთად განსაზღვრავენ ძირითად და დამხმარე სასწავლო რესურსებს, ასახავენ მათ სასკოლო კურიკულიმში და აქტიურად იყენებენ საგაკვეთილო პროცესში. **ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) განთავსებულია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრულ შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი სახელმძღვანელოები, ისე დამატებითი მრავალფეროვანი რესურსები, რასაც იყენებენ სასწავლო პროცესში, ეს კი უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში და ცოდნის მიღება/გაღრმავებას. **ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე რესურსების ვალიდაციას. პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კათედრაზე რესურსების შერჩევა და გამოყენება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმისა და სასკოლო კურიკულუმის მიზნებთან შესაბამისობის პრინციპით. საბუნებისმეტყველო კათედრა განიხილავს პედაგოგთა მიერ წარმოდგენილ რესურსებს, ახდენს რესურსების

	შინაარსობრივ შეფასებას, რაც ითვალისწინებს მათი საგნობრივ მიზნებთან, ასაკობრივ თავისებურებებსა და კომპეტენციებზე ორიენტირებულ მოთხოვნებთან თანხვედრას. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე რესურსების ვალიდაციას. საზოგადობერივი მეცნიერებების კათედრის მაწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კათედრაზე რესურსების შერჩევა და გამოყენება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმისა და სასკოლო კურიკულუმის მიზნებთან შესაბამისობის პრინციპით. ამას ადასტურებს წარმოდგენილი მასალაც (შეესაბამება საგნობრივ სტანდარტს). **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას, რაც ცხადყოფს წარმოდგენილი მასალა და ადასტურებს მასწავლებელთა ინტერვიუები. კურიკულუმში გამოყენებული დამხმარე რესურსები, მასწავლებლის მიერ მომზადებული საკითხავი მასალა, ვიდეორესურსები და შეფასების ინსტრუმენტები, შერჩეულია და დამტკიცებულია სასწავლო მიზნებთან და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შესაბამისობის საფუძველზე. რესურსების ვალიდაციის პროცესი უზრუნველყოფს, რომ სასწავლო პროცესში გამოყენებული ყველა მასალა შეესაბამება მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს, საგნობრივ სტანდარტებს და კურიკულუმით დასახულ მიზნებს. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლა უზრუნველყოფს მუსიკისა და სახვითი და გამოყენებით ხელოვნების მიმართულებით გამოყენებული დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას. რესურსების შერჩევა და გამოყენება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმისა და სასკოლო კურიკულუმის მიზნებთან შესაბამისობის პრინციპით. სკოლა მიმართავს რესურსების შინაარსობრივ შეფასებას, რაც ითვალისწინებს მათი საგნობრივ მიზნებთან, ასაკობრივ თავისებურებებსა და კომპეტენციებზე ორიენტირებულ მოთხოვნებთან თანხვედრას. მასწავლებლები, ადმინისტრაცია და საჭიროების შემთხვევაში საგნობრივი ჯგუფები ერთობლივად უზრუნველყოფენ იმ მასალების არჩევას, რომლებიც ასახავს თანამედროვე საგანმანათლებლო მოთხოვნებს, ხელს უწყობს შემოქმედებითი უნარების განვითარებას და მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრის მიერ წარმდგენილი სხდომის ოქმით დამტკიცებულია ის ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოები, რომლებსაც კათედრა ირჩევს წლის დასაწყისში. წლის

	განმავლობაში, საჭიროებიდან გამომდინარე, იქმნება სახელმწიფო ენის შესწავლისთვის აუცილებელი სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსიც. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	კურიკულუმით გათვალისწინებული დამატებითი რესურსები განსაზღვრულია საგნობრივ კათედრებზე განხილვის შედეგად. მასწავლებელთა და მოსწავლეთა უკუკავშირი რესურსის გამოყენების შემდეგ, პრაქტიკაში გამოვლენილი ძლიერი და სუსტი მხარეების გაზიარება უზრუნველყოფს დამხმარე რესურსის ვალიდაციას. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სპორტი	სამივე საფეხურზე - სკოლას უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას, შემუშავებული აქვს შესაბამისი მექანიზმები, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კათედრებზე მუშაობისას. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ ისინი სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, ერთობლივი მუშაობის შედეგად განსაზღვრავენ დამატებით რესურსებს და ასევე ერთობლივად უზრუნველყოფენ ამ რესურსების ვალიდაციასაც. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) წარმოდგენილი სასწავლო რესურსი ვალიდურია, რადან შეესაბამება სასწავლო მიზნებს, საგნობრივ სტანდარტებს და მოსწავლეთა საჭიროებებს. რომელიც განხილულია და დამტკიცებულია საგნობრივი კათედრის მიერ. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	რესურსების ვალიდაცია ხორციელდება ვალიდაციის წესის შესაბამისად. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ კურიკულუმებში ჩაშენებული ჰიპერლინკები არის სასწავლო თემის და მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით შერჩეული, შესაბამისი და ვალიდური. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლას არ აქვს ცალ- ცალკე საგნების, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის ლაბორატორიები, ისინი სარგებლობენ ერთი საერთო ლაბორატორიით, რომელსაც წინასწარ გაწერილი გრაფიკის მიხედვით მოიხმარენ. პედაგოგებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ თითოეული მოსწავლისთვის ხელმისაწვდომია მატერიალური, არამატერიალური რესურსი, საკლასო სივრცე აღჭურვილია საჭირო ინვენტარით, სველი წერტილით, რეაქტივებით, ლაბორატორიული ჭურჭელით რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს აქტიურად ჩაერთონ სწავლის პროცესში, ხოლო პედაგოგს უადვილებს მრავალფეროვანი და საინტერესო გაკვეთილების დაგეგმვასა და ჩატარებას. აღსანიშნავია, რომ საბუნებისმეტყველოს ლაბორატორიას არ აქვს ამწოვი კარადა, რაც არ იძლევა რიგი ქიმიური რეაქციების ჩატარების საშუალებას მოსწავლეთ უსაფრთხოების დაცვის გამო. ხარვეზი: საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიას არ აქვს ამწოვი კარადა, რაც რიგი ქიმიური რეაქციების ჩატარების საშუალებას არ იძლევა მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვის გამო. **ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა დასკვნის პროექტზე სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.** სკოლამ გაითვალისწინა დასკვნის პროექტში წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებები და საკითხის სრულად აღმოფხვრა სკოლამ გაწერა შესაბამისობის გეგმაში. სკოლამ მიიღო რეკომენდაცია: შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (2026 წლის 15 სექტემბრამდე) სკოლამ უზრუნველყოს ამწოვი კარადის შეძენა და მონტაჟი, მოსწავლეთა უსაფრთხოების სრული დაცვის მიზნით. **ინდიკატორი 2.2.2.3.მეტწილად აკმაყოფილებს საბუნებისმეტყველოს საბაზო და საშუალო საფეხურის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, რაც ცხადყოფს წარმოდგენილი მასალა და ადასტურებს მასწავლებელთა ინტერვიუები. სასკოლო გარემო და მატერიალური ბაზა, სახელმძღვანელოები, რესურსები და სასწავლო სივრცე, შესაბამისობაშია კლასში მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობასთან და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვას. მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით დაგეგმილი სასწავლო აქტივობები, პროექტები ხელს უწყობს კურიკულუმით დასახული შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, რაც ცხადყოფს წარმოდგენილი მასალა და ადასტურებს მასწავლებელთა

	ინტერვიუები. სასკოლო გარემო და მატერიალური ბაზა, სახელმძღვანელოები, სამუშაო რვეულები, ციფრული რესურსები და სასწავლო სივრცე, შესაბამისობაშია კლასში მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობასთან და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვას. მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით დაგეგმილი სასწავლო აქტივობები, ჯგუფური მუშაობა, წყვილური დავალებები და ინდივიდუალური პროექტები, ხელს უწყობს კურიკულუმით დასახული შედეგების სრულფასოვნად მიღწევას. **ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. სასწავლო გარემო აღჭურვილია თანამედროვე საგანმანათლებლო ინვენტარითა და ტექნიკური საშუალებებით, რაც ხელს უწყობს სწავლის პროცესის ეფექტიან წარმართვას. ასევე გათვალისწინებულია მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, რაც შესაძლებელს ხდის თითოეული მოსწავლისთვის ხარისხიანი განათლების მიღებას,ინდივიდუალური მიდგომის გამოყენებას და უსაფრთხო, კომფორტული სასწავლო გარემოს შექმნას. **ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად სკოლა უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით შესაბამისი მატერიალური რესურსით. **ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	სკოლაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პედაგოგებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ თითოეული მოსწავლისთვის ხელმისაწვდომია როგორც მატერიალური, ასევე, არამატერიალური რესურსი, საკლასო სივრცე აღჭურვილია საჭირო ინვენტარით, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს აქტიურად ჩაერთონ სწავლის პროცესში, ხოლო პედაგოგს უადვილებს მრავალფეროვანი და საინტერესო გაკვეთილების დაგეგმვასა და ჩატარებას. **ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სპორტი	**სამივე საფეხურზე** - სკოლა აღჭურვილია ყველა საჭირო მატერიალურ/ტექნიკური რესურსით რომელიც საჭიროა სასკოლო კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად. კერძოდ, სკოლას აქვს სპორტული დარბაზი, გარე სპორტული მოედანი, მაგიდის ჩოგბურთის მაგიდა და სხვა სპორტული ინვენტარი, რომელთა დახმარებითაც მასწავლებელს აქვს შესაძლებლობა მიაღწიოს სასკოლო კურიკულუმით გათვალისწინებულ შედეგებს და ამ პროცესში თანაბრად ჩართონ სკოლის ყველა მოსწავლე.

	ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
ტექნოლოგიები	სკოლაში არსებული კომპიუტერული ლაბორატორია განახლებულია, სკოლას მიღებული აქვს ახალი კომპიუტერები და სხვა ტექნიკა. კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებული კომპიუტერების რაოდენობა შეესაბამება კლასში მოსწავლეთა რაოდენობას. კომპიუტერების რაოდენობა საკმარისია იმისთვის, რომ საგაკვეთილო პროცესი მიმდინარეობდეს სრულფასოვნად. **ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლს შედეგების მიღწევას. პედაგოგებთან ინტერვიუს საფუძველზე დგინდება ,რომ როგორც მატერიალური ,ასევე, არამატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისათვის. **ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი
სკოლას ჰყავს სულ 71 თანამშრომელი . 3 სპეციალური მასწავლებელი და 5 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი,ექიმი, ფსიქოლოგი . 54 მასწავლებელიდან სტატუსით 3 მენტორი და 6 წამყვანია, ,დანარჩენი კი უფროსი ,გარდა ერთი ,სპორტის მასწავლებლისა ,რომელსაც არა აქვს საგნობრივი კომპეტენცია დადასტურებული, ასევე პირველ კლასში კომპიუტერულ ტექნოლოგიებს ასწავლიან დაწყებითი კლასის პედაგოგები, რომელთაც საგნობრივი კომპეტენცია დადასტურებული აქვთ დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის სტატუსის (მათემატიკა, ქართული ენა და ლიტერატურა და ბუნებისმეტყველება (I-IV კლ) შესაბამისად. ხარვეზი: დაწყებით საფეხურზე ,პირველ კლასში , კომპიუტერულ ტექნოლოგიებს ასწავლიან აღნიშნულ საგანში კომპეტენცია დაუდასტურებელი პედაგოგები; სპორტის პედაგოგს ,რომელსაც საათობრივი დატვირთვა აქვს სამივე საფეხურზე ,არ აქვს კომპეტენცია დადასტურებული.

<u>ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა დასკვნის პროექტზე სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.</u>
სკოლამ გაითვალისწინა დასკვნის პროექტში წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებები, თუმცა ვერ უზრუნველყო ხარვეზის სრულად აღმოფხვრა, რომელიც დაკავშირებულია დაუდასტურებელი კომპეტენციის მქონე პედაგოგების დასაქმებასთან. სკოლამ განმარტა არსებული ვითარება და აღნიშნა, რომ საკითხი დროებითია და სრულად აღმოიფხვრება მომდევნო სასწავლო წლიდან (2026-2027). **სკოლამ მიიღო რეკომენდაცია:** შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (2026-2027 სასწავლო წლის დაწყებამდე) სკოლამ უზრუნველყოს ყველა საგანში კომპეტენციის დადასტურებული პედაგოგების დასაქმება. **ინდიკატორი 2.2.2.4 მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების რუბრიკები და შეფასების სქემები; გაკვეთილის გეგმები.
- შემოქმედებითი დავალებების ბარათები მშობლებისთვის ;
- პედაგოგის რეფლექსია;
- საგნობრივი პროექტები, პრეზენტაციები ;
- კათედრის ოქმები;
- რესურსების რეესტრი და ფოტოაღწერა;
- შემაჯამებელი დავალების ანალიზი;
- შესრულებული შემოქმედებითი დავალების ფოტომასალა;
- მასწავლებელთა პირადი საქმეები ;
- მასწავლებელთა ხელშეკრულებები;
- საბუნებისმეტყველო კაბინეტით სარგებლობის გრაფიკი
- სასწავლო პროცესში გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სკოლას აქვს შემუშავებული სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგს და შეფასებას .აღნიშნულ დოკუმენტში ასახულია, თუ როგორ, რა აქტივობებითა და საშუალებებით განხორციელდება კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. დოკუმენტის თანახმად , თითოეული პედაგოგი ვალდებულია წარუდგინოს კათედრას კურიკულუმის დანერგვის პროცესში გამოკვეთილი ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ, ხოლო კათედრის ხელმძღვანელი ვალდებულია შეატყობინოს სკოლის ადმინისტრაციას ყველა იმ ცვლილების შესახებ, რომელიც განხორციელდა კურიკულუმში წინა წლის სასწავლო პროცესის შესწავლის საფუძველზე.სკოლას ეს პროცესი წარმოდგენილი აქვს კათედრების წევრებისა და დირექციის აქტიური თანამშრომლობით. გადმოგზავნილი მასალებისა და ადგილზე ვიზიტის დროს დადგინდა, რომ მიმდინარე სასწავლო წელს სწავლება მიმდინარეობს წლის დასაწყისში შემუშავებული სასკოლო კურიკულუმების შესაბამისად.სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება პერიოდულად ხორციელდება კათედრების დონეზე კურიკულუმის ანალიზისა და ურთიერთდასწრების გზით.ამასთან, სკოლის დირექცია, ხარისხის მართვის ჯგუფი და კათედრის წევრები ურთიერთდასწრებებისა და სასწავლო პროცესის ერთობლივი განხილვის საფუძველზე ახდენენ კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგსა და შეფასებას.

ინდიკატორი 2.3.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

კურიკულუმის მონიტორინგისა და მოსწავლეთა სწავლების პროცესში გამოვლენილი თითოეული პრობლემის იდენტიფიცირების მიზნით კათედრის წევრები ინტენსიურად იკრიბებიან, ერთად გეგმავენ პრობლემის მოგვარების გზებს გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. მრავალმხრივი მეთოდებით სადიაგნოსტიკო წერები, საგაკვეთილო პროცესის დროს მასწავლებლების ჩანიშვნები თითოეულ მოსწავლეზე, ურთიერთდასწრების შედეგად გაკეთებული მიგნებები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზისა თუ არაფორმალური განათლებისას მოგროვებული ინფორმაცია/მონაცემები სწავლა-სწავლების შესახებ მუშავდება იმისათვის, რომ მოხდეს აღმოჩენილი გამოწვევების გადაჭრის ეფექტიანი გზების მოძიება და ინტერვენციები კი აისახოს მომდევნო წლის სასწავლო პროგრამა-საგნობრივ კურიკულუმში.

ინდიკატორი 2.3.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს .

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

სკოლის ადმინისტრაცია ,რომელიც თვალყურს ადევნებს და აფასებს სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესს, ესწრება გაკვეთილებს და პედაგოგისთვის კონსტრუქციული უკუკავშირით გარკვეულწილად ხელს უწყობს მის პროფესიულ ზრდას. ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ თვით პედაგოგებიც ახდენენ გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებას და ერთმანეთის შეფასებას. სკოლაში სწავლება დაფუძნებულია შემოქმედებითი პროდუქტის შექმნაზე, შესაბამისად ყოველი ასეთი დავალების შესრულების შემდეგ კათედრებზე ხდება პროცესების შეფასება, ყოველი წარმატებული და გასაუმჯობესებელი საკითხის დაფიქსირება, რაც საბოლოო ჯამში საჭიროა

კურიკულუმის განხორციელების მონიტორინგისა და შეფასებისთვის. პედაგოგებს ადმინისტრაციის მხრიდან მუდმივად აქვთ ინფორმაციული ტიპის მხარდაჭერა ნებისმიერი აქტივობების შესახებ ,რაც მათ პროფესიულ წინსვლასა და განვითარებას უზრუნველყოფს.

ინდიკატორი 2.3.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს .

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია ;
- ვერიფიკაციის წესი ;
- მასწავლებელთა მიერ ჩატარებული გაკვეთილის რეფლექსია;
- მასწავლებელთა გაკვეთილზე ურთიერთდასწრების შეფასების ფორმები;
- კათედრის ოქმები;
- ხარისხის მართვის დებულება ;
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმა ;
- ურთიერთდასწრების ამსახველი დოკუმენტაცია ;

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

მოსწავლეთა შეფასებისთვის სკოლა აქტიურად იყენებს, როგორც განმავითარებელ, ისე განმსაზღვრელი შეფასების სისტემას. ამას ცხადყოფს, როგორც სასკოლო სასწავლო გეგმა, ასევე კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. მოსწავლეთა მიღწევების შესახებ მონაცემების შესაგროვებლად კი სკოლა იყენებს მრავალგვარ მეთოდს, როგორც ფორმალური-სადიაგნოსტიკო წერები, შემაჯამებელი თუ პროექტული შინაარსის მქონე აქტივობების/დავალებები, ისე არაფორმალური განათლების ინსტრუმენტებისას, როგორიცაა სასკოლო ოლიმპიადები-სპორტში, შემეცნებითი ექსკურსიები სხვადასხვა საგანში და წრეობრივი/კლუბური მუშაობები . ამ აქტივობებიდან მიღებული მონაცემები საშუალებას იძლევა მრავალმხრივად შეფასდეს და გამოიკვეთოს მოსწავლეთა განვითარების დინამიკა.

ინდიკატორი 2.3.2.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს .

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სკოლის კათედრების მიერ კურიკულუმების შექმნის/რევიზიის პროცესის პარალელურად იქმნება შეფასების რუბრიკები კონკრეტული თემის ფარგლებში და ემყარება გრძელვადიანი მიზნებს, რომელიც დაფუძნებულია ესგ- ის პრინციპებზე. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა შეფასებას ახორციელებს სხვადასხვა კონტექსტით. კერძოდ, კათედრებზე არსებობს ურთიერთდასწრების

კულტურა, მასწავლებელები აკვირდებინ პროცესს და გაცემული უკაკავშირის მიხედვთ ახდენენ რეკომედაციების შემუშავებას, რაც ხელს
უწყობს სასწავლო პროცესში შეფასების სხვადასხვა ფორმით დამკვიდრებას. შეფასების პროცესში მასწავლებელი ითვალისწინებს გარემოს, რაც მოსწავლის აკადემიურ მიღწევებზე ახდენს გავლენას, როგორიცაა, არაფორმალური გარემო, სკოლა, კლასი, სოციუმი, შესასაწავლი საკითხი/ თემა, მოსწავლის ინტერესთა თანხვედრა. შესაბამისად, სკოლას აქვს პრაქტიკა მრავლფეროვანი კონტექსტის მიხედვით მოახდინოს მონაცემების ანალიზი, რაც შეფასებას მოსწავლეზე ორინტირებულს და ვალიდურს ხდის.

ინდიკატორი 2.3.2.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს .

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

სკოლაში მოსწავლეთა შეფასებისას გამოიყენება მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები. მასწავლებლების მიერ სასწავლო პროცესში გამოიყენება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, შემაჯამებლი ანალიზის ფორმები, სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტი, შემოქმედებითი ტიპის დავალებების შეფასებები ,მოსწავლეების მიერ შესრულებული წერილობითი დავალებები, პოსტერები, კომიქსები. ყოველდღიურ სასწავლო პროცესში მასწავლებლის მიერ აქტიურად ხორციელდება დაკვირვება,საუბრები, უკუკავშირის გაცემა რომელიც აჩვენებს როგორ განუვითარდათ დროთა განმავლობაში მოსწავლეებს სააზროვნო უნარები და საგნობრივი ცოდნა.

ინდიკატორი 2.3.2.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

სკოლა შეფასების პროცესში დიდ ყურადღებას აქცევს მოსწავლის აკადემიური მოსწრებისათან ერთად და ფუნქციურ- კომპეტენტური უნარების განვითარებას, კერძოდ შეფასებისას მასწავლებლები ითვალისწინებენ ნებისმიერ ფაქტორს, რაც გავლენას ახდენს მოსწავლის სწავლის პროცესზე და შედეგზე. კერძოდ, სოციუმი, ოჯახი, ტრადიციები.ასევე მშობლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა მათთან კლასის ხელმძღვანელების აქტიური ჩართულობა და თანამშრომლობა, რაც ახდენს თითოეული მოსწავლის საჭიროებების მეტად გამოკვეთასა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას. შესაბამისად, სკოლაში მოსწავლის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით.

ინდიკატორი 2.3.2.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების მასალები/ოქმები;

- შემოქმედებითი დავალების მიხედვით მოსწავლეთა ნამუშევრები;
- მოსწავლეების ისგ და სამუშაო ჯგუფის ოქმები;
- მშობელთა კრების ოქმები
- კათედრის ოქმები
- შეფასების ვერფიკაციის მექანზმი
- საგნობრივი პროექტები და კლუბური მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივშეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სკოლას შექმნილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და მხარდაჭერის პროცესი. შესაბამისად, სკოლა ქმნის მხარდაჭერის საჭიროებათა პაკეტს, რაც გულისხმობს კურიკულუმის შემუშავების პროცესში კათედრების ჩართულობას მოსწავლეებისა და მშობლებისგან მიღებული უკუკავშირის გათვალისწინებას, გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებისა და მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გათვალისწინებით კურიკულუმებში ცვლილებების შეტანას, რაც აღნიშნული დოკუმენტის სკოლის საჭიროებებზე მორგებას უზრუნველყოფს. ამრიგად,

ინდოკატორი 2.4.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს .

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

სკოლას შექმნილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, სადაც წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმის შექმნისა და მხარდაჭერის პროცესი, ჩართული მხარეების ფუნქცია- მოვალეობები, რაც მასწავლებელებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა საგნობრივი მიმართულებების მიხედვით. კერძოდ, მასწავლებლები ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას, საუკეთესო პრაქტიკულ მაგალითებს/ აქტივობებს, სასკოლო საზოგადოების რეკომენდაციებს, შემაჯამებელი და შემოქმედებითი ტიპის დავალებების შედეგებს და გამოკვეთილი საჭიროებების მიხედვით იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია.

ინდიკატორი 2.4.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს .

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- ერთლიანი სამოქმედო გეგმა ;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- საგნობრივი კათედრის ოქმები;
- მასწავლებელთა ურთიერთდასწრების ფორმები;
- მასწავლებელთა თვითრეფლექსიები;
- მშობელთა კრების ოქმები .

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

შესაბამისობის გეგმა

თარიღი 31.03.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: